

չանչուղ կոհմաօա

ռჩեալու լուրութա

տիգուսը
2002

თანამედროვე ქართულ პოეზიაში
ფილოსოფიური ლირიკის შესანიშნავი
წარმომადგენლის ჯანსულ კორძაიას რჩეული
შედგენილია ავტორის მიერ წინა წლებში
გამოცემული კრებულების („შენ უკვე შენ ხარ“
– 1998წ., „ეს საუკუნეც“ – 1988წ., „ჭერ
მხოლოდ ერთხელ“ – 1989წ., „ქვლავ ვიბალები“
– 1990წ., „იმ დღეების ქრონიკა“ – 1992წ.,
„შემოდგომა-1993“ – 1994წ., „ბალადა გია
აბესაძეზე“ – 1995წ., „აზრის მონოლოგები –
1997წ.“, „საუკუნის დასასრულთან“ – 1998.,
„შენ ჩემი სხვა ხარ“ – 2000წ.) ბაზაზე.

რედაქტორი ნათელა ხურცილავა

ჯანსულ კორძაიაშ პოეზია

ჯანსულ კორძაიაშ ქართული პოეზია „დამძიმა“ ბევრი ისეთი ფილოსოფიური პრობლემით, რომლებიც მანამდე თითქმის არ დასმულა ჩვენში. ამით, მან, შეიძლება თამამად ითქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული ფილოსოფიური ლირიკა, გულისა და გრძნობის, ფიქრისა და ოცნების ქურაში გამოატარა გონი თუ ლოგოსი, განსჯა თუ საზრისი, ყოფიერება თუ გაუცხოება და ყოველივე ეს გაიაზრა, როგორც თვითონ ამბონს, „ზღაპრის ლოგიკით“. სწორედ ამ „ზღაპრის ლოგიკაშ“ გახადა შესაძლებელი ის, რომ უამრავი ახალი მხატვრული სახე, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი გაჩენილიყო მის პოეზიაში. მკითხველი რომ დავარწმუნოთ ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რამდენიმე მაგალითს გამოვყოფ საგანგებოდ:

„შენ მიაბიჯებ – უთვალავ მზეში,
ულურჯეს მწუხაში, უთეთრეს თოვლში,
შენი ხილვებით სავსე სივრცეში
და შენი ლტოლვით ფრთაასხმულ დროში“
(„ვერ დამიშონებ“)

ან

„ანთია გრემი ქედანის ფერში,
მწუხარის ფერს ერთვის
ნანგრევის ფერი
(„გრემი“)

განსულ კორძაია ის პოეტია, რომელსაც ხელეწიფება თვით ურთულესი ფილოსოფიური საკითხებიც ჭი არაჩვეულებრივად მარტივად, საღად და საჩინო შხატვრული ოსტატობით გაგვიძინას.

ურთულესი საკითხები-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ მის პოეზიაში დასმულია ისეთი მარადიული ფილოსოფიური პრობლემები, როგორიცაა: ვინ ვარ შე, როგორც ადამიანი, რაში მდგომარეობს ადამიანური სიცოცხლის საზრისი, არის თუ არა იგი შემეცნებადი, არსებობს თუ არა ღმერთი, რა არის გონი, განსჯა, გონება, სული, ოცნება, ფიქრი. საითქენ შიდის კაცობრიობა, ანუ როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე, რა არის სიყვარული, რაზე ფიქრობდა ჰამლეტი, მართალი იყო თუ არა ექლესიასტე, რა არის, ვისთვის არსებობს და ვისთვის არ არსებობს დრო და სივრცე: რატომ დაკარგა სამყარომ გონი და შევძლებთ თუ არა გონდაკარგული სამყაროს წვდომას. რატომ აწამებს ადამიანებს გაქრობის შიში და რითი უნდა გადალახოს იგი?

ეს ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ეს ხომ სწორედ ის საკითხებია, რომლებიც ჭეშმარიტ ფილოსოფოსს უნდა აწვალებდეს, აქი ამბობდა კანტი: ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ფილოსოფია იცის, არამედ ის, ვისაც სამყაროს არსში ჩაწვდომა სურსო. თვითონ პოეტის მიხედვით, ფილოსოფოსს უნდა პქონდეს დაუკავებელი სურვილი „სამყაროს შეეთა ასწიოს ფარდა“, იმავდროულად „აწამებდეს გაქრობის შიში“:

„მაინც გაწამებს გაქრობის შიში
არარაობის პირდაპირ დგახარ,
გაწამებს პირველ და ბოლო ფიქრში
შეუცნობელი: ვინ ხარ და რა ხარ?“
(„ვერ დამიმონებ“)

დიახ, „შეუცნობელია ადამიანისათვის: ვინ
არის ან რა არის იგი, მაგრამ ამის გამო ამ
კითხვისადმი ინტერესი ჭერაც არ განელებია და
არც ოდესმე გაუწელდება (სანამ იგი
შემძეცნებელი არსება იქნება). ეს ის მარადიული
კითხვაა, ჯერ კიდევ სოკრატედან რომ იღებს
სათავეს („შეიცან თავი შენი“) და დღემდე მოდის.
ჯანსულ კორძაიაც არ ლალატობს ტრადიციას და
ძასთანაც ადამიანის შემძეცნება დგას როგორც
პრობლემა, როგორც კითხვა:

„არც არაფერი ვიცი,
არც იმედი მაქვს რამის,
ვერ გამოვტაცე დრო-ჟამს
საოცნებარი წამი
და შეუწყვეტელ ფიქრში
მაწამებს სულის გმინვა
ვით დაუმცხალი ექო,
ვინ ვარ, ვინ ვარ და ვინ ვარ?“
(„წარწერა კანტის „წმინდა
გონების კრიტიკაზე“)

ეს კითხვა ლაიტმოტივად მიჰყვება მთელ
მის პოეზიას. საკუთარი „მე“-ს, საკუთარი თავის
შემძეცნების პრობლემების მხატვრულ გამოსხვას
დიდი ადგილი ეთმობა მის ლექსებში. პირველი
რაც ადამიანმა იცის თავის თავის შესახებ, ის
არის, რომ იგი ისეთი არსებაა, რომელსაც არ
ასვენებს თავისი სიცოცხლის საზრისის, საკუთარი
„ყოფნის ფესვების“ შეცნობის სურვილი, ანუ
სამყაროს ულრმეს შრეებში შეღწევის სურვილი.
და მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ამ სურვილს
აღისრულებს, როცა მისი აზრი და განსჯა,

ფიქრი და ოცნება სინამდვილის დასაბამს, ანუ სამყაროსეულ პირველმიზებს მიაგნებს, ადამიანიც მიწვდება თავის თავს, ამოიცნობს და გაიგებს საკუთარ „მე“-ს.

ეს ძიება დაგვირგვინდება იმით, რომ პოეტი ჩაწვდება სამყაროს არსებას, დაინახავს, რომ აშ სამყაროს ღვთიური განგებით ქმნის ადამიანის აზრი, ფიქრი, ოცნება, გასჭა. გვხიბლავს პოეტისეული ქებათა-ქება აზრისა:

„შენ ქმნი სამყაროს! ღვთიურ განგებით,
აზრო, და ნათლის სვეტად ენთები,
და ელვარებენ შენი ტაძრები,
როგორც სამყაროს ევერესტები“.
(„მე ჩემს თავს ვეძებ . . .“)

ტრადიციული თემებიდან ჭ. კორძაიას შემოქმედებაში პირველ რიგში შემოდის სამშობლოს სიყვარულის თემა.

საოცრად ამაღლებულია ჭ. კორძაიას შემოქმედებაში ქართული ენის მოტივი. მისი ღვთიური წარმომავლობის ხოტბა მართლაც რომ გალობასავით ჩაესმის მკითხველს. პოეტი გვეუბნება, რომ პირველად იყო სიტყვა და ეს სიტყვა ღვთის სიტყვა იყო („პირველთვან“ იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“, იოანე 1.1). როგორც ამ პირველი სიტყვით იშვა მთელი სამყარო, ისე ქართული სიტყვიდან იშვა სრულიად საქართველო.

დიახ! სწორედ ამ ღვთიური ქართული სიტყვიდან იშვა საქართველო, რაფგან ქართული ენის წიაღში არის დავანებული ქართული სულის, ქართული აზრის, ქართული ფიქრის საიდუმლო. ასეთია ქართული ენა, როგორც „გულის, გრძნობის და ლოგოსის ტრიადა“. სწორედ მან –

ქართულმა სიტყვამ შეკრა ქართულ მიწად ეს
ქვეყანა ფრიადი. „კითხულობ ამ სტრიქონებს და
გაგონდება გიორგი მერჩულეს სიტყვები „გრიგოლ
სანცოთელის ცხოვრებიდან“, სიტყვები, რომლებიც
ქართული ენის ულიცეს როლზე მიუთითებს
ქართველი ერის ჩამოყალიბების საქმეში:
„ქართლად ფრიადი ქყეყანაი აღირიცხების,
რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი
შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.
თავისებურ, შეიძლება ითქვას ერთგვარ
ფილოსოფიურ გააზრებას იძენს ჭ. კორმაიას
პოეზიაში სიყვარულის ტრადიციული თემაა:

„მიყვარხარ! ახლა ეს სიყვარული
სახეა მთელი ჩემი არსების.
დვრიტა ჩემი, დვრიტა ფარული
სამყაროს აღქმის და გააზრების“. . .
(“მიყვარხარ!”)

სიყვარულის მაღალი გრძნობა, სატრფოზე
მუდმივი ფიქრი და გრძნობა, მისი მუდმივი
ნატვრა პოეტს გააზრებული აქვს, როგორც
თავისი არსებობის წესი. ამიტომაც არ ჟღერს
ალოგიკურად ეს მშვენიერი სტრიქონები:

„კვლავ უშენოდ ვარ, უშენოდ! მაგრამ
სწორედ ამიტომ არ ვარ უშენოდ.
(“ვარიაციები შენზე ფიქრებიდან“)

ასეთია – აზრით, სიბრძნით, სიღრმით,
სიმართლითა და სინათლით გამორჩეული ეს
მშვენიერი ლექსთა კრებული. ამ წიგნის ანალიზი

გვინდა დავასრულოთ პოეტისადმი სიტყვებით, რომლებიც მან დიდი გალაკტიონის მისამართით თქვა: „მან პოეტური არდარიდებით სამყაროს შრეთა ასწია ფარდა“. გვინდა ასე დავამთავროთ იმიტომ, რომ ეს სიტყვები კარგად ესაღავება თვით ჯანსულ კორძაიას, რამეთუ მან, პოეტმა – ფილოსოფოსმა სწორედ რომ პოეტურ არდარიდებით სამყაროს ულრჩეს შრეებში ჩაგვახედა, აღამიანის სულის იდუმალ მოძრაობას ახადა ფარდა, რაც ჰეშმარიტ პოეტებს ხელეწიფებათ შეოლოდ.

რევაზ ბალანჩივაძე

ხომ მიაგენ

რაღას ელტვი,
რა გაფრენას,
რა ოცნების ფრთით და,
რომელ ზარის ჩამორეკვას,
რომელ მეცხრე ციდან?!

ქვლავ რა გიხმობს,
საღ შიჰყავხარ
შენს უამსა და სივრცეს,
რომელ უცნობ მწვერვალისკენ,
რომელ უცნობ გზისკენ?!

ხომ აინთე ლურჯი ზეცა
ფიქრის ცისფერ გზებზე,
ხომ მიაგენ გახსნილ ცაში
შენი ყოფნის ფესვებს?!

ხომ აქციე დრო და წამი
შენს უამაღ და წამაღ,
ხომ დარეკე ელვის ზარი
შენი ქროლვის ზარაღ?!

ხომ გადაწვდი უსაზღვრობას,
სივრცეებად გაშლილს,
და ხომ ჩაწვდი უამთა ფარულ
და იდუმალ კავშირს?!

ხომ აინთე ლურჯი ზეცა
ოცნებათა გზებზე,
ხომ მიაგენ აზრში შენი
ყოფნის ღვთიურ ფესვებს?!

ხომ ხელთ გეპყრა საჭრეთელი-
ფიქრი – ტაძრის ამგებს,
ხომ ჩამოჰკარ შეძრულ სულით
სიშს, ებანს და ჩანგებს?!

ხომ შეხვედი კელაპტრებით
უსაზღვრობის ნისლში,
ხომ გაშიფრე სინაშდვილე
შენს ყოფაში – ფიქრში?!

ხომ აინთე ლურჯი ზეცა
უანკარეს გზებზე,
ხომ მიაგენ სიყვარულში
შენი ყოფნის ფესვებს?!

რაღას ელტვი,
რა გაფრენას,
რა ოცნების ფრთით და,
რომელ ზარის ჩამორეცვას,
რომელ მეცხრე ციდან?

* * *

მაგრამ ეს ლტოლვაც და ოცნებებიც
არ თავდება და ვეღარ თავდება,
ალარ თავდება ახალ მზეებით
ახალ სივრცეთა აფერადება.

ალარ თავდება!
და ინაწილებს
ყოფნა ოცნებებს დროდ და საზრისად,
. . . ოცნება უძლვის ჩემს სინაშდვილეს
მეტაფიზიკურ პირველსაწყისად.

* * *

სანამ სულერთი არ არის შენთვის
სიღრმე გელათის ულურჯეს ზეცის,
სანამ სულერთი არ არის შენთვის
სწორუბოვარი სიმაღლე ბრეთის,
სანამ სულერთი არ არის შენთვის
განცდა, სიონის ზარებს რომ ერთვის,
სანამ სულერთი არ არის შენთვის,
მანამდე . . . შენთან იქნება ღმერთი.

* * *

. . . და ჩემი სიცოცხლის ხვედრად
სამყარო,
სამშობლო,
შენ და . . .
სამყარო – აუხსნელი,
სამშობლო – დაუხსნელი,
შენ – ჩემი ნატვრა და სევდა.

* * *

ველარ ავაგე ნაოცნებარი
სამყაროს ბურჯი, ციხე და კოშკი,
. . . მაინც ოცნებით გალობს ებანი
მზეშიც, წვიმაშიც, ქარშიც და თოვლშიც.
წარმოსახვებში მაინც უსაზმნო,

ძალით ვარისხებ ზარს ჩემი ტაძრის,
. . . მაინც ვოცნებობ და ამ უსაზღვრო
ოცნებებშია სიცოცხლის აზრი.

* * *

სამყარო არის, მაგრამ, რომ არის,
მხოლოდ ახლაა ნამდვილად ცხადი,
...შენ მოდიოდი
და მზისფერ თმებით
განგების ახალ სასწაულს ჰგავდი.
და შედგა წამი,
წამიც და გულიც,
გულიც და ქუჩაც,
ქუჩაც და მარტიც,
...სამყარო არის, მაგრამ, რომ არის,
მხოლოდ ახლაა ბოლომდე ცხადი.

სინამდვილე

იხსნი და წამსვე სხვას ისხამ,
ასე თაშაშობ ნიღბებით,
ათასფრად გარდისახები,
ათასფრად გარდაიქმნები.

შენს ნიღბებს იქით ვერ მოგწვდი
ვერც ერთი წარმოსახვითა,
რა არ ვცალე და ვერ გნახე
შენი ნამდვილი სახითა.

* * *

ელი, ქვლავ ელი ჟამის მოქცევას,
შაგრაძ ვაი, რომ შაინც არ გესმის
ის ხმა,
ლოგოსი და საოცრება –
იღუმალი ხმა უზენაესის.

ვაი, რომ მაინც, მაინც ვერ ხედავ
გადამტანელი ამდენ ვაების,
იმ ნებას,
ციურ და მაღალ ნებას –
ცხად და ერთადერთ ნებას ღვთაების.

ძე პაცისა: ავტოპორტრეტი

/ცილიდან “აღამიანი”/

ვოცნებობ! ესე იგი, ვბედავ
ვიტვირთო შემოქმედის როლი,
ამ აზრის გაელვება – ელდა –
რწმენაა – უკვდავების ტოლი.

ვოცნებობ! სინამდვილე – სფინქსი
გულს მიხსნის ამომცნობს და მისანს,
და ალყად გარშემორტყმულ ფიქრში
ვატყვევებ მოელვარე მიზანს.

ვოცნებობ! საწყისებად ვანთებ
ჩემს ხილვებს, წარმოსახვებს, გზნებას,
წყვდიაღში აბრიალებს სანთლებს
ოცნებით დამუხტული ვნება.

ვოცნებობ! ესე იგი, ვწვდები,
დაფარულ დიადემებს ვაგნებ,

ოცნების ალტაცებით ვხვდები
ოცნებით ამოზიდულ საგნებს.

ვოცნებობ! ესე იგი, ვილტვი,
მაწამებ, სივრცეებზე ფიქრო,
და სიტყვით, მიგნებული სიტყვით
სამყაროს უსაზღვრობას ვიპყრობ.

ვოცნებობ! სიყვარული თრგუნავს
სიმძაფრეს გადამბუგველ ვნების,
ჩემს ირგვლივ ყველაფერი ბრუნავს
ჩემს სულში გამოკვეთილ ნებით.

* * *

ახლა ჩემია ჰამლეტის ეჭვიც
და ავთანდილის ანდერძის სიბრძნეც,
სოკრატეს მიერ ნაყარი კენჭიც
უკანასკნელი მიმწუხრის პირზე.

გაუკვდავებულ წუთების გალა –
დრო – შიშველია როგორც ბორკილი,
და უკვე ალარ და ველარ ფარავს
ვერაფერს ჩემკენ თვალმოპყრობილი.

ერთი მარჭვალი – ჰამლეტის ეჭვი,
ერთი მარჭვალი – ანდერძის სიბრძნე,
ერთი მარჭვალი – სოკრატეს კენჭი,
ნაყარი სიკვდილ-სიცოცხლის პირზე.

* * *

მანამ

სულ უნდა

ვცადო, რომ ავხსნა: სამყარო რისკენ
და რისთვის იღტვის,
ეს სინამდვილე, ვით თავკიდური ყველა სასტიქ
და ულმობელ კითხვის,

მანამ

სულ უნდა ვძებნო საზრისი,

ამ ქევყნად ჩემი ყოფნის საზრისი –
ჩემი ნამდვილი პირველმიზეზი, და დასაბამი,
და დასაწყისი,

მანამ

სულ უნდა

ვუსმინო ზარებს, სასოწარკვეთით
დარეკილ ზარებს,
განგაშით, ურვით და ტკივილებით ავსებულ ხმებს
და დამუხტულ ქნარებს,

მანამ

სულ უნდა

ვიცოცხელო მხოლოდ წარმოსახვებით –

თეთრი სანთლებით,
თეთრ და უსაზღვრო ოცნებებით და ფერად
ფიქრით

და ფერად ლანდებით,

მანამ

სულ უნდა

გადავიაზრო აწ გამოვლილი ჟამნი
და ღრონი...

სანამ

სამყარო

არ გადიქცევა,

სამყაროდ
გონის, გონის და გონის.

და ყველა ის დროც...

წარწერა „ძველი მსოფლიოს
ისტორიის ნარკვეგებზე“

...და ყველა ის დროც ხსნის გზას ეძებდა,
ახლაც რომ ეძებს დრო დღეგანდელი,
და აღზევებდა და აღმერთებდა
იმედს ფიქრის და აზრის კანდელი.

ყველა...

ჩავლილი

მღვრიე მორევად,
ნისლიან ცაზე გამკრთალ მთიებად,
სამეფოების ჩონჩხად – შორენად,
ტახტებდალეჭილ დინასტიებად.

...ის დროც,

ის ჟამიც ფარაონების,
პირამიდებად ცისკენ წასული,
დრო – იჭვით სავსე მძებნელ გონებით
დატყვევებული და დადაღული.

...გაწამებული დროც გილგამეშის,
სულის უღრმესი ურვის დამტევი,

...ჟამიც – აზიის შეშლილ ღამეში
ბედთან მებრძოლი მითრიდატების.

...დროც ისრაელის,

ქცეული ცრემლად,
ხელაპყრობილი ვედრებაც ცისკენ,
იერემიას გოდებაც ველად
და სჯულმდებელის მაღალი სიბრძნეც.

...ჟამიც ელადის –

მზეზე ნახტომი
გადუმქრალი და მარადიული
შზიური, როგორც განსჯა პლატონის,
სანთელი, როგორც ხილვა ღვთიური.

...და რომიც,
უამი ჭერპების მსხვრევის
და მოტორტბანე სისხლში ტივივით,
სიცოცხლეებზე გავლილი კევრი,
კაცის და ღმერთის დიდი ტკივილი.

და მაღლდებოდა უამთა ვეზრება
უამთა ფიქრი და უამთა კანდელი,
ყველა დრო,
ყველა, ხსნის გზას ეძებდა
ახლაც რომ ეძებს დრო დღევანდელი.

* * *

სიცოცხლე, როგორც ფიქრი გაბმული
და გახლართული ფიქრებში გონი,
გაოგნებული და დაზაფრული
ამოშმიფრავის ამაო როლით.

ამაო როლით!
და ვერ ხსნის ნიღაბს
ამ სინამდვილეს ვერც ერთი ფიქრი,
...და ყველა ფიქრში ვარგარებს კითხვა
და არც ერთ ფიქრში პასუხი კითხვის.

რაღაც აპლია

რალაც აკლია ამ სინამდვილეს...
ანთებს, კვლავ ანთებს ფერებს გოგენი,
კვლავ უხმობს სული უცხო ნაპირებს,
ისევ დაეძებს კაცს დიოგენი,

ებრძვის, კვლავ ებრძვის ომერთს გილგამეში,
ეძებენ ფრთებს და ფრთებს ოცნებები...
და ვარსკვლავებით სავსე ღამეში
ჰქონიან და ჰქონიან ლურჯა ცხენები,

შითრავს, კვლავ შითრავს გულით და განსჭით
კაცს ნიცშე და დრო, დრო ულმობელი,
კვლავ ეძებს ნამდვილ სიცოცხლეს აზრი,
აზრი – სიცოცხლის აზრის მპყრობელი,

ისევ ამაღლებს კოლუმბი აფრებს,
უხმობს, კვლავ უხმობს ზეცა გაგარინს,
ისევ სწყურიათ სიცოცხლე ზოაპრებს,
სულს კვლავ აწამებს ფიქრი შალალი.

პოეზია

სითამამით გამოსტაცა
ფრთები
უამთა ბრუნებას
და ყველაზე აღრე გასცდა
მიწის მიზიდულებას.

მე ჩიმს თავს გეძებ...

(ციფლიდან „ადამიანი“)

მე ვარ!

მე ვცოცხლობ!

სიცოცხლის აზრი

ჩემში უცხადეს სიცოცხლეს ეძებს,
ეძებს, მე რაც ვარ, იმ ყოფნის საზრისს,
ეძებს, მე რაც ვარ, იმ ყოფნის ფესვებს,

მე ჩემს თავს ვეძებ!

და სული წვდება

სამყაროს შრებს და ჩემს თავს ვწვდები,
და უსაზღვრობის გადაშლილ გზებად
ანთია ჩემი სიცოცხლის გზები.

მე ჩემს თავს ვწვდები! და სინამდვილის
ლასაბამს ვწვდები, ჩემს თავს რომ ვაგნებ,
მზე ეგებება ჩემი ტკივილით
და ოცნებებით ფრთაშლილ აფრებს.

შენ ჰქმნი სამყაროს! ღვთიურ განგებით,
აზრო, და ნათლის სვეტად ენთები,
და ელვარებენ შენი ტაძრები,
როგორც სამყაროს ევერესტები.

შენ ჰქმნი სამყაროს! ფიქრო და ერთვი
შენს გზებად ერთვი ჟამს და დროებას,
მე, მე ვაქციე სამყარო ერთი
უთვალავ ფერთა სამყაროებად.

შენ ჰქმნი სამყაროს! ოცნებავ, შენ... და
ანთებ მირიად უწმინდეს კოცონს,
რამდენიც ცოცხლობს ძე კაცი ქვეყნად,
სამყაროც იმდენ სამყაროდ ცოცხლობს.

შენ ჰქმნი სამყაროს! გრძნეულო განსჯავ,
შენ, უკმარობის ენებავ, მაღალო,
მე ხელთ მიპყრია სამყაროს მაჭა

და სამყაროობს ჩემი სამყარო.

მე ჩემს თავს ვეძებ!

სიცოცხლის აჭრი

ელვარებს ჩემგან გადაშლილ გზებზე,
ვწვდები, მე რაც ვარ, იმ ყოფნის საჭრისს,
ვწვდები, მე რაც ვარ, იმ ყოფნის ფესვებს,

მე ვარ!

მე აქვთ ვარ!

სამყაროს ზღვართან,

მე ჩემს თავს ვეძებ და ჩემს თავს ვწვდები:
აწეულია სამყაროს ფარდა
მიაქრიან ჩემი სიცოცხლის გზები.

ვილტვი! და ლტოლვას არა აქვს ბოლო,
ჩემს სამყაროში, ჩემს გზებზე მივალ,
ჩემი სამყარო რომ სამყაროობს
იქ რეკავს ზარი და ვიცი: ვინ ვარ!

ჰამლეტ!

ყოფნა-არ ყოფნის შენი დილემა,
დილემა, როგორც ჯვარცმა გონების,
და ეჭვი, როგორც განამდვილება
შეუცხობელი ამაოების,

კვლავ ცოცხლობს!

და შენც

უამსა და ფიქრებს
სულის წამებას კვლავ უნაწილებ,
და აქსოვ შიშს და აქსოვ ტკივილებს
სიცოცხლეს, სიკვდილს და სინამდვილეს.

კვლავ ცოცხლობ: და კვლავ იწირავ მსხვერპლად

არარაობად ქცეულ ღიღებას,
და ისევ ეძებ მიწად თუ ზეცად
ყოფნის უმაღლეს ჟეშმარიტებას.

ყველაზე მაღალს! განაწამები
ფიქრი კვლავ ელტვის ფიქრით წამებას,
ისევ რეკავენ შენი ზარები
ყოფნა-არყოფნის გაბმულ ზარებად.

ისევ რეკავენ! ისევ იმ ხმებით
დღესაც მაღალი ეჭვის განგებით,
დღესაც,
როდესაც გოლგოთის გზებით
სიცოცხლის
ნამდვილ
აზრს

მივაგენით.

მაღალ აზრს!

ყოფნა!

ყოფნა, რომ აზრი
შიწვდეს სამყაროს არსა და აჩეს,
და ქვეყნად ყოფნის იდუმალ საზრისს –
ყოფნას ღვთაების ხატად და სახედ.

შენ მაინც ცოცხლობ!
მაინც!

და ცხადად
ამაღლებაშიც ხედავ ფანტომებს,
კვლავ რეკავ ზარებს კვლავ სულის ჭვარცმად,
და სულს არასღროს არ მიატოვებ.

ცოცხლობ, ვით სულის შიში და ძრწოლა,
და სული

ეჭვით და იმედებით
ყოფნა-არყოფნის
საჭომით
ზომავს
სიმაღლეს
თავის

შემოქმედების.
ზომავს გზებს მეცხრე სამზეოს იქით,
ზომავს გაფრენებს,
ზომავს ნახტომებს,
შენ ცოცხლობ
მტანჯველ ტკივილად ფიქრის
და ფიქრს
ვერასდროს ვერ მიატოვებ.

ვერ მიატოვებ! უკვდავი ეჭვი
შიპყვება სულის ჟამსა და სივრცეს,
სიცოცხლე
კვლავაც,
ისევ,
ვით შენში,
ყოფნა-არყოფნის კითხვიდან იწყებს.

ჩანაწერი პაილებერის პითხვისას

სული აიმღვრა ღამით და შხამით,
ზედიზედ რეკავს ზარს უარყოფა,
და უარყოფის დემონის ზარით
გესლიდან დგება ყოფნა-არყოფნა.

ჯვარზე გაკრული სივრცე და ჟამი
არარაობის მირაჟებს ელტვის
და უაზრობის შეცნობილ წამით
იმსხვრევა ყველა მაღალი სვეტი.

შიშით ავსებულ ყოფნაში გლოვა,
მიუსაფრობის ნისლი და გესლი...
სიცოცხლე, როგორც პირველი ცოდვა,
ამაოებად მიცურავს ბნელში.

აღარ თენდება! უთვალავ სფინქსად

ქცეულა ფიქრის მრავალწილობა,
და მიზანს, როგორც ამაო მიზანს,
დუმილით გლოვობს სულის ჭრილობა.

სულის წერაგს კითხვა: „რატომ“? და ფანტომს
ემსხვრევა სული, სივრცე და ჟამი,
რად კრავს კამარად განწირულ ნახტომს
მაღალი ვნების ცეცხლი და რვალი?

სული ივსება ნისლით და გესლით,
გაჩენის წყევლით, ნატვრით არყოფნის,
სიცოცხლით, როგორც სიკვდილის თესლით,
ამაო განსჯით და უარყოფით.

შიშში და ბნელში ფიქრი სისინებს,
შეძრწუნებული ამაო ლოცვით,
მე და შენ, ის და... ყველა ისინი...
ამაო სულით, ამაო ხორცით...

და სივრცეებზე ნაგები ხიდი
რჩება მარალის გაუვალ ხიდად
და გზად, რომელიც არსად არ მიღის
ამოების შეკრული წრიდან.

სულს მაინც უნდა, სულს... გზაც... და პეშვით
შესმული შხამით ფითრდება სული,
უაზრო ყოფნის ნისლში და გესლში
გადაგდებული და განწირული.

სული მარტოა, ცოდვებით სავსე,
და სიკვდილს ელის და წამებს ითვლის,
მიტოვებული გზაზე, იშ გზაზე,
რომ მიღის, მაგრამ არსად არ მიღის.

რეკს უარყოფა!
და უცებ ელდად
შენი ლიმილი ინთება სულში,
როგორც ყველაფრის წამლები ელვა
უგზოობაში, ზარებში, მწუხრში.

ინთება – ელდად და შეძრწუნებად,
ტკივილად – წამით რომ არ მახსოვდი,
ვით უსაზღვრობის შემობრუნება
სავსე შენით და მზის კალმასობით.

შენ ხარ!
და გზები შირიად მზისკენ
შენი
ზარების ძახილით მიგყავს!
...ლაძით და შხამით ალანძულ ფიქრებს
ვიცილებ, როგორც სხვისეულ ნიღაბს.

* * *

ზეცა მძიმეა, მღვრიე და ბლანტი,
უსახო, როგორც ფერი ჭაობის,
ზანტად და ნელა გვშორდება მარტი
დღეთა გაყინულ სანახაობით.

სულ უნდა: შორი დასალიერი
და ზეცა, ათას ხილვის მთოველი,
და მზენასვამი თვალსაწიერი
დასასრულების უარმყოფელი.

ვერ დამიმონებ!

(პოეტური ორატორია)

მე ვარ!
შორს,
სადღაც
არსებობს ზღვარი,

სიცხადე, სავსე ამღვრეულ ნისლით,
დაუძლეველი და გარდუვალი
ბოლო სამანი დროის და სივრცის.

სამანი!

და დრო,
ვით ლტოლვის განცდა
გაიგმირება ელდის მახვილით,
მახვილით! ზღვართან, იმ ბოლო ზღვართან,
ზღვართან სიცოცხლის და სინამდვილის.

და სივრცე!
ფერი,

ათასი ფერი
გაქრება დროის გამგმირავ წამით...
შე ვარ!

და ვიცი: ის წამი მელის,
მელის ღუმილის შეშლილი ზარით.

მელის!

იქ მელის!
როგორც ნაპირი,
დროის და სივრცის უსახურ ზღვართან,
დამსხვრეულ ზღვართან და სინამდვილის
უკანასკნელ და შეუცნობ კართან...

...ძეო – კაცისავ!
გაქრობის შიში
ცოცხლობ და ზღვარის პირისპირ დგახარ,
მახვილად ელავს ამ მოლოდინში
წყეული კითხვა: ვინ ხარ და რა ხარ?

შენ მიაბიჭებ –
უთვალავ მზეში,
ულურჯეს მწუხრში,
უთეთრეს თოვლში,
შენი ხილვებით სავსე სივრცეში
და შენი ლტოლვით ფრთაასხმულ დროში,

მიღიხარ!

სულში აღმდგარი ძრწოლა
მიგაფრენს, ქცეულს უმწეო ფიქრად,
იქით,

რისგანაც

ჯერ ასე შორს ხარ,
მაგრამ რასთანაც
უცილოდ მიხვალ.

და თუმც გაბრუებს ვარდების ფერი,
გესმის ივნისის ბგერათა ჩქამი,
და სიყვარულის გალობას მღერი
სიყვარულისგან ანთებულ წამით.

და თუმც

მიჰყვები აფრებს და ქარებს
იდუმალების პოვნად და წვდომად,
ყველაზე უფრო უმძაფრეს წამებს
უძღვნი ყველაზე უნათლეს ხსოვნას,

მაინც

გაწამებს გაქრობის შიში,
არარაობის პირისპირ დგახარ,
გაწამებს პირველ და ბოლო ფიქრში
შეუცნობელი: ვინ ხარ და რა ხარ?

მაინც გაწამებს კითხვა წყეული,
კითხვა – მახვილი – რატომ და რისთვის?
და უაზრობით სულდამსხვრეული
არსებობ მხოლოდ ხორცით და სისხლით...

...მელი!

იქ მელის!

მაგრამ ქე კაცში
ცოცხლობს პოტი, ცოცხლობს და იწვის,
ვით შემოქმედის მაღალ ნებაში
უარმყოფელი დროის და სივრცის.

ვერ დამიმონებ!
რადგან
ის,
რაც ვარ,
ცოცხლობს სამყაროს მზიურ განგებად,
ცოცხლობს თვალხილულ სამყაროს ჭვარცმად
და ნაოცნებარ ქვეყნის ამგებად.

ვერ დამიმონებ!
სულის ტკივილში
და სულის ცეცხლში, გზებს რომ მინათებს,
ჩემს სიყვარულში და სიძულვილში
იწვის პოეტი როგორც სინათლე.

იწვის!
და სული,
ვით ნათლის სვეტი
ელავს ღვთიური და მიწიერი,
და ჟამი – დროა მხოლოდ პოეტის,
სივრცე – პოეტის თვალსაწიერი.

ვერ დამიმონებ!
სიცოცხლის აზრი
ცოცხლობს
ფრთებში
და
ცოცხლობს გზნებაში
და სინამდვილე
ცივი და შეაცრი
იწვის პოეტურ ამაღლებაში.

და უცხადესი სიზმრებით ვხედავ
სივრცეს –
გაფრენილს
პოეტის ეტლით,
და დროს,
რომელსაც
არ თვლიან ღმერთად

მხოლოდ
ღმერთი

და

მხოლოდ
პოეტი.

და გზაც
პოეტის გზაა მძებნელი,
გზა, დადაღული მზით და ფიქრებით,
გზა – მპოვნელი და გზა – მიმგნებელი
მხოლოდ
პოეტურ
ჭეშმარიტებით.

ვერ დამიმონებ!
ელავს მახვილი
და ყველა საზღვარს დუელში ვიწვევ,
რომ
ჩემი ხილვით და სინამდვილით
უსაზღვროების მწვერვალებს მივწვდე...

და მე მაბრუებს ვარდების ფერი,
მესმის ივნისის ბგერათა ჩქამი,
მზისფერი ჭალის გალობას ვმღერი
სიყვარულისგან ანთებულ ღამით.

მივყვები ცისფერ აფრებს და ჭარებს
იღუმალების პოვნად და წვდომად,
ყველაზე უფრო
უმძაფრეს წამებს
ვუძღვი
ყველაზე
უნათლეს
სლოვნას.

და მივაბიჯებ უთვალავ მზეში,
ულურჯეს მწუხრში, უთეთრეს თოვლში,
უსაზღვროობად ქცეულ სივრცეში,
დაუსრულებელ და უკვდავ დროში.

შენ უპვე შენ ხარ

შენ უკვე შენ ხარ! და შენ ხარ, რაღგან
მიწვდი, რომ ქვეყნად შენი გაჩენა
ნიშნავს ამ ზეცის ისევ და ახლად
კიდევ ერთხელ და კვლავ გადარჩენას.

მიწვდი! და ჟამი იშლება გზებად,
გზებად, რისთვისაც ხარ გაჩენილი,
და ხედავ, როგორ იხსნება ზეცა
ზეცა შენს მიერ გადარჩენილი.

ყინვისში

ფერებგადასულ ფრესკებში ცოცხლობს
სულის მაღალი ტკივილი – ფიქრი,
წამიც და ქრისტეს ხელახლა მოსთხოვს
ღრო სისხლს და... ისევ მოწვეთავს სისხლი.

ყველა ფრესკაში ჯვარცმის ქარაგმა,
ტკივილი – წვდომის და ვერმიგნების,
და კვლავ ეძებენ: არსს და არარას
ფრესკები, როგორც ფიქრის ნიღბები.

ቍዢ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት

በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት.

በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት.

በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
በሆነ ብቻ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት.

ናዚህ ደንብ የዚህ ደንብ ስርዓት አለበት

የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት.

የዚህ ደንብ ስርዓት አለበት
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት,
የዚህ ደንብ ስርዓት አለበት.

გარათაშვილი

(«სულო ბოროტოს» დაწერის შემდეგ)

მიუსაფრობა - უსახო ტევრი,
ხილვა - უნდო და ეჭვი - შეშლილი,
აკივლებული ფიქრი - ვით ნერვი,
ნერვი - სხეულს და სულს მოწყვეტილი.

მომიახლოვდი, მდევარო, ბედად,
რომ განწირული ამაღლდეს სული,
და ვით ნამდვილი მაწამებს ვნება,
ისე ნამდვილად ვიძიო შური.

ათასჯერ გავჩნდი

ათასჯერ გავჩნდი!
და ყოველ უამში,
ახლად გაჩენის უახლეს გზებზეც
კვლავ ვპოულობდი ჩემს არსებაში
ახალ გზების და სიცოცხლის მძებნელს.

კვლავ ვპოულობდი
ახალ სიმაღლეს,
ახალ სიღრმეს და
ახალ განსასჯელს,
და სულის ახალ შრეთა მიგნებით
სიცოცხლის გზებზე გავჩნდი ათასჯერ,

კვლავ ვცოცხლობ!
და კვლავ ქრიან ქარები,
გადახსნილია უამი და სივრცე,
და ახალ გზებით მივექანები
ისევ ახალი გაჩენის დღისკენ.

ზარსულში, ოობორც ზამთა ნანგრევში

წარსულში, როგორც უამთა ნანგრევში,
შევდივარ ჩემი მზითა და ხილვით,
რომ ნანგრევების მღუმარ ზარებში
ჩავწვდე შენს სულს და ვნებას და ტკივილს.

მე ვიცი: ვინ ვარ!
და შენს სულს ვეძებ,
შენს სულს . . . და ზარებს შენეულ გზების,
სულს, რომ ყლავდა შენს განვლილ გზებზე,
ვით ტკივილები, ლტოლვა და ფრთები.

ხილვა – ეს ჩემი მზის სითამამე
ფერფლში კვლავ ანთებს სიზმრების წყებას,
და სტაცებს წუთებს და სტაცებს წამებს
ნანგრევებს, ქაოსს და დავიწყებას.

ზღვარს ვეძებ!
ჩვენს ზღვარს!
და უამთა ნანგრევს
ვალვიძებ ჩემი მზითა და ზარით,
სიცოცხლე ეძებს და უნდა ჩაწვდეს,
სად არის ჩვენი ნამდვილი ზღვარი.

ზღვარს ვეძებ!
მთავარს!
ვეძებ სხვაობას
ჩემი და შენი ვნების და გზების,
ვამალებ ფიქრის გამბედაობას
და შენს გადამქრალ სიცოცხლეს ვწვდები.

სად არის ზღვარი?!

სად?

სად?

ლტოლვაში?

ფიქრში? სიზმარში? სულის ტკივილში?

სულის ფრთებში და სულის ქროლვაში?

სად? სიყვარულში და სიძულვილში?

სად არის ზღვარი?!

სად?

სად?

მიზანში?

ზღვარი – სურვილში? ზღვარი – ვნებაში?

შემართებაში? გახსნილ ცისკარში?

დაცემაში და ამალლებაში?

მზის სითამამე!

მზის სითამამით!

მზის სითამამედ იწვის სიცოხლე,
და ხილვა, როგორც მზის კარნავალი,
წარსულო, შუქად გადმოგიწოდე.

მე ჩვენს ზღვარს ვეძებ და ჩამქრალ მზეში
შევღივარ ჩემი მზითა და ფიქრით,
ხელს გიწვდენ ჟამთა გაუვალ ტევრში
საუკუნეთა მიღმა და იქით.

გიხმობ! მე მინდა სურვილებს ნამარხს
მიგაპყრო მზიურ სურვილთა მზერა,
სულში ჩაგხედო და სულ ერთ წამად
ვაქციო დროის უსაზღვრო დენა.

სად არის ზღვარი?

ზღვარი – გზნებაში?

ზღვარი მსხვერპლში და ზღვარი ჯვარცმაში?

სად?

სად?

ცეცხლში და შემართებაში?

გარდაქმნაში და გარდასახვაში?

სად არის ზღვარი?

ზღვარი – ლოცვაში?

ზღვარი – ხილვაში? მეცხრე ზეცაში?

ზღვარი – პოვნაში?

ზღვარი – ხსოვნაში?

გზების და გზების გადაკვეთაში?

მე მზის შვილი ვარ და მზის ჩქერალით

ვანთებ წარსულის ნანგრევს და დუმილს,
და ფრთაასხმული, როგორც მერანი,
ჩემსკენ მოცურავს წარსულის სული.

მე მზის შვილი ვარ და ვით ცდუნებას
ლურჯ ცას ვაგებებ ნანგრევის სიზმრებს
და ტკივილები საუკუნეთა
სულის უცხადეს თვალებით მიმზერს.

მიცემერს! და ცხადად ელვარებს ვნება
შენი და მაინც მთლად ჩემეული,
და ზღვარი,
როგორც ქიმერა, ქრება
სივრცეებისგან თავდალწეული.

ვხედავ ანთებულ ვნებების წყებებს
გამქრალ ჟამთა და ჩამცხრალ ზეცისას
და ვერ ვასხვავებ საკუთარ ვნებებს
დროგადასული სულის ვნებისგან.

შენი სულისგან! წაშლილი ზღვარი
და ნანგრევებში აღმდგარი ფიქრი
იწვის, ვით ჩემგან წასული კვალი
საუკუნეთა მიღმა და იქით.

სიცოცხლე! იქაც ქროლვა და ლტოლვა,
იქაც – ფიქრი და იქაც ტკივილი,
იქაც ძიება და იქაც პოვნა
და სიყვარული და სიძულვილი.

სიცოცხლე! იქაც ელვა მიზანში
ელვა – სურვილში, ელვა – ვნებაში,
ელვა – ფრენაში, განსხილ ცისკარში,
დაცემაში და ამაღლებაში.

სიცოცხლე! იქაც – სულის მახვილებს
აშიშვლებს მაღალ სიცოცხლის ქარგა:
არ უნდა დაგრჩეს ეს სინამდვილე
ისეთი, როგორც იყო და დაგხვდა.

სიცოცხლე! იქაც – უსაზღვრობაში
ნახტომი, პოვნა და დამკვიდრება
და უსასრულო გზებზე ლტოლვაში
შენად ქცეული ჰეშმარიტება.

და მეყარგება დრო და საზღვარი
შენ სად თავდები, მე სად ვიწყები,
და რეკავს ჩემი დ შენი ზარი,
რეკავს ერთად და თავდავიწყებით.

იწვის ჩემი მზის სითამამეში
სული ჟამიდან ჟამში მღინარი
ჩემში გრძელდები:
შენ – გილგამეში,
შენ – პრომეთე და
შენ – ამირანი!

რამდენი ფიზრი აგიხდა უკვე

რამდენი ფიქრი აგიხდა უკვე
და რამდენ ზეცას შეახე ხელი
რამდენჯერ მოწყდი გადათვლილ წუთებს
და სამანს გასცდი უსაზღვრო ფრენით.

რამდენჯერ! მაგრამ ახდენილ ფიქრებს
ძველი ტკივილი იგონებს მხოლოდ,
და მაინც ისევ,
და მაინც ისევ,
აუხდენელი ფიქრებით ცოცხლობ.

* * *

დაგვევდა სმარაგდის ზეცა და მთები,
შზის ნათელი და სიზმრები მთვარის
და ხმები, წულის ამწეწი ხმები,
ღროის ზარის და სიცოცხლის ზარის.

და უნდა იქცეს: ზეცა შენს ზეცად,
და შზის მოქცევა: შენეულ უაძად,
სიცოცხლის დვრიტა: შენს გულის ფეოქვად
და ზარი: შენი გაფრენის ზარად.

* * *

რას ეწირება სული ტარიგად,
რა ჰყავს, რა, ღროთა დარღვეულ კავშირს,
რამ შეარკინა ღმერთებს ამირან,
რამ აამაღლა იესო ცაში?

რამ, რამ უარპყო სოკრატეს სულში
თავგადარჩენის მთვარე და გზები,
რამ დათმო მწუხრში, იმ ბოლო მწუხრში,
ელადის მზე და ელადის მთები?

რა ანთებს სულის მირიად სანთლებს,
რა იწვის სულის სითამამეში,
რა წვას, რას ჩაჰყვა ჭოჭოხეთს დანტე
და ემპედოკლე ეტნის კრატერში?

რა ამაღლებდა იმ ამაყ ჭვარცმას
და გალილეის ტკივილს და ურვას,
ინკვიზიციის წინაშე წარმდგარს
რამ ათქმევინა “ის მაინც ბრუნავს“?

რა ხმა ესმოდა სალაშვრო დაფთან,
აწეწილ სულში და დახშულ ზარში,

როს სააკაძემ ირანის შაპთან
თავმოსაკვეთად დატოვა ვაჟი.

რამ მიიყვანა ცოტნე ურდოში
ანისის ზეცის ცეცხლში და რვალში. . .
რა ანთებს ახალ მზეს საწუთროში,
რა ჰქონდეს, რა, დროთა დარღვეულ კავშირს?

* * *

იმ ოცნებებით სავსე ხარ ახლაც,
კვლავ გრძელდები და კვლავ იმ ფიქრებად,
რაც არ ასრულდა და რაც არ ახდა
და რაც არასღროს არ აგიხდება.

სავსე ხარ და კვლავ და ისევ ითხოვ
ზეცისგან ღმერთს და სულისგან ტაძარს . . .
. . . შენ არ შეგეძლო სხვაგვარად იმ დროს,
არ შეგიძლია სხვაგვარად ახლაც.

* * *

მხოლოდ შენ არ ხარ!
სხვა ყველაფერი,
სხვა ყველაფერი არის უცვლელი,
კვლავ შეღამება . . . მარჯნით ნაფერი,
კვლავ გემი . . . პორტში შემოუსვლელი.

მაგრამ შენ არ ხარ!
ხარ შორს და საღლაც . . .
და ეს ცა არ ჰქონდეს ცას იმ აპრილის,

ეს ზღვა და ტალღა იმ ზღვას და ტალღას
და იმ ზღვის ნაპირს ეს ზღვის ნაპირი.

ოცნებით მაინც (ციკლიდან “ადამიანი”)

შენ გაჩნდი! და ამ გაჩენით ისიც,
ის გარდუვალი სამყაროც გაჩნდა,
რომელიც გიხმობს . . . და ფერად სიზმრით
ანთებს შენს მზეს და შენი მზის შარგანს.

და მიჭაჭვული სივრცეს ბორკილით
და ტყვე შეუცნობ დროის ნიუარის
და დადალული და შებოჭილი
იმით, რაც პოვე და შეიცანი -

შენ,
ერთხელ მაინც,
ოცნებით მაინც,
შენს თავს ოცნებით მაინც მიაგნებ,
ოცნებით მაინც მიაწვდენ ძახილს
ოცნების სივრცის მერიდიანებს.

ოცნებით მაინც დაიპყრობ მწვერვალს,
ტაძარს ოცნებით მაინც აიგებ,
ოცნების ცაში ოცნების ელვას
ოცნებით მაინც დაათარიღებ.

ოცნებით მაინც დარახტავ მერანს,
ოცნებით მაინც დაამსხვრევ ბორკილს,
ოცნებით მაინც მიიტან ღმერთთან
სულის უსაზღვრო ტკივილს და ლოდინს.

ოცნებით მაინც . . .
უკიდეგანო

ლტოლვას შეაწვდენ შენი მზის მარჯანს,
რომ სინამდვილედ იქცეს სამყარო,
შენს გაჩენასთან ერთად რომ გაჩნდა.

რად ბაჭამებენ ჰორიზონტები

რად გაწამებენ ჰორიზონტები
უსასრულობის იღუმალ ზღვებზე,
რად ვერ სცილდები,
რად ვერ შორდები
ფიქრებს შორეულ და უცნობ გზებზე.

რად ფეთქდებიან სიმალლეებად
ვნება – წვდომის და ვნება – მიგნების,
რად გეძახიან ლურჯ სივრცეებად
გამლილ ვარსკვლავთა პარადიგმები.

რატომ მიუზღე მარადის ჯვარცმად
პირველსაწყისთა ძებნა გონებას,
რად ელტვი ყველა საზღვარის წაშლას
და დასრულებულ უსაზღვროებას.

შპვე დაადგი ზეხი მთვარეზე

უკვე დაადგი ფეხი მთვარეზე
და ეზიარე მთვარის ფანტომებს,
და მაინც, მარად მოასპარეზე –
სული მიელტვის ახალ ნახტომებს,

ახალ ჰორიზონტს ახალი სივრცის,

უსაზღვრობაში გაშლილ პლანეტებს,
. . . ის უკვე იყო, მთვარეს რომ მიწვდი
და რომ დაადგი ფეხი მთვარეზე.

* * *

რაღაც გაწამებს . . . სხვა მისაწვდომი,
სხვა გზა, სხვა ზეცა, სხვა მოლანდება,
სხვა სივრცეები და სხვა ნახტომი,
სხვა სიყვარული და მონატრება.

სხვა საოცრება, სხვა ზმანებები,
სხვა ნაპირი და სხვა დასაპყრობი,
სხვა გაელვების ცეცხლის ენები,
სხვა ელვარებით სავსე მნათობი.

სხვა სიცოცხლე და სხვა ამაღლება,
სხვა გაზაფხულთა მწუხრის ფერები,
სხვა ოცნებათა ამონათება,
სხვა ზარი, სხვა ხმა, სხვა სიძლერები.

სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო,
სხვა განგება და სულ სხვა ღმერთები,
. . . ეწამე, სულო! ესაა მხოლოდ,
რითაც სამყაროს გზებს უერთდები.

მწვერვალები სიყრმის მეგობრებს

ისევ აქ ვარ, ჩემს ბაგრატზე, ჩემი ყრმობის
პარნასზე,
ჩახჩახა შზე აელვარებს სიჭაბუკის დარბაზებს,
ისევ აქ ვარ, ამ ნათელში, ამ უნაზეს ფერებში,
კვლავ ანთებულ ზმანებებში, გაცოცხლებულ
ბგერებში,
ჰეი, ლტოლვავ, იმ დღეების, - მწვერვალების
დაპყრობის,
ლტოლვავ ზღვართა გადალახვის, პორიზონტთა

გაქრობის,
რა ნამდვილი იყო ფიქრი აქ ანთებულ
მწუხერებში,
რა ნამდვილი ტკივილი და რა ნამდვილი ნუგეში,
რა ნამდვილი ოცნებები, რა ნამდვილი ფერი და
რა სიმაღლე - ატყორცნილი ნამდვილ
იმედებიდან,
რა ნამდვილი ალტაცება, რა ნამდვილი ქადილი,
რა ნამდვილი მონატრება, მოლანდება -
ნამდვილი,
ჰეი, ლტოლვავ, იმ დღეების სულის გამონათებავ,
ჰეი, ლტოლვავ, იმ დღეების ლვთაებავ და
განგებავ,
შაშინ, როცა მწვერვალებზე გაელვებას
ვნატრობდით,
როცა გვძრავდა ბიძგი მაღალ მწვერვალების
დაპყრობის,
როს სიზმრები მნათობებად მაღლდებოდნენ
ზეცაზე,
ჩაშინ ვმდგარვართ უმაღლეს და უნამდვილეს

მწვერვალზე,
. . . ისევ აქ ვარ, ჩემს ბაგრატზე, ჩემი ყრმობის
პარნასზე,
ჩახჩახა შზე აელვარებს სიჭაბუკის დარბაზებს.

შპანასპანელი ზოთლები

უკანასკნელი ჭინება ფოთლები,
სიგრცე ივსება ყვითელ ფანტომით,
თვალსაწიერო, კვლავ იმოსები
ქარით, ნოემბრით და შემოდგომით.

ერთად ატოტებს მირიად არგანს,
აწყდება ხეებს ნოემბრის ქარი,
და ფოთლებს რჩებათ სულ ერთი . . . მაგრამ
უსაზღვრობაში გაფრენის წაში.

სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი

სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი,
მცხეთის ჭვარზე თუ ცოტნეს ანისში,
თუ იქ, სად ელავს მზის ქარნავალი –
ქართული ლექსი – შოთას შაირში,

დიღგორს შემართულ ხმალის გზნებაში,
ყინწვისის ფრესკის ნათელ ღიმილში,
ლურჯა ცხენების გაელვებაში
და სულხან-საბას სულის ტკივილში,

მერნის ფრენაში გზებზე ქარიშხლის,
შუმერის მზეში მიგნებულ ფესვში,
ბანას ზარში თუ ველზე კრწანისის
თუ იქ, შირაზის ანთებულ ცეცხლში,

სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი,
სულს უნდა შისი დასტურლამალი,
სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი,
სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი?. .

* * *

ხომ მართლა იყო და ჩემში იყო
სიყრმის დღეები, ზეცა, სიზმრები,
ის უსახელო და უთარილო
მწვერვალები და კათარზისები.

ხომ ხელში მეპყრა რიონის ტალღა,
ხომ მმორჩილებდა არსი ყოველი,
რაც ჩემში იყო . . . რად გახდა ახლა,
ასე შორი და მიუწვდომელი . . .

* * *

კვლავ ცოცხალია ყველა ის მწუხრი,
ყველა ის გზა და ყველა ტკივილი,
იმ ძარტის თოვლიც და ზამთრის სუსტიც,
ის მთებიც და ის ტალღაც ყვირილის,

იმ ნატვრის სევდაც, უსაზღვრო სევდაც,
ყველა შეხვედრა და განშორება,
აკლავ ცოცხალია . . . რაღან იმ დღეთა
ექრა მთელი ჩემი ცხოვრება.

მს საშპანეო . . .

როგორც სხვა ყველა იესოს წინ და
როგორც სხვა ყველა იესოს შემდეგ,
ეს საუკუნეც . . . იმ პირველ დღიდან
და ჯვარცმის გზებით . . .
და ჯვარცმის გზებზე

ეძებს,
კვლავ ეძებს
და ისევ ეძებს,
იმედის ნაპირს, კონცხებს, შუქურებს,
და მიაბიჭებს
იმ სასტიკ
გზებზე,
ძიების გზებზე . . .
ეს საუკუნეც.

... ოა ერთხელ უკვე

და ერთხელ უკვე ჭვარს ვაცვი ლამე,
და ერთხელ უკვე დავლვარე სისხლი,
და ერთხელ უკვე მივაგენ, ჰამლეტ,
ჰასუეს, შენს შეირ დასმული კითხვის.

რამ გააშიშვლა ახლა ეს წამი -
მოულოდნელი და უცაბედი,
ვინ ჩამორეკა ხელახლა ზარი,
ვინ დასვა ისევ კითხვა ჰამლეტის?

* * *

ახლაც სანთელი მიპყრია, ახლაც,
თუმცა მზე კოშკებს ზენიტზე აგებს
და უსაშველო სინათლე ახლავს
ზეცას და მიწას, ნივთებს და საგნებს,

თუმც ყველაფერი კაშკაშებს მზეში,

თუმც ყველაფერი მზის სხივებს მიაქვს . . .
მაინც უსანთლოდ ამ სინათლეშიც
ვერ შეაბიგებ სამყაროს წიაღ.

* * *

შენ ხარ!
შენ ცოცხლობ!
და ჩადგან ცოცხლობ,
გარდუვალ ნებით ზეცის და მიწის,
შენ
საკუთარი სიცოცხლე მოგოხოვს
პასუხს
პილატეს სასტიკი კითხვის,
პასუხს
ჭეისრის სასტიკი კითხვის,
პასუხს
ჰამლეტის სასტიკი კითხვის.

და მაინც . . .

უკვე აღარ თვლი საოცრებებად,
უკვე აღარ თვლი სასწაულებად,
. . . არც ტკივილებად და იმედებად
და ოცნებებად გაძლილ ბუნებას,

აღარც სისხლიან უამთა ქაოსში
ცისკენ აღმართულ თეთრ პირამიდებს
არც შეცნობილ და ცხად სამყაროში
შენს სიცოცხლეს და შენს სინამდვილეს,

აღარ გაოცებს წვდომა ლოგოსში –
საკუთარ თავის ქებნით და წვდომით,
არც გაყვლეული გზები კოსმოსში,
არც შიუწვდომელ ვარსკვლავთა ხომლი,

აღარც უმწვანეს რტოთა შტრიხებით
აელვარებულ ალვის შრიალი,
არც უსასრულო გალაქტიკების
ტრიალი, ბრუნვა და ხეტიალი,

ვეღარ გაკვირვებს ფერისცვალება
ზღვის მოქცევისას ცდომილ მხათობის,
ვერც მრუმე ცაზე ფერმკრთალ ქარვებად
ამოტვიფრული ირმის ნახტომი,

ვერც დაძლეული ჟამი და სივრცე
ვერც ხმები, შორი და მკვეთრი ხმები,
და შენ

ყველაფერს
საოცრად მტკიცე
და შეუვალი სიმშეიღით ხვდები.

. . . აღარც შენს ლტოლვას და ოცნებებად
გაფრენილ მერნებს და ფერად აპრილს,
უკვე აღარ თვლი საოცრებებად . . .

. . . და მაინც

ელი
სასწაულს
ნამდვილს.

შებინდებისას (ფიქრი)

მწუხარში ირღვევა დროთა კავშირი,
მწუხარში ირღვევა ჟამთა ლოგიკა . . .

. . . რად გაჩნდა ახლა ფიქრში – ტაშირი . . .
და როგორ მოჰყვა ტაშირს – მობიდან.

რას, რას გადაპყავს ჰამლეტზე ფიქრი
ფიქრში სინათლის უსწრაფეს სხივზე
ან ბასიანში დაღვრილი სისხლი
რამ ამოანთო ფიქრების მძივზე.

რით დაიხატა – თეთრი ალუირი,
ჩემი და მაინც უცნობი ხანძთა . . .
დარღვეულია დროთა კავშირი
დარღვეულია ლოგიკა ჟამთა.

* * *

. . . და კი არ ვნატრობ, მწამს და მოველი,
რომ კვლავ ამავსებს, ისევ ამავსებს
დღევანდელ დღეთა უარმყოფელი
სხვა გაზაფხული და სილამაზე,

სხვა ზეცა და სხვა ზეცაზე სხვა მზე
(რომ ააელვებს სხვა მეტეორებს),
სხვა სიყვარული, რომელიც არც ერთ
წინანდელს
აღარ
გაიმუორებს.

* * *

ძალა თუ ჰქონდა ქვეყნის გაჩენის,
ძალა თუ ჰქონდა ხათლის მოფენის,
რომ ჰქონდეს ძალაც
სასტიკ დამსჯელის
და ამ სამყაროს უარმყოფელის!?

მაშინ,
ო, მაშინ . . . სასჯელს საშინელს.
წამიდან წამზე უნდა ველოდეთ,
და, აპა, ღმერთო, ეს სინამდვილე,
და მინდა შენი მართლა მჯეროდეს!

აზრის მონოლოგებიდან

. . . და მაინც არ ჰგავს ეს სინამდვილე
იმას, რომელსაც ოცნებით ვხატავ. . .
რამდენჯერ უნდა გაფითრდეს ფიქრი
ყოფხა-არყოფნის დაწყევლილ ზღვართან,
რამდენჯერ,
თეთრი პირამიდები
რამდენჯერ უნდა გაფრინდნენ ცისკენ,
რამდენჯერ უნდა შეძრას სიკვდილში,
ღმერთის და სულის სიკვდილმა ნიცშე,
რამდენჯერ უნდა შეძრაწუნდეს გონი
უღვთოდ წაშებულ მაცხოვრის ხატთან,
. . . და მაინც არ ჰგვს ეს სინამდვილე
იმას,
რომელსაც ოცნებით ვხატავ.

მინაწერი შესაირის სამოცდამექვსე სონეტზე

ვკითხულობ შექსპირს!
ტრიბუნაზე,
დროის პირისპირ
ხელახლა ვუხმობ
ოთხასი წლის
ტრიბუნს და პოეტს,
და როგორც დასტურს
პოეზიის
მარადეამობის –
დღევანდელი დღით
ვათარილებ
შექსპირის სონეტს!

ჯერ მხოლოდ ერთხელ

ჯერ კვლავ შორსაა ის სინამდვილე,
ჯერ მხოლოდ ერთხელ ეწამა ქრისტე,
ჯერ მხოლოდ ერთხელ
ტატოს შერანძა
ერთხელ მოასწრო ნახტომი მზისკენ,

ჯერ მხოლოდ ერთხელ,
სიცოცხლის აზრი
ერთხელ განსაჭა ეჭვით ჰამლეტმა,
ცოდვილ სამყაროს ცოდვილი გზები
წარღვნამ ჯერ მხოლოდ ერთხელ წალექა,

ჯერ მხოლოდ ერთხელ
მოსტაცა ცეცხლი
პროშეთემ ზეცას და ღმერთად იქცა,
ჯერ მხოლოდ ერთხელ თქვა გილგამეშმა
არსის სიღრმეთა მხილველის სიტყვა,

ჭერ მხოლოდ ერთხელ
დაეცა რომი,
ერთხელ აიღო ვან გოგმა ფუნჯი,
ჭერ მხოლოდ ერთხელ მოვიდა მოსე
და ძე კაცს ერთხელ ჩახედა სულში,

ჭერ მხოლოდ ერთხელ
აანთო კანტი
ვარსკვლავებიან ცით გაოცებამ,
ჭერ მხოლოდ ერთხელ აღმართა შუბი
წმინდა გიორგის თეთრმა ოცნებამ,

ჭერ მხოლოდ ერთხელ
უმღერა შუზამ
მამის ტკივილით შეძრულ აქილევსას,
. . . ჭერ კვლავ შორსაა,
ჭერ კვლავ შორსაა –,
ჭერ კვლავ შორსაა
ის სინამდვილე.

* * *

ამოხსნილია ამოსახსნელი,
შეცნობილია შესაცნობელი,
ანთებულია ყველა სანთელი,
გაშიფრულია არსი ყოველი,

და მაინც,
მაინც
გადაუშლელი
კვლავ რჩება რაღაც ამ შრეებს იქით,
კვლავ იდუმალი და აუხსნელი,
ვით ყრუ და შუნჯი პატიმრის ფიქრი.

დემოკრიტე

მე თვალებს ვითხრი! და გადაქრება
ეს მზეც, ეს ჭეცაც და ეს ფერებიც,
და პაროქნონის სვეტების წყებაც,
და შეგრძნებათა ეფემერებიც.

უნდა გადაქრეს! . . .
ელვარებს ლურჯად
ალმოდებული მხურვალე რვალი . . .
მე თვალებს ვითხრი, სამყაროს უნდა,
შევხელო
მხოლოდ
გონების
თვალით.

პაროქნონი

ეს სიცხადეა თუ ეჩვენება
ჭეცაც სხვაა და მზეც სულ სხვაგვარი,
და განთიაღიც . . . სულ სხვა ფერებად
სხვა ზღვის ნაპირზე ნაკალმასარი.

ნუთუ ისე, ვით წარღვნის ზღაპარში,
სამყაროს ბჭენი მართლა შეიძრა,
და მას . . .
სხვა მზის ქვეშ, სხვა ქვეყანაში,
და სულ სხვა მთაზე გამოეღვიძა.

ბოროტი საუკუნე

უარყო ღმერთი,
ვით აბსურდი
 ჯვარცმულ გონების,
ცეცხლი შეუგზნო
 ქრისტეს გზებს და
 ქრისტეს სამართალს,
ვით აიაზმა,
 სისხლი შესვა
 მილიონების
და მზის ბომონზე
 კალიგულას
 ძეგლი აღმართა.
უარყო აზრი,
ვით ქე კაცის
 სამყაროს არხე,
როგორც
 უსაზღვრო გრიგალების
 პირველსაწყისი,
სიკვდილი უზოვ
 სიცოცხლისთვის
 შემართულ გრაკებს,
და ჩირალდნებით
 იზეიძა
 ეს კათარზისი,
დრო, დრო შებოჭა,
 როგორც გველმა
 ლაოკოონი,
და ცისფერ მირაჟს
 შიანიჭა
 უამთა დიდება,
გზაჯვარედინებს
 დაეუფლა,
 როგორც დრაქონი
და სუკუნოდ
 დაატყვევა
 ჭეშმარიტება.
უარყო ფიქრი!
 ქეშმარიტება.

და დადაღა ელდით
 და მოთმინება ჩაულვარა
 სულში იობის,
 წამებულ განსჯას
 თავს დააღგა
 გვირგვინი ეკლის
 და დაავიწყა
 ისტორია
 კაცობრიობის.
 უარყო ღმერთი,
 ვით აბსურდი
 ჭვარცმულ გონების,
 ცეცხლი შეუგზხო
 მოსეს გზებს და
 მოსეს სამართალს,
 ვით აიაზმა,
 სისხლი შესვა
 მილიონების
 და მზის ბომონზე
 კალიგულას
 ძეგლი აღმართა.

* * *

. . . და არაფერი,
 სულ არაფერი,
 აღარაფერი
 აღარ შეცვლილა,

იმ დღიდან, როცა
 ყოფნა-არყოფნის
 კითხვა დაუსვა
 უფალს შექსპირმა.

. . . და არაფერი
 სხვა და უცნობი,

და არაფერი
სხვა და სიახლე,

იმ დღიდან, როცა
ამაოებად
გაშიფრა ყოფნა
ეკლესტიასტებ.

. . . და არაფერი
შესაცნობი და
გამოსაცნობი
როგორც მიზეზი,

იმ დღიდან, როცა
ცეცხლად აინთო
უამთა წრებრუნვა
ჰერაკლიტესი.

* * *

შენს ფიქრში ახლაც ნათლად ჩანს კვალი
ქრისტეს ფიქრის და დემონის ფიქრის,
და კრთება ზარი, ექო და ზარი
ეკლესიასტეს მწუხარე წიგნის.

და უნდა ჩანდეს!
შენს ფიქრში
ზარად
უნდა უსმენდე ბიბლიის სტრიქონს,
რაღან სამყარო ისაა მარად,
რაც იყო . . . ერთხელ და უკვე იყო.

* * *

ვარსკვლავთმრიცხველნო!
გალაქტიკების
შზეებს რომ იყყრობთ ტელესკოპებით,
როცა ზეიმობთ
ციურ მიგნებით,
როცა მაღლდებით
ციურ ოცნებით,

შეხედეთ ზეცას: ლურჯი ტატნობი
გადაუქარგავთ წვრილოვალა ქარვებს,
და არის მთვარე – ზეცის მნათობი
და არის კიდევ
მთაწმინდის მთვარე.

ჰერაკლიტეს მონოლოგებიდან

გონი რომ ჩაწვდეს სამყაროს ლოგოსს,
პირველსაწყისებს რომ შიწვდეს აზრი,
სულმა რომ ახსნას: რითი და როგორ
აგებს კამარას საკუთარ ტაძრის,

რომ დავინახო კოსმიურ გზებზე
მარადი ცეცხლი როგორ გიზგიზებს,
მე უარს ვამბობ
ჩემს ლვთიურ ხვედრზე –
მეფის ტახტზე და მეფის გვირგვინზე.

აზრის აპოლოგია

. . . და სინამდვილეს
აუჭანყა გილგამეში და
ექლესიასტე
აუჭხედრა დროსა და სივრცეს,
სიცოცხლის დვრიტად
გაიელვა ჯვარცმის ფრესკიდან
და სიკვდილითა
სიკვდილისა დათრგუნვის სიბრძნედ.
უამი მისია!
და უამიდან უამში
გადადის
უამად სიცოცხლის,
უამად ნგრევის,
უამად შენების,
და უამს დაეძებს,
უამს ღვთაებრივს,
უკვდავს,
მარადისს,

უამს – მზის ზეობის
და გაფრენილ
ლურჯა ცხენების.
მისია არსი . . .
და ელვარებს
აზრი – სიტყვაში,
აზრი – განსჯაში.
სიყვარულში,
ტაძრის თაღებში,
აზრი – მახვილში,
აზრი – ფიქრში,
აზრი – მიზანში.
აზრი – ლოცვებში,
ოცნებებში,
წარმოსახვებში.

და სინამდვილეს აუჭანყა
 ამირანი და
 ბარათაშვილი
 აუმწედრა
 დროსა და სივრცეს,
 ჰქმნის და უარყოფს,
 და ისევ ქმნის,
 კვლავ და თავიდან
 სინამდვილეებს,
 ვით საკუთარ
 სამყაროს ნიღბებს.
 კვლავ აუჭანყებს,
 კვლავ უარყოფს,
 კვლავაც დაამხობს,
 კვლავ გადალახავს
 შეუცნობლის
 ზღვარს და ნაპირებს,
 რომ საკუთარ თავს
 ვირამიდად
 წამოუმართოს,
 ფიქრში რომ ხედავს,
 მზიურ ფიქრში –
 ის სინამდვილე.

კვლავ ვიბადები

კვლავ ვიბადები . . .
 როცაა ირგვლივ,
 რასაც ტყვედ ჰყავდა აზრი და განსჯა,
 ყველაფერს ვშითრავ განმკითხველ ფიქრით,
 ყველაფერს ერთად ვუსინჯავ მაჯას.

ყველაფერს ერთად ვაცილებ ნიღაბს,
 ყველაფერს ერთად ვუშიშვლებ სახეს,

ყველაფერს ერთად, ვით ახსნილ იგავს,
ყველაფერს ვარქმევ მის ნამდვილ სახელს,
და ვიბადები.

* * *

სამყაროს, როგორც თვალდათხრილ ციკლოპს,
გზა აებნა და ახლა ბრმაღ მიღის,
და სინამდვილეს,
ვით ველურ ციკლონს,
ქაოსებისკენ მიაფრენს ბინდი.

მხოლოდ შენ ძალგიძს,
ძალით გრძელებულით,
აზრო, ბრმა თვალზე ქვერთხის შეხება,
თორებ სამყარო გზაარეული
ბნელ უფსკრულებში გადიჩება.

* * *

ეს ის ფერფლია. . .
იმ ფიქრის კოცონს,
აბრიალებულ კოცონს რომ დარჩა,
როცა დანებდი სვეს, როგორც მონლოლს,
როცა სატანად მოვიდა განსჯა.

და დარჩა ფერფლი! ჟამი კი მიჰქრის,
ვით სივრცეებზე ცხენი უბელო,
ისევ აღსდგება ფიქრი, ვით სფინქსი,

და ამ ფერფლს . . .
სული არ შეუბერო.

* * *

ეს კოსმიური უსაზღვროებაც,
ეს უნაზესი ვარდის კონებიც,
ამღვრეული და შმაგი ღროებაც
და შეშლილ ჟამთა სტიქონებიც,

ეს ზარიც, სივრცეს გადანაფენი,
ეს ფიქრიც გზებზე, მიუწვდომ გზებზე,
. . . როგორ ლაგდება სუყველაფერი
საკუთარ თავის მიგნების შეძლევ.

* * *

არა, არ ახდა ფიქრი არც ერთი,
ოცნება მაინც ოცნებად შრჩება,
და მიუწვდომლად – ცის სასარკეთი,
და ეს ქვეყანა – აუხსელ ქვეყნად.

და გზები ისევ მიუვალ გზებად
და გაუშიფრავ ანად და ჰოედ,
. . . რალაცას მაინც ხომ ვტოვებ ქვეყნად, -
ამ აუხდენელ ოცნებებს ვტოვებ.

* * *

გადიან წლები
და საუკუნეც
უახლოვდება ზღვარს დასასრულის,
დღეები მიაქვს ჟამის უკუნეოს,
შენ კი,
შენ
მაინც არ გაქვს წარსული.

არ გაქვს! და ჭვლავაც და ისევ ის ხარ,
ის ხარ, ვინც პირველ ბჭესთან იყავი,
ისევ არ იხსნის სამყარო ნიღაბს
და ისევ ჩჩება გაუშიფრავი.

არ იხსნის ნიღაბს! . . . ბგერა და ფერი,
და მოციმციმე ვარსკვლავთ კრებული . . .
და ისევ ის ხარ – შემძეცნებელი,
და ისევ ის ხარ – შეყვარებული.

მინაშვრი პლატონის დიალოგებზე

დავტოვე მღვიმე!
და ეს ქვეყანა
მაინც ლანდია, ლანდი და ლანდი,
ლანდი გზებად და ლანდი ზეკარად,
ლანდის აპრილი და ლანდის მარტი.
ლანდია!
. . . ჩემში სიცოცხლის დვრიტა,
ნამდვილად აწრთობს ნამდვილ მახვილებს,
. . . იმის ლანდია, რაც მსურს და მინდა,
იმის ლანდია ეს სინამდვილე.

მონანიება

ეს იყო რწმენა!
მერე კი, როცა
განსჯამ ეჭვით და ეჭვმა ძიებით
ნიღბები შოხესნეს სისხლიან დროუამს,
სული შეძრწუნდა მონანიებით.
და ვინანიებ!
რომ იმ მხურვალე
რწმენით რეცავდნენ ზეცის ზარები
და საჭკუნის წლები ბრუნავდნენ,
როგორც ოქტომბრის თანამგზავრები.

ნიღბები

ნიღბები გვესხა . . .
და ვით ამაყ ტრიუმფატორებს
გუნდრუკს ვუკმევდით
ტრიბუნებზე
შემდგარ ნიღბოსნებს,
და გვთხოვდა ჟამი,
როგორც მორჩილ გლადიატორებს,
მის მიერ შექმნილ არენაზე
სისხლს და სიცოცხლეს.

ნიღბები გვესხა . . .
და ვუძლვნიდით
მაღალ სონეტებს
ნიღბის პარნასზე
ამაღლებულ
ნიღბებს - ცეზარებს,
ქვეყნად
ავზნიან გრიგალებად

მოსულ ოქტომბერს,
თებერვლის ცაზე
ბედისწერად
მბრწყინავ კენტავრებს.

ნიღბები გვესხა . . .
და შიშისგან
ნაბოძებ ნიღბებს
ზეცად აჰერონდათ
ტაშის ხმა
და ტაშის კამარა. . .
და დრომ აკრძალა
ჭეშმარიტი ეჭვი
და ნიცშე,
აკრძალა ეჭვი
და დრომ
განსაჭა დაასამარა.

ბრუნავდა ჟამი. . .
დრო —
ნიღბების კარნავალი და
ჟამი ქცეული
ნიღბის ქვეყნად,
აზრად, მიზნებად,
და სულს ფერფლავდა
დემონური
ცეცხლის ალი და
ინკვიზიციურ
კოცონების
აგიზგიზება.

ნიღბებს იჭით კი . . .
შეშლილივით
კიოდა ფიქრი,
შიშის კლდებზე
გაღაჩენილ
ფიქრის კივილით,
კიოდა ფიქრი —
სიძუღვილი
სატანურ ნიღბის,

ფიქრი – განკითხვა,
ფიქრი – გლოვა,
ფიქრი – ტკივილი.

კიოდა ფიქრი. . .
და ითხოვდა
სასტიკ ჟამისგან,
დაკარგულ ზეცას,
დაკარგულ ჭვარს,
დაკარგულ ზარებს,
ნამდვილ სიცოცხლეს,
ნამდვილ ჭვარცმას,
ნამდვილ ქარიშხალს,
ნამდვილ სიყვარულს,
ნამდვილ მწუხარებს
და ნამდვილ მთვარეს.

კიოდა ფიქრი . . .
და დაკარგულ
ღმერთს დაეძებდა,
მიზნად,
საწყისად,
თავკიდურად,
პირველმიზეზად,
განკითხვად მოსულს
მირიადი ნიღბის
ფესვებთან –
გაუცხოებულ
და გულბოროტ
სინამდვილესთან.

მე ვიხსნი ნიღაბს!
მორჩილისა
და მუნჯის ნიღაბს,
ნიღაბს ზეიმის,
აღტაცების
და იმედების,
და მახვილივით
ვაელვარებ პამლეტის კითხვას,
ღმერთს ვეძებ ჩემში

და ლვთის მძებნელ
განსჯას ვნებდები.

მე ვიხსნი ნიღაბს!
უამის მიერ
ნაბოჭებ ნიღაბს,
მიგნებულ ლმერთის
და ფრთაგაშლილ
ფიქრის იმედით,
და ლვთის იმ სიტყვას,
ქვეყნის შემქმნელ
იმ პირველ სიტყვას,
ვით ჩემი სულის
იმპერატივს, -
ვემორჩილები.

* * *

. . . და შენში, როგორც იმპერატივი,
არსებობს რაღაც და არ გავიწყებს
არც ერთ სიხარულს და არც ერთ ტკივილს,
სახეებს, ხილვებს, გზებს და თარიღებს.

და არ გავიწყებს . . .
იმ ყრმობის დღეებს,
გელათის ზარებს და შებინდებებს,
იმ მარტის თოვლით ანთებულ მზეებს,
იმ გულით ნაპოვნ ჭეშმარიტებებს.

ფერებს, იმ ფერებს, მოწამეთაზე
ლურჯ გაზაფხულად მოსულ იების,
ლვთაებრივ ფერებს ყრმობის ზეცაზე
ვარსკვლავთა პირველ მისტერიების.

და პირამიდის ქვიშისფერ ტანის –
ცაში ატყორცნილ ხვამლის – ხატებას,
და უტკიცილეს ჭრილობას – კრწანისს,
ვით ბედისწერის გამოცხადებას.

ხმებს, იმ ვარდებთან იმ ნაჩურჩულევს,
ზურმუხტისფერად გაშლილ ივნისებს,
დიდგორის მთების ფიქრს და სიჩუმეს
არ, არ გავიწყებს. . .

და ვერ ივიწყებ.

და ყველა ხილვა,
და ყველა სახე
მარალისია და უთარიოო,
არ შეიძლება თან რომ არ გახლდეს,
არ შეიძლება შენში არ იყოს.

* * *

და მეორდება . . . კაენის ცოდვაც
და ამირანის ბრძოლაც არწივთან,
ტანჯვის იგავიც – სიზიფეს ლოდად,
მოსეს უდაბნოც და თავგანწირვაც,

ჭრისტეს ჯვარცმა და იუდას ვერცხლი –
სხვა პარადიგმა რა აქვს სამყაროს?!
ისევ ინთება ჩამქრალი ცეცხლი,
და ასე: კვლავ და დაუსაბამოდ.

* * *

ჭეშმარიტება, ვით მარადისი
სამიზნე, ეზლო აზრს და გონებას,
. . . შენ – სპარაზენი მშვილდით და ისრით,
და დრო – ტყორცნების გამშეორება.

ტყორცნი და ტყორცნი! ჩუბინობს თვალი,
ისარი მიზანს რომ არ აგიცდეს. . .
სხვაგან მიაფრენს შენს ისრებს ქარი,
ყველა ისარი სცდება სამიზნეს.

პოეზიას

სინამდვილე,
ნაძერწი

შენი სითამამიდან,
შენი გადაელვებით ანთებული წამიდან,
სინამდვილე,
შექმნილი

შენი მზით და რიტმებით,
შენით აელვარებულ ცისფერ ჭეშმარიტებით,

სინამდვილე,

ნაგები

შენი წარმოსახვიდან,
შენით ამოტყორცნილი სივრციდან და ჟამიდან,
სინამდვილე,

შექმნილი

შენი ხმით და ჰიმნებით,
ნამდვილ ზეცის სიღრმის და ნამდვილ ღმერთის
მიგნებით,
ზეობს

სულის სიცოცხლის
დვრიტად,
არსად,

მთიებად,
ყოფნის ეჭვზე უეჭვო ყოფნის შურისძიებად.

* * *

ერთხელაც კიდევ მოზიდე მშვილდი,
ერთხელაც კიდევ დაძაბე თვალი,
ერთხელაც, სანამ დაღგება ბინდი,
ერთხელაც, სანამ ცხელია კვალი.

ერთხელაც, სანამ ყველაფერს ხედავ,
სანამ შენი დრო შენი გზით მიდის,
სანამდე ღმერთი გეგულვის ღმერთად,
ერთხელაც კიდევ მოზიდე მშვილდი.

* * *

დროო, გახსოვს, იმ ლამაზ
ოცნებებით დროობდი,
მზისფერ ქალზე ღვთაებრივ
ფიქრით საწუთროობდი.

ახლა მოგონებით და
ულრჩეს სევდით დროობ და . . .
სევდით . . . უამზე . . . რომელიც
იმ დროს სამყაროობდა.

პირველი ნაწყვეტი ციკლიდან “დრო“

ყველაფრის ამხსნელ
აჭრს

არ ძალუქს
ახსნას ის ფაქტი,
რომ არსებობდა,
რომ ცხადად და
ნამდვილად იყო
დრო – ჩემი,
მაგრამ დრო – შენადელი.

მეორე ნაწყვეტი ციკლიდან “დრო“

ყველაფრის დამტევ მოგონებას არ შეუძლია,
რომ გაიხსენოს დრო,
რომელიც ნამდვილად იყო,
მაგრამ როდესაც არ იყავ ჩემში.

შამთა ფამიგად ქცეულო ფიქრო

კვლავ გრძნეულ ხელში გიპყრია კენჭი
წელთ გიპყრია და კვლავაც გემონვის
დარღვეულ ჟამთა ცხრათვალა ეჭვი,
ეჭვი, ვით დაშლილ ჟამთა დემონი.

დრო კი, ჩემი დრო, ჯვარზე გაკრული
გყავს და დრო გზას და პორიზონტს ითხოვს.
აპყარე კენჭი, იხსენ ჯვარცმული
ჟამთა წამებად ქცეულო ფიქრო.

* * *

როგორ თანდათან ქარწყლდება ქუვი
მირიად ეჭვით დაწყევლილ ფიქრში,
როგორ თანდათან გაღნება ხელში
გარდაუვალი სიკვდილის შიში.

როგორ თანდათან ეცვლება ფერი,
ფერიც და ბეგრაც დროსა და სივრცეს,
ცის გახსნას როგორ იმედით ელი,
როგორ თანდათან მიიწევ ლვთისკენ.

შეიცან თავი

შეიცან თავი! და შემოქმედი
აელვარდება შეცნობის წილად
და ამაღლდება ნამდვილი ღმერთი,
როგორც პასუხი კითხვაზე – ვინ ვარ?

და შენ მიხვდები, რომ შენი გზებით
დატვიფრულია შენი დროება,
რომ შენი ფრთხებით, გაშლილი ფრთხებით
ცოცხლობს სივრცეთა უსაზღვროება.

ვატერლოოზე სდუმს საჟაჟენე

ვატერლოოზე სდუმს საუკუნე,
ვით ობელისკი, მწუხარე სახით,
და მტვრად ქცეულებს სძინავთ უკუნეოს
ავანგარდების ცეცხლსა და მახვილს.

და ეს დუმილი, ცისკენ წასული,
არის ბილინგვა განგების ნების,
ეპიტაფიაც მძლეველი სულის,
ეპიტაფიაც დაძლეულ ვნების.

ვატერლოზე სდუმს დრო . . . და ფრთხილად
უაში დუმილში ბილინგვას შიფრავს,
და რაც ორივეს რგებია წილად,
მხოლოდ და მხოლოდ შენდობას ნიშნავს.

სულო, ვერასდროს ვერ დამშვიდდები

სულო, ვერასდროს ვერ დამშვიდდები,
რაღან არ იცი ნათლად და ცხადად:
თუ სად,
როდის

და როგორ
მიწვდები
მშვენიერებას უცნობს და ახალს.

სულო, ვერასდროს ვერ დამშვიდდები,
რაღან,
არ იცი,
რომელ ხილვით მიწვდები
ახალ და უცნობ ჭეშმარიტებას.

სიცოცხლე

სულ გზებს ეძებს, უცნობ და
უცხო გზებს და ტრავერსებს,
ეკვატორზე, პოლუსზე,
სიგრძედზე და განედზე,
და მაღალი ფიქრებით
საწყისზე და ღმერთებზე,
მიაბიჯებს უსაზღვროდ
გაშლილ კონტინენტებზე.
ეძებს გზებად ქცეულ
და მიზნად ქცეულ მიზეზებს,
მწვერვალებზე, ქვესკელში,
ზღვებზე, მატერიკებზე.
აფრიკალებს ოცნების
უსპეტაკეს მერდინებს,
დროს სწირავს და სულს სწირავს
წყეულ გზაჯვარედინებს.
ვერც ფარავს და არც ფარავს
მარადიულ ცდუნებას,
ებრძვის ათასფერიან
მიწის მიზიდულობას,
ზმანებაში ფრთები და
უსაზღვრობა რიალებს.
ხედავს: გადალახულ და
მიმქრალ მერიდიანებს.

და კვლავ ისე შევდივართ. . .

და კვლავ ისე შევდივართ. . .
მითოსიდან – მითოსში,
ფიქრებიდან – ფიქრებში,
თითქოსიდან – თითქოსში,
ნაოცნებარ სივრციდან –
ნაოცნებარ სივრცეში,
ბურუსიდან – ბურუსში,

სიზმრებიდან – სიზმრებში,
ლოდინიდან – ლოდინში,
იმედიდან – იმედში,
ტაძრებიდან – ტაძრებში,
ზვირთებიდან – ზვირთებში,
ქაოსიდან – ქაოსში,
ხილვებიდან – ხილვებში,
. . . ვით ძველ სინამდვილიდან
ახალ სინამდვილეში

ერთხელაც კიდევ . . .

ერთხელაც კიდევ
დარეკე ზარი,
მქებნელ და მპოვნელ ფიქრების
ზარი,
ერთხელაც კიდევ ოცნების ქნარებს აუბი განსჯის
სიმი და ლარი,

ერთხელაც კიდევ
სულს შთააგონე
შემმეცნებელის ხვედრის გაძლება,
საწუთროს აღქმად, საწუთროს წვდომად,
გააზრებად და გადააზრებად

ერთხელაც კიდევ
ააბრიალე
უსაზღვრო ლტოლვის ჭიაკოკონა,
რომ ყველაფერი გადაანათოს ცას მიწვდენილმა
ბორჯოლა
კოცონმა,

ერთხელაც კიდევ
შიუგდე ყური
სამყაროს ხმებით სავსე ნიჟარებს,

ერთხელაც, რათა იდუმალების ყველა შრე ერთაღ
გადაიშალოს,

რათა ფარული გადიქცეს ცხადად და უჩინარი
გახდეს საჩინო,
ერთხელაც,
კიდევ ერთხელაც, რათა
სულში ღვთაება აღმოაჩინო.

მეორე ნაწყვეტი ფიქრიდან “საოცრებანი”

ის შვიდი სხვაა . . .
სახედ ეს კი ოვითონ ღვთაებამ შექმნა
და ზეციურ წამოსახვის და სილამაზის,
სტიქიონებად მოელვარე
ველი ალაზნის.

სული საბანძური

სული საგანძურია
ნატიფ მარგალიტების,
მზიურ ქვესკელებიდან
ამოზიდულ კითხვების.
ელვარებენ კითხვები
სულის უღრმეს შრეებად,
სულის საუნჯეებად,

სულის სიმაღლეებად.
რიალებენ წმებად და
რიალებენ ფერებად,
სულის უსაზღვროებად,
სულის ბედისწერებად.

გიზგიზებენ კითხვები
უძმაფრესი ვნებების
სულის – შემოქმედის და
სულის – შემმეცნებელის,
სულის – მოასპარეზის,
სულის – ღმერთის მმოსველის,
სულის – შეოცნების და
მუხლომოლრეკილ მლოცველის,
სულის – თავგანწირულად
მძებნელის და მძოვნელის,
სულის – აღმომჩენის და
სულის – უარმყოფელის.

ელვარებენ კითხვები,
რიალებენ კითხვები,
სულის ტკივილები და
სულის შეგალითები.
და ჰა, ისიც – კითხვების
გვირგვინიც და მწვერვალიც,
სულის თავკიდური და
მარადისი შდევარი.
სულის დასაბამი და
ურვა დაუსაბამო:
“საით ვიღტვი, სად მივალ,
საით მიმყავს სამყარო?“
. . . სული საგანძურია
ნატიფ მარგალიტების,
მისი ქვესქველებიდან
ამოტყორცნილ კითხვების.

ბაპავშრება ეპლესიასტესთან

სწორედ დღეს ვდავობ!
გაუგონარი
დროის მხილველის შეძრულ გონებით,
როს დაილეჭა მსასოფარი
ტაძრები ველურ სტიქიონებით.

როს მოსკდა ჟამი -
აღმგველი ლავა,
მოსკდა -
ყველაფრის წამლეპი ზვავი,
და ჩჩება ცეცხლის გრიგალის კვალად
ნანგრევის ბული,
მტვერი და
შვავი.

ხელთა მაქვს შენი ლვთიური წიგნი,
ჩავყურებ ჟამთა შენეულ ქარგას,
გაოგნებისგან ქვავდება ფიქრი
ეს დრო
ქარგაში
არც ერთ დროს
არ ჰგავს . . .

შენს განუზომელ და მალალ სიბრძნეს
მე ქედს ვუხრიდი და ახლაც ვუხრი,
სიბრძნეს . . . და ხილვის უსაზღვრო სივრცეს,
სიბრძნეს . . . და სულის უსაზღვრო წუხილს.

და შენი განსხის და გულის მსჯავრი
ჩემთვის არაფერს ტოვებს სადავოდ:
. . . რომ ყველაფერი დევნაა ქარის,
. . . რომ ყველაფერი არის ამაო. . .

მე სულ სხვას ვდავობ!
ხომ მარწმუნებდი
მმოსველი მოსეს სჯულის და ტაძრის,
რომ მიაგენი ჟამთა ბრუნების,
ჟამთა ტრიალის აზრისა და საზრისს.

რომ ისევ იმ გზებს,
რაც გავიარეთ,
ხელახლა მივდევთ კვლავ და თავიდან,
რომ ყველაფერი წრეზე ტრიალებს
უკუნისამდე – დასაბამიდან.

დროც!

და აქ ვდავობ.
აქ, დღეს და ახლა,
როს დრო –უცნობი, დრო-უცარი,
მოსკდა, ვით ველურ სტიქიის ტალღა,
და სისხლში ცურავს ჩემი ტაძარი.

ეს დრო,
ჩემი დრო,
უგონო უამი,
უამი ქაოსის, ნგრევის და შიშის,
ცეცხლისფრთიანი ავი გრიგალი
ვერ ვპოვე მე შენს ღვთაებრივ წიგნში.

არ გყვედრი!

შენ ხომ გაშიფრე ასგზის
დრო, ყოველი შრის წვდომის იმედით,
წარმოუდგენელს როგორ და რა გზით,
რისთვის და რატომ წარმოიდგენდი?

ხომ გაგიშალა გონებამ თვალწინ
ყველა გამოვლილ დროის ნახატი,
უკვე არსებულ ყველა უამს გასწვდი,
არყოფილს როგორ დაინახავდი?

უამთა და დროთა ნიშანს და დეტალს
შემმეცნებელის ჭვრეტით არჩევდი,
უამს,

რაც არ ჩანდა
არსად და . . . ვერსად,
რა ძალისხმევით აღმოაჩენდი?

ხომ დაგაფიქრე!

და მე კი არა,
სულ უცნობმა დრომ თავის ზვავებით,
ჩვენს შეტყოფებზე რომ გადაიარა
თავაწყვეტილი დინოზავრებით.

ჟამი,

ეს ჟამი,

შენს ქარგას მირღვევს,
და ეჭვი მიმღვრევს სულს და გონებას,
რომ ყველაფერი – ალბათ და იქნებ –
არ არის ძველის განმეორება.

რას ბრძანებთ ახლა?

შენ რომ განსაჯე
არც ერთ დროს

ეს დრო,

ჩემი დრო

არ ჰავას,

და ვხედავ: შენი სული განგაშებს
და ჩემს დროს ფრთხილად უსინჯავს მაჯას.

. . . დრო უცნობი და ვერჩახატული
შენს წიგნში და შენს ჟამთა გამმაში,
ვერნაფიქრალი,
ვერდახახული,
ვერმიგნებული
წარმოსახვაშიც.

დრო,

როცა გუნდრუქს უკმევენ ლალატს,

დრო,

როცა უფალს არ ცნობენ ლმერთად,

დრო,

როცა კრავენ ცოდვების გალას

და

ყველა მცნებას არღვევენ ერთად.

დრო-

ცეცხლოვანი სტიქიის ზვავი,

დრო-

საოცრება უამთა ბრუნების,
 ღრო—
 ჭაცის მიერ საკუთარ თავის,
 საკუთარ სულის განადგურების.
 . . . შენს განუზომელ ცოდნას და სიბრძნეს
 მე ქედს ვუხრიდი და ახლაც ვუხრი,
 სიბრძნეს. . .
 და განსჯის ლვთაებრივ მიზნებს,
 სიბრძნეს . . .
 და გრძნობის უსაზღვრო წუხილს,
 და მომიტევე ეს შესიტყვება
 (შენს წიგნს ჩართული შტრიხი მცირედი). . .

ჩვენ გადავრჩებით!
 ნათელ მიზნებად
 დავრეკავთ ზარებს . . . ღმერთის იმედით.

სიონთან

“ჭვარს ეცვი თუ გინდა, საშველი
 არ არის, არ არის, არ არის.
 გ. ტაბიძე

სიონთან დგახარ,
 და ველარ არქვევ,
 ბინდი დგება თუ დილა თენდება,
 მწუხრისფერები ეშვება ცილან თუ განთიადის
 შემოთეთრება.

გადიგრიალა დრომ
 თავაწყვეტილ
 და გახელებულ რემის ფლოჭვებით,

სივრცე იხრჩობა შხამიან ბულის
სულშემხუთავ და
ყომრალ ბოლქვებით

ვეღარ იხსენებ
იმ სიშორიდან
როგორ მოხვედი ბჭესთან სიონის,
ღმერთთან მოხვედი და სულში კივის
ჯვარცმის
სტრიქონი გალაქტიონის.

და ისე დგახარ,
ვით ნანგრევებში
მოყოლილი და გამოსრესილი,
დაკარგულია ყველა იმედი,
ყავლგასულია ყველა
ვეჭსილი.

გადიგრიალა დრომ
თავაწყვეტილ
და გახელებულ რემის ფლოჭვებით,
სივრცე იხრჩობა შხამიან ბულის
სულშემხუთავ და
ყომრალ ბოლქვებით,

მაინც აქ დგახარ
და სიონია
თავშესაფარი უკანასკნელი –
სულმაც და დრომაც აქ უნდა პოვონ
უნაძღვილესი ხსნა
და საშველი.

* * *

დრო

უსწრაფესად მოითხოვს პასუხს,
უზუსტესსა და უნათლეს პასუხს,
ამომწურავ და ერთადერთ პასუხს,
აზრი კი,

აზრი,
უამისაგან ელდანაცემი,
ველის წყალუხვ მდინარესავით,
დელტას

მიღწეულ
მდინარესავით

მღვრიედ

და ზანტად
შიიზლაზნება.

ჯერ გაჩნდა. . .

(მისტიკური განსჯა)

მაწვალებს აზრი. . .

აზრი მაცდური,
აზრი შემცოდე და მკრეხელური,
განსჯის და გონის ზღვარს გადასული,
დაუკები, როგორც ველური.

მაწვალებს აზრი. . .

და მოდის ლამე
ინკვიზიციის მძვინვარე ცეცხლად,

ჭერ გაჩნდა კაცი და მერე მთვარე,
ჭერ კაცი, მერე მიწა და ზეცა.

კიდევ ერთი სასწაულიც . . .

კიდევ ერთი სასწაულიც
 კიდევ ერთიც, განგებავ,
სანამ სული უკანასკნელ
 საშიგავროზე წარსდგება.
ოცნებებში სინამდვილის
 რა ხატებაც შევქმენი,
რა ზეცით და რა მზით – ზეცის
 მოელვარე რეფრენით,
ოცნებებში რა ტაძრებიც
 რა ხომლებად ავანთე,
რა სივრცეებს, უსაზღვრობად
 გაშლილს, გადავანათე,
ოცნებებში სინამდვილე
 რა გზებითაც დავრახტე,
რა სიცოცხლედ მივანიჭე
 ბედისწერის ქარაგმებს,
რა ფერები გადავაგზნე
 მოქაშკაშე აპრილებს,
სინმდვილე სწორედ იმგვარ
 სახით გამინამდვილე,
იმგვარ სახით . . . ამომტყორცნე
 ამ სასტიკი დროიდან,
დაუნდობელ ვნებების და
 სისხლის თეატრონიდან,
ქარიშხლებად გადუქროლე
 უბოროტეს ფიქციებს
და ოცნების სინამდვილე
 სინამდვილედ მიქციე,
კიდევ ერთი სასწაულიც,
 კიდევ ერთიც, განგებავ,
სანამ სული უკანასკნელ
 საშიგავროზე წარსდგება.

საშპუნის დასასრულობა

სულ მცირე დროც და
დასრულდება
ეს საუკუნეც,
ბოლო აკორდებს
აიღებენ
უამთა ქნარები,
. . . ოცდამეერთე
უკვე ანთებს
უცნობ შუქურებს
და ჩვენც
შეუცნობ სივრცისაკენ
მივექანებით.

ასი წლის წინ კი . . .
იშედების
თეთრი ზარები,
ზარი - ოცნებად
გადაჭცეულ
განმსჯელ გონების,
ზარი -
ოცნებით მოოქროვილ
წარმოსახვების,
ზარი -
ოცნებით დაუნჯებულ
მეტაფორების.

დრო იწყებოდა . . .
უსპეტაკეს
იდეალებით.
თავისუფლების
ფსალმუნებად
ქცეულ ოდებით,
აჯანყებების
საგალობლად
გაბმულ ლარებით,
მძაფრ
ორკესტრებად
აჟღერებულ უარყოფებით.

რა სიღრმის ფიქრით –
რა ფერადი
სასწაულებით.

სასწაულებით –
ლვთაებრივად
ამჟევნიურით,
გონის სამყაროს
შექმნისა და
ხილვის ცდუნებით,
სულის შემძვრელ
და ამაღლებულ
უვერტიურით.

ნათელ მიზნებით
შეაბჯრული
ავანგარდებით,
ქვესკნელებიდან
ამოფრქვეულ
ცეცხლით-მითებით.
აელვარებულ
და ზეცისკენ წასულ
სანთლებით –
მრწამსის,
ზნეობის,
განკაცების პირამიდებით.

როგორ იბრძოდა . . .
რა ქარიშხლის
აგანგაშებით,
რა შმაგი განცდით,
შმაგი ჟინით
შმაგი გონებით,
რევოლუციის
აწყვეტილ და
ველურ რაშებით.
უსაზღვრო ლტოლვით
და უსაზღვრო
ზეშთაგონებით.

რა შემრჩა ხელში . . .
დამსხვრეული
ილუზიები,
ფანტასტიკური
ოცნებებით
სავსე იზმები,

მიუღწეველი
მიზნები
და ყალბი მთიები,
ამაო სისხლი
და
ამაო კატაკლიზმები.

გაწამებულთა
და ჭვარცმულთა
აპოკალიფსის
მძვინვარებით
მქროლი ომები,
ატომურ ბომბით
ძალმოსილი
იმპერიები,
ხიროსიმას და
ნაგასაკის
თეატრონები.

ხედავ, სად მოხველ?
კვლავ საწყისთან,
ისევ იმ ზღვართან,
ისევ დასამხობ
კვლავ ტკივილებით
ბასტილის
გულდასერილ
სინამდვილესთან?

აპა, შესცექერი

ისევ ცოცხალ
ეკლესიასტეს,

დრო კვლავ ტრიალებს,

კვლავ ვაებაღ,
და კვლავ წამებად,

და სინამდვილე

ისევ,

კვლავ

და ახლაც რიალებს

მილიონობით

ნიღბოსანთა

კარნავალებად.

ისევ იქ დგახარ. . .

და სისხლს გიშრობს
კითხვა — მახვილი:

ნუთუ ამაო

ლტოლვას ნიშნავს
ლტოლვა ყოველი?

და ზეცას წვდება

შემზარავი
შენი ძახილი,

და ლვთის წამყოფას

და ცის გახსნას
ერთად მოელი.

სულ მცირე დროც და

დასრულდება
ეს საუკუნეც,

ბოლო აკორდებს

აიღებენ
ჟამთა ქნარები,

. . . ოცდამეერთე

უკვე ანთებს
უცნობ შუქურებს

და ჩვენც

შეუცნობ
სიგრცისაგენ
მივეჭანებით.

* * *

ჩემი ამ წუთის ცნობიერება
ჩირალდნად ინთებს
იღუმალ „თითქოსს“,
. . . თითქოს იქვარ და თითქოს ისე ვარ,
როგორც ჩემს ნებას
უნდა და ითხოვს.

თითქოს ამქვეყნად ბატონობს გონი,
და მხოლოდ გონი
მართავს ცხოვრებას.
აღამიანთა ნაბიჯებს, ზრახვებს, ვნებებს,
ოცნებებს და შთაგონებას.

თითქოს გონს,
ყოვლის გარეგადამწვდომს,
აღუმართია კვერთხი გრძნეულად
და სინამდვილე აღამიანურ
სინამდვილედ და ქვეყნად ქცეულა.
თითქოს ამოხსნა ყოფნა-არყოფნის
ყველა კითხვა და
ყველა დილემა
ჰეშმარიტების, მშვენიერების
და სათნოების ძალმოსილებამ.

თითქოს იქვარ და თითქოს ისე ვარ,
საღაც და როგორც
უნდა ვიყო და
თითქოს მამალლებს ჩემს არსებამდე
გონის მოფენის გზების შიყოლა . . .

ეოცნებებათ დამკვიდრებული
გონის სუფევის ჟამი
რაფსოდებს –
ცნობიერებამ ფიქრში „თითქოსი“,
რომ არ აინთოს აღარასოდეს.

მეორდებიან

მეორდებიან
ოცნებებიდან
ამონთებული წარმოსახვები.
კვლავ იღვიძებენ ძველი ლტოლვები,
ძველი მიზნები, ძველი ზრახვები.

მეორდებიან
ძველი ფიქრები,
ძველი ფერები, ძველი ნატვრები,
კვლავ ცოცხლდებიან სულში ოდესლაც
ამოტვიფრული ჩანახატები.

მეორდებიან
ძველ ტკივილებში
ჩაბუდებული ძველი წყლულები,
მეორდებიან სასწაულები –
სულში ალძრული სინანულები.

კვლავ მაღლდებიან
ძველ კვარცხლბეჭებზე
ვარსკვლავთმრიცხველი ჩემი მოგვები,
შეორდებიან იმ სიყვარულთა
პროლოგები და ეპილოგები.

მეორდებიან
ფრთები და ფრთები,
და გაფრენის და ქროლვის ვნებები,
კვლავ ელვარებენ დავიწყებაში
ჩაძირულ ჟამთა მოგონებები.

მეორდებიან
სპარაზენები
ბნელი, უნდო და უღვთო ეჭვები,
სულში, განცდაში, გრძნობაში, აზრში,
სიცოცხლის გზების ანაბეჭდები.

მეორდებიან

განთიადები,
როგორც გაფრენილ
დროის ზვირთები,
მეორდებიან სადღაც, ოდესღაც
ტანჯვით განვლილი ლაბირინთები.

მეორდებიან კვლავ ამაღლებულ
ცისკენ წასული
თეთრი გედები
და კვლავ ვნებდები, ქროლვის და ლტოლვის
ელვარე ვნებებს ისევ ვნებდები.

0ლუზიები

ლამეულ ფიქრში
სულს იპყრობენ და
გომს ატყვევებენ ილუზიები,
ილუზიები – ისე ბრწყინვალე,
როგორც მაღალი ზეცის მთიები.

აჰა, საცაა ამაღლებული
ხილვა ულურჯეს ცარგვალს მიწვდება,
თითქოს გადახსნილ ცის კარნავალი
მხოლოდ ახლა და ჩემით იწყება.

ჩემით იწყება . . .
და ვაფრიალებ და ვაელვარებ
ლურჯ ბაირალებს,
როგორ იოლად ვწვდები და ვშიფრავ
ყველა სილრმეს და ყველა სიმაღლეს.

რა იოლია
ფრთების გაშლა და

გაუკვალავი გზებით გაფრენა.
და სივრცეებზე ახალ ფერების
ამზიურება და გადაფენა.

ვით შემოქმედი,
გემნი და ვერთვები
სწვა სივრცეებში სულ სწვა დროებებს,
და გამარჯვებულ მზერით ვაცილებ
ლანდივით გამჭრალ ამაოებებს.

რა ადვილია რწმენად აქციო
ის, რაც აქამდე
ეჭვებით გქლავდა,
რა ადვილია ღაცხრეს ტკივილი,
ყველა ტკივილი ღროთა და ჟამთა.

რა ადვილია
მიუწვდომელის
დამორჩილება, წვდომა, გაგება,
რა ადვილია ნაოცნებარის
განამდვილება და გასაგნება.

ილუზიები . . .
ისე ბრწყინვალე,
როგორც მაღალი ზეცის მთიები,
და მიმაფრენენ, და შამალლებენ,
და მატყვევებენ ილუზიები.

* * *

გასაგნებული ფიქრია . . . მცხეთის
მაღალი ცისკენ აღძრული ჭვარი,
ფიქრი, რომელშიც ელვარებს ღმერთი,
ღმერთი და ზეცის შეხსნილი კარი.

ფიქრში საწუთოს წამებს თვლის ზარი
და გაშლილ სივრცეს უამად მოელტვის,
გასაგნებული ფიქრია ჭვარი –
იღუმალ გზებზე მფიქრალ პოეტის.

* * *

ჩემი გამოცდილება,
ჩემი ცნობიერება
ზუსტ ფორმულას მკარნახობს;
„მწამს გონის ძლიერება“.

ხსნის სამყაროს შრეებში
ყველა დახშულ კარიბჭეს,
ყველა იღუმალებას
აზრს და საზრისს ანიჭებს.

იმოსება ქვეყანა
მოკაშაშე ფერებით,
გონის ძალმოსილებით
და გონის ძლიერებით.

და სიცოცხლეს, ოცნებებს
აზვევს ბელისწერებად,
. . . მწამს გონის ძლიერება,
. . . მწამს გონის ძლიერება.

ՑՈՒԺՐՈ

Շեն լրացելով . . . դա ցոյշրո
Շենո პորզելսաթիւսո,
մուծութեան
Շեն ցոյշրո
գամռպատուլ սանրուսուտ.

Ցոյշրո – ձեզնու մերժավո,
Ցոյշրո – ձեզնու մուսանո,
Ցոյշրո շնչա յիշամո,
Ցոյշրո շնչա օիշամո.

Շենո սուլուս բածարո
օմքա Շենո ցոյշրուդան.
Ցոյշրուս ցնեծնց մուլուցո,
Ցոյշրուս ցնեծնց միշրուսար.

Ցոյշրուտ այլու օդումալս
դա ճաղարուլս սահինուգ,
Կազմակերպութեան համար
Համար ալմահինո.

Ցոյշրո – ձեզնու մերժավո,
Ցոյշրո – ձեզնու մուսանո,
Ցոյշրո շնչա յիշամո,
Ցոյշրո շնչա օիշամո.

Շենո սուլուս բածարո
օմքա Շենո ցոյշրուդան.
Ցոյշրուս ցնեծնց մուլուցո,
Ցոյշրուս ցնեծնց միշրուսար.

Ցոյշրուտ այլու օդումալս
դա ճաղարուլս սահինուգ,
Կազմակերպութեան համար
Համար ալմահինո.

ფიქრში – ქვეყნის მძერწავო,
ფიქრში – ქვეყნის მისანო,
ფიქრში უნდა ეწამო,
ფიქრში უნდა იწამო.

ფიქრი ზუსტად გამოკვეთს
რაც იყო და არ იყო,
დრო და ჟამი რითი და,
როგორ დაათარიღო.

მაბრამ, ვაითჲ . . .

ვიცი, დადგება ის ბოლო წამიც,
ის, ჩემი ბოლო წამიც დადგება,
და შეუვალი ნებით და ძალით
ომერთთან წარმადგენს დრო და განგება.
მერე განკითხვა . . . და ვით ღვთის ნება . . .
სულს მობჯენილი ღვთაების მსჯავრი,
მაგრამ ვაითუ თავის მიგნება
იმ წარდგომაშდე ვერ მოვასწარი.

“მარჯვენა პანტის “მინდა გონიერის პრიტიპაზე“

რომან შენგელიას

არც არაფერი ვიცი,
არც იმედი მაჭვს რამის,
ვერ გამოვტაცე დრო-ჟამს
ნაოცნებარი წამი.

და შეუწყვეტელ ფიქრში
მაწამებს სულის გძინვა,
ვით დაუმცხალი ექო,
ვინ ვარ, ვინ ვარ და ვინ ვარ?

რად, რად არ ახსოვს?

გამარჯვებული შემოდის რომი,
შემოდის რომი, ვით ზეცის ძლევა,
მე კი ღმერთების და ზეცის წყრომით
ძლეული, მაგრამ... ჭერ ისევ მე ვარ.

დალეწილია ჩემი ჯავარი,
რომს მოაქვს რისხვა, ძრწოლა და შიში,
და იყარგება ჩრდილი გალავნის
ლეგიონერთა დროშების ჩრდილში.

მე სული მტკივა და შენ ვერ მისმენ
ტრიუმფატორის ამაყი სმენით,
მე ცრემლი მტკივა, მწარე და მქისე,
ზეცით განწირულ ძეკაცის ცრემლი.

...რად, რად არ ახსოვს რომს ის ტრიუმფი?
მცხეთა კი... ისევ თვალნათლივ ხედავს:
რომს, ძლევის ნიშნად მზე რომ მიუძლვის,
და შურისგებად წამომდგარ მცხეთას.

„გალობანი სინაზღაურისანი“

მოგვყება ქარი, ყინვა და მარტი
და შეღამება მეგზურად გვავს,
საქართველოში უწმინდეს აფგილს –
ვუახლოვდებით – დავითის საფლავს.

ვუახლოვდებით! და გამთოშ მწუხარში,
გელათის ზართა იღუმალ ხმაზე,
„გალობის“ ხები შემოდის სულში
და ზეციური სიწმინდით გვავსებს.

ბაზაზხული ძართლის ბზაზე

შეხედე, ერთი წამიც და,
გადაიელვებს ზედიზედ,
შზეში მზე გამოილვიძებს,
ამომზევდება მზეში მზე.

უცქირე ერთი წამიც და,
გადმოინთება ქარვებად,
შზეში მზე ამოანათებს,
მზეში მზე აელვარდება.

შეხედე ერთი წამიც და,
გადაისივრცებს ზედიზედ,
შზეში მზე დაიბალება,
ამომზევდება მზეში მზე.

* * *

გელის მაღალი ზეცა მცხეთაში
და ალავერდის ნათელი გელის,
გელის დიდგორში, მტერთა ძლევაში,
აელვარებულ დროშების ფერი.

გელის ნანგრევი არმაზის კართან
როგორც პირველი ლოცვის სიწმინდე,
მათ ვერ აცდები . . .
რადგან შენს თავთან,
საკუთარ თავთან უნდა მიხვიდე.

ვარნავაზ

ზეცა მხოლოდ ზეცა იყო,
მიწა მხოლოდ მიწა იყო,
უამიც მხოლოდ უამი იყო
უუამო და უთარილო.

შენით: ზეცა ქართულ ზეცად,
შენით: მიწა ქართულ მიწად,
შენით: უამი ქართულ დროდ და
ქართულ უამად გადაიქცა.

08ორთა

აღმართი შეწყდა და მოლოდინში
მაინც უეცრად გაჩნდა ტაძარი,
სიმაღლე – ჟამთა შემძვრელ ტკივილში
სანძრით, ქარით და მზით გადაშრვარი.

სივრცე ცახცახებს შუადლის სიცხით,
შორს უკიდია ცეცხლი ტირიფონს,
. . . და დგას ტაძარი, ისევ ვით ბიძგი,
. . . რომ შე ვიფიქრო და სულ ვიფიქრო.

საბა ორგელიანის გახსენება დაგით აღმაშენებლის საზღაპთან გელათში

დავითი . . . მზე და მიწა ქართული
უაძით და ხმალით ამრავალწილა,
და სამშობლოსთვის შუბშემართული
იქცა ქართული მიწის ნაწილად.

საბამ კი, საბამ . . . მღვრიე ქარ-წვიმით
გზაც დაიქცა და უამიც დაიქცა . . .
ვერ აისრულა ბოლო წადილიც
და ქართულ მიწად ვერ გადაიქცა.

დილსპურის ნანგრევებთან

გაგიმეორებ, რაც ვთქვი მცხეთაში,
რაც უკვე გითხარ თმოგვის ბჭეებთან,
რაც უკვე გითხარ მზისფერ გელათში
და ნარიყალას სიმაღლეებთან,

რაც უკვე გითხარ ზედაზნის მთებთან
(თავზე რომ გვადგა ზეცა შვილივე),
ამ ნანგრევებთან და ტკივილებთან
გაგიმეორებ ზუსტად იგივეს.

ზედაზნიდან

ტკივილს ჰქვია იბერია,
ფარნაგაზის ფიქრს და ტკივილს,
ღროვ, როგორ გიფრენია
გზებზე მწარე სინაძღვილის.

ტკივილს ჰქვია იბერია,
გორგასალის ზარს და ტკივილს,
ზარის ხმაში სიზმრებია,
ძახილია ქართლის ჭირის.

ტკივილს ჰქვია იბერია,
არსაკიძის სისხლს და ტკივილს,
სვეტიცხოვლის ცის ფერია
სული - ტაძარს შენაწირი.

ტკივილს ჰქვია იბერია.

პიმოთხს უბანში

აქაც, ამ მთებშიც, ამ ზეცის კართან,
ჩამცხრალ ფრესკებში აქაც იელვა,
სერობის ლამებ და ქრისტეს ჯვარცმამ,
გოლგოთას გზამ და თვალსაწიერმა.

აქაც იელვა!
და სული აქაც
კვლავ გზას ეძებს და სიმაღლეს ეძებს,
ეძებს ამ მთებშიც, ამ ზეცის კართან,
შეფარებული ამ ჩამცხრალ ფრესკებს.

* * *

რაღაც სხვა, ვიდრე მხოლოდ ნანგრევი,
რაღაც სხვა, ვიდრე ბურჯი დაშლილი,
ვიდრე ჩუქურთმა, ცეცხლით ნარბევი,
ჟამით წაშლილი და გადაშლილი,

რაღაც სხვა, ვიდრე ქვაზე ავაზად
ამოტვიფრული წსოვნა ხალდესი,
არა!

სწორედ ის,
სწორედ რაღაც სხვა
არის მთავარი და უმთავრესი.

თმობვთან

რა ფესვებს და რა სილრმეს და რომელ
სიმაღლეებს ეძებ,
რა ხილვას და რის ჩაწვდომას ელტვი
უსაზღვრობის გზებზე?
ნანგრევები თმოგვის ბურჯთა, ვნება – ჩაკირული
კლდეში,
ჟამი სუნთქავს ულურჯესი ზეცის უმარჯანეს
გზეში.

ჰა, ფესვებიც, აჰა, სილრმეც და სიმაღლეც
უსასრულო,
შეხედე და შეიგრძნე და შეიცან და ჩაწვდი
სულ!

გოსფორთან

დარჩა სტამბული . . . წმინდა სოფიით,
ვით მზიურ სივრცეს ლურჯ შეტაფორით,
ნაპირს ვშორდებით თეთრ “ოლიმპიით”
და ლილისფერად მოდის ბოსფორი,

მე კი . . . მიმყვება სევდა და შხამი
სევდა და შხამი - სხვა არაფერი,
იატაგანი და სისხლის ღვარი
ნახევარმთვარით გადანაფერი.

თბილისი მთაწმინდიდან

აქ არის რაღაც იმაზე მეტი,
რაც არის და მზის სიცხადე ახლავს,
რაც განუზომელ ტკივილად ერთვის
მტკვარს და მთაწმინდას, მეტებს და კალას . . .

მეტი! . . . ის, ცხადად რაც არ ჩანს, მაგრამ
რაც აელვარებს სიონს და კრწანისს,
რაც არ არსებობს დაქა, აქ და ახლა
და უცხადესად მნიშვნელობს მაინც.

გათუმანი

მე კვლავ ვბრუნდები, მაგრამ ვბრუნდები
იმ უფლებით, რომ ახლაც მომელი,
კვლავ შელის შენი იაგუნდები
და ცა – ყველა ცის უარმყოფელი.

და შენს ქუჩებში ჩემი წარსული,
ის სანაპირო, წვიმა და . . . ფიქრი . . .
და გაუხსნელი ის საგანძური –
მობარებული დღეები სიყრმის.

სარვი

აქ ესიზმრებათ ყველაზე ცხადი
სიზმრები, მაგრამ . . . ნატვრის სიზმრები,
და ზმანებაში ზეცამდე აღის
ზარის ხმა – სიზმრებს შენახიზნები.

ზარის ხმა ოშეის მაღალი ტაძრის,
უიდუმალეს ნათლის მფენელი,
. . . აქ ესიზმრებათ ყველაზე ცხადი
სიზმრები, მაგრამ აუხდენელი.

ოქროს ციხიდან საქართველოს

ცხადია – რით და როგორ გადარჩი,
ისიც ცხადია – რისთვის გადარჩი,
. . . ოქროს ციხიდან ელვარებს ზარზმა
და მზე ლოცულობს ზარზმის ტაძარში,
ზეცა იღვრება ჩორჩანის თავზე,
მესხეთის მთები იწვის ქარვაში,
. . . მე უკვე ვიცი – რისთვის გადარჩი,
და ისიც – რით და როგორ გადარჩი.

. . . და ის, რაც ჩემში

და ის,
რაც
ჩემში
უამთა სკლას

არ სდევს,
ისევ თეთრ ხილთან მიარლვევს ტალლას,
ისევ თავს ადგას ბაგრატის წანგრევს
და ზარზმის ზარებს არისხებს ახლაც,

ისევ ალავერდს უდგას დარაჭად,
კვლავ შეციხლვნედ უდგას კვეტერას,
და ნინოწმინდის დაშლილ გალავანს,
გრემის სამრეკლოს და ბედისწერას,

ისევ დარაჯობს
ჯვარსა და მცხეთას,
მყინვარისა და უშგულის აფრებს,
ლილგორის მთებს და ბეღიის ზეცას,
შურისციხის და მთაწმინდის კალთებს,

კვლავ მცველად უდგას
გონიოს სიზმრებს,
და ადიგენთან გაშლილ გვირილებს,
და წიწამურის ხილვებს და ფიქრებს,
ვით მარალიულ ურვის ტკივილებს,

და ისევ ცოცხლობს
სიმაღლით ოშეის,
გელათის ფრესკის მაღალი აზრით,
ცისკენ წასული სვანური ქოშეით
და ვარძიაში ნაკვეთი ტაძრით,

ქარვით დადაფნულ ლიკანის მთებით,
და ფოთოლცვენის ფერადი წამით,
და ოცნებებში . . .
დახატულ გზებით,
და მოლოდინში . . .
დახატულ ჟამით . . .

და ის,
რაც
ჩემში
ეამთა სვლას
არ სდევს

ისევ თეთრ ხილთან მიარლვევს ტალღას,
ისევ თავს ადგას ბაგრატის ნანგრევს
და სიონის ზარს არისხებს ახლაც.

გელათის მონასტრის პარიბჭესთან

მოველ, რომ ისევ, ისევ და კვლავაც
ვუსმინო: შენი ზარების რეკვას,
და დავუჩოქო: დავითის საფლავს,
და ვეთაყვახო: მესიის ფრესკას,
ვუცქირო: შენს ცას, როგორც მინანქარს,
ვით ხატავს შენი მზე მეწამული,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად
ვიგრძნო მამული.

ჰეი, ვიქრო . . .

ჰეი, ფიქრო ქართლის ბედზე, ფიქრო,
მარადიულო,
ქართულ სულში ჩაკირულო, იმედივით მზიურო,

ჰეი ფიქრო – ჰე, ლილეოვ, დალეწილი ხუნდების,
ფიქრო ბორკილაწყვეტის და ფიქრო
თავისუფლების,

ჰეი, ფიქრო, უსასრულო, ფიქრო, ჩაუქრობელო,
ქართულ ნატვრის და ოცნების და ზმანების
მპყრობელო,

ჰეი, ფიქრო, უსაშველო, ფიქრო, სამარადისო,
ქართულ საგალობელის და ქართულ ზღაპრის
საწყისო,

ჰეი, ფიქრო, უსაზღვრო, და ფიქრო
განუწყვეტილო,
ქართულ სულის ციხე-ბურჯო, კლდეკარო და
კედელო,

რომელ მზიდან ამოენთე, რომელ ბედისწერიდან,
რომელ ჭვარცმის ტკივილიდან, რა განგების
წყევლიდან?

რა ძახილით მოჰკიოდი დროს ბიბლიურ ჟამიდან,
რა სიმაღლე ამოსტყორცნე ქაოსიდან დავითად?

რა ნახტომით გადაევლე რა უფსკრულს და
გალავანს,
რა ფრთით შეჰკარ ტატოს მერნის ნახტომი და
კამარა?

რა ფრესკებით ელვარებდი ალავერდს და ყინწვისს
და,
რა ზარებად მაღლდებოდი ზეცად ქართულ
მიწიდან?

რა მშვილდებად მოზიდულხარ, რა ქროლვად და
ქარიშხლად,
რა დროშებად გადაშლილხარ უჩარმას და
ტაშისკარს?

რა, რა წამმა ამოგანთო, რომელ სტიქიონიდან,
რა სიმაღლის ხილვიდან და რა განგების
წყრომიდან?

ჰეი, ფიქრო, უწმინდესო, ფიქრო, ქართლის
ცხოვრებავ,
სულხან-საბას ცრემლის წვეთო, ქეთევანის
გოდებავ,

რით ამაღლდი, რა ურვიდან, წამებიდან,
ჯვარცმიდან,
რა ტაძრიდან, რა ტკივილის, რა ოცნების
ტაძრიდან?

რით გადარჩი მარტოსულო, დევნილო და ეულო,
წიწამურში სინათლედ და უკვდავებად ქცეულო,

ჰეი, ფიქრო, მეამბოხევ, მესიავ და მმოსავო,
ფიქრო, ჩემო შევარდენო, მეშურდულევ, მგოსანო,

ჰეი, ფიქრო, სიმაღლეო, სუნთქვაო და საშველო,
მეხმლეო და სპარაზენო, მეაბჭრევ და დამცველო,

ჰეი, ფიქრო, დუღაბო და კირო ქართულ ციხეთა,
ფიქრო, ამოშენებულო ხერთვისად და ცხირეთად,

ჰეი, ფიქრო წვრილთვალავ, და ჰეი, ფიქრო
აბჭარო,
დიდგორში და ბასიანში ზვავად ჩამონაშალო,

ჰეი, ფიქრო, ამირანის ჭრილობიდან აღმდგარო
რა გაწამებს, რა ტკივილი, რა ოცნების სამყარო?

რა გაწამებს, იდუმალი, რა ხმა დაუსაბამო,
რა ზმანება უსაშველო, რა ოცნების სამყარო?

ჰა, ელვარებ ქართლის ბედზე ფიქრო,
მარადიულო,
ბიბლიურ მზით ანთებულო, იმედივით მზიურო,

და უამიდან უამში მდინარს, მახვილით და
ზარადით,
თან გადაგაქვს საქართველოს უკვდავება მარადი,

თან გადაგაქვს ხმა, ზარის ხმა, ვით სიცოცხლის
სძლისპირი:
-არ გაბედო,
არ გაბედო,
არ გაბედო სიკვდილი!

1959 ყლის 17 მარტი

წარწერა ვახტანგ ჭავახაძის წიგნზე “უცნობი”

საბედისწერო ფანჯრის რაფილან
ქვაფენილამდე რა მანძილია. . .
“შაშინ გათავდა ეპოქა დიდი,
წიწამურში რომ მოჰკლეს ილია.”

ახლაც თავდება! რაღაც დიადი
და უსაშველო ახლაც თავდება,
ერთი წამიც და . . .
საქართველოში
რა გაოგნებით შემოლამდება.

ცამეტი ტყვია . . . და ბოლოს მაინც
ნაოცნებარი ფრთები გაშალა. . .
ასე უსაზღვრო და უბოლოო
და მღვრიე სივრცე რამ გადაშალა.

რა მანძილია . . . ამ ნახტომიდან
უკვდავებამდე რა მანძილია. . .
“შაშინ გათავდა ეპოქა დიდი,
წიწამურში რომ მოჰკლეს ილია.”

ბისმენდი და . . .

მეგობარ მწერალს ჭანსულ ღვინჭილიას
გისმენდი და. . . გისმენდი და . . .
გისმენდი და . . . ვხედავდი . . .
უკვდავია ის ტკივილი
ოშკისა და გელათის.
უკვდავია, ისე როგორც

ნაწამები ქრისტე და
ცოცხლობს პირველსაწყისად და
ცოცხლობს პირველმიზეზად.

რა ვთქვა,
სხვა რა მეტაფორა
უფრო მეტის დამტევი. . .
რა გაწამებს,
რა აპრილი
და რა არგონავტები.

რა, რა ფიქრი გადაშალე
იმედად და კირთებად.
ქართულ წუთისოფელზე და
ქართულ ჟამზე ფიქრებად.

რა ჯვარცმის გზებს გადაფინე
რა შალალი ოცნება,
რა ფსალმუნად აელვარდი,
რა ლექსად და ლოცვებად.

რა სიმაღლედ აენთე და
რა, რა გულად –
საკირედ,
სად შიაფრენ,
რა სივრცეში
გუნდად ქართულ არწივებს?

რა გქლავს,
რა,
რა წარმოსახვა,
სიზმარი და ზმანება,
რომელ ზეცის ხატება და
რა გზის აელვარება?

სად იწყები,
რა შორიდან,
რა სიმაღლის
სიორმიდან,
პირველ ქართულ სიმღერიდან,

პირველ ქართულ სიტყვიდან.

პირველ ქართულ ტკივილიდან,
პირველ ქართულ ზღაპრიდან,
პირველ ქართულ ჩუქურთმილან,
პირველ ქართულ ჯვარცმიდან.

პირველ ქართულ ნანგრევიდან,
პირველ დაშლილ ლოდიდან,
რა შორიდან,
რა სისხლით და
რა წამებით მოდიხარ!

რითი გასძელ,
რა იმედით,
რა ოცნებით გასძელი,
რა ჩშმენით და
რისი რწმენით,
რა ღმერთით და ტაძრებით?

რას,
რას ნატრობ,
რა სანატრელს,
რა მზიანი ღამიდან,
რაზე რეკავ
ძვლავ და ისევ
დარეკილი ზარიდან?

რა სივრცეებს გადაჰყურებ
რა ხვალინდელ დღეების,
რა დასაპყობ მწვერვალების,
რომელ სიმაღლეების?

რას მიელტვი,
რომელ ფრთებით
რა გაფრენებს მიელტვი,
რითი ცოცხლობ,
რომელ მზით და
რომელ სინამდვილეთი?

გისმენდი და . . . გისმენდი და . . .
გისმენდი და . . . ვხედავდი . . .
უკვდავია ის ტკივილი
ოშეისა და გელათის.

* * *

გავჩნდი . . . და მერე წერდა და წერდა,
სულზე, ვით სუფთა დაფაზე წერდა,
უიღუმალეს ხილვებით წერდა,
წერდა ტკივილის ასომთავრულით,
დავითის ქართლის ნანგრევის სევდა,
ბაგრატის დაშლილ ჩუქურთმის სევდა,
ყინწვისის ფრესკის უკვდავი სევდა
და მარადისი ფიქრი: მამული.

* * *

. . . და ერთი წუთიც . . . და ბაგრატიდან
შეხედავ გელათს და გაოცდები,
. . . მზე ოცნებობს და შზის ნახატიდან
ცალ მიფრინავენ თეთრი ფრთოსნები,

მთებს, სილურჯეში შებოჭრილ ქონცხებს,
შზე ფერადებად აღვრის ოცნებას,
. . . წინასწარ იცი,
რომ გაგაოცებს
და მაინც გიაყრობს ეს გაოცება.

* * *

როგორ შემძრელად არის ლამაზი,
რა მტკიცნეულად არის ლამაზი,
ეს ჩუქურთმები ამ ჩამონგრეულ
და გადალეწილ ციხე-დარბაზის.
ამ დაშლილ მტკიცნებს, ამ დანაცრებულ
ჯვრებს, მზეებს, ორბებს, ლომებს, ავაზებს
როგორ ანათებთ ღრმა სინანულით
და ცრემლით სავსე ეს სილამაზე.

პრტანუჭი

ლიბრად გადაუკრავს ხსოვნას
ღრო, ვით ხავსი ნანგრევ ბურჯებს,
და არ ახსოვს არტანუჯი
ახლა არც ერთ არდანუჯელს.

ვაი, ჟამო, წარეცხილო,
ვაი, ნაწამებო სულლ,
ვაი, წარსულო, წალეკილო,
ვაი, ხსოვნავ, გაძარცულო.

მწუხარის ზარები გელათის მონასტერში

ეშვება მზე, ვით მწუხრის ფასკუნჯი
და ეფინება სივრცეს გიშერი,
ისმის ზარის ხმა . . . რაღაც დიადის
მაუწყებელი და აღმნიშვნელი.

ზარები რეკენ . . . და გიერთდებით.
თქვენ გიერთდებით, ზეცის ჰანგებო.
ზარის ხმებს შოაქვთ რაღაცა წმინდა,
რაღაც მთავარი და საგანგებო!

სიზივეს ლოდი (ნაწყვეტი საქართველოზე ფიქრებიდან)

წამიდან წამზე მძიმდება ლოდი
წამიდან წამზე ხშირდება სუნთქვა,
. . . დრო აწრთობს ახალ და ახალ ბორკილს
ჩემი მიზნის და ოცნების ხუნდად.

. . . მაგრამ მე ვიწყებ კვლავ და ხელახლა,
იმავ ფიქრით და ისევ თავიდან. . .

და მაინც,
მაინც

მივალ მწვერვალთან
და ლოდს მწვერვალზე მაინც ავიტან.

* * *

ჩემს პირველ შვილიშვილს თორნიკე კორძაიას

აპა, შენი პირველი
განთიაღი გაბრწყინდა,
აელვარდა ცის ფონზე
შეტეხი და შთაწმინდა,

იწყები!

და აინთო
დასაპყრობი მწვერვალი,
შენს გასავლელ გზებს ძერწავს
შენი ბედისმწერალი.

იწყები!

და მოდიხარ
გულად, გრძნობად, გონებად,
რა, რა გაღაილვებს
მაღალ ზეშთაგონებად.

იწყები!

და ძე კაცის
ჯვარცმის გზები მოგელის,
გზები – გარდუვალიც და
გზები – მოულოდნელიც,

პოი, რა დრონი მოგელის,
რა განცდის და ვნებების,
ჟამი – სიყვარულის და
ჟამი – შემმეცნებელის,

რა სამყარო მოგელის
უსასრულო ფიქრების,
საღაც ტაძარს ააგებ
ყველა სიღრმის მიმგნები,

რა ტკივილი მოგელის
და რა ურვა ქართული –
წარსული და მერმისი
ერთად გადახლართული,

რა მერნები მოგელის,
დარახტული მერნები,
რა განგებით,
რა ქროლვით
და რა ბედისწერებით.

რა სევდა გელოდება,
ცრემლი სანიალვარო,
საით გაუძლვები და
საღ
წაიყვან
სამყაროს?

შენი ბედისმწერალი
მამალლებს და მაღარდებს –
საუკუნე გადივლის
ბოლო განთიაღამდე.

ფარმერა იაპონიაში ბასაბზავნ “დედა
ენაზე”
ჩემს შვილიშვილს ჯანსულ კორძაიას
“დედა ენას” გიგზავნი
საქართველოს დესპანად,
რომ სულ ერთად ზეობდეთ
შენ და შენი ქვეყანა,

რომ სამყაროს ბჭეებში,
შენ წინ რომ აღმართულა,
შეაბიჭო ქართულით,
ქართულით
და ქართულად

ქართულ გონით!
და ზოაპრულ
ქართულ ასომთავრულით,
ქართულ გულით და განცდით,
შთაგონებით ქართულით.

ქართულ ოცნებებით და
ქართულ ზეცის ფერებით,
ქართულ ლექსის სიმაღლით,
ქართულ ცხობიერებით.

“დედა ენას” გიგზავნი,
საქართველოს დესპანად,
რომ

სულ
ერთად
ზეობდეთ,
შენ და შენი ქვეყანა.

მეორედ დაბადება

გია აბესაძეს ხსოვნას

გია აბესაძემ 1991 წლის შემოდგომაზე,
როცა საქართველოში პოლიტიკური
დესტაბილიზაცია მეფობდა და სამოქალაქო ომის
გარდუვალობა აშკარად იყვეთებოდა, რუსთაველის
პროსპექტზე თავი დაიწვა. სიკვდილის წინ მან ეს
სტრიქონები დაუტოვა შთამომავლობას: "თუ
ქართველთა შერიგებასა და საქართველოს
აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს
მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას, ბოლო.
შვილო, მაპატიე. ვიცი, რომ გამიგებ"

განსჯამ ამოტყორცნა და
სიმწრით ამოიზიდა
დასკვნა . . .
ტკივილიდან და

დამსხვრეული მიზნიდან.

დასკვნა . . . ნანგრევებიდან,
ფიქრის გაოგნებიდან,
გადაბუგულ მზიდან და
ძლვრიე ქაოსებიდან,

კანონადაგადავლილ
სივრცის ფერფლის ფერიდან,
შეუცნობ და აუხსნელ
სასტიკ ბედისწერიდან

გაბზარული გულიდან,
დაცხრილული ვნებიდან,
აკივლებულ ცრემლიდან –
უამთა საოცრებიდან,

დასკვნა . . . სიცოცხლეებზე
გადავლილი კევრიდან,
განწირული ზეციდან
დაკარგული რწმენიდან,

გამოუცნობ ძრწოლიდან,
სასიკვდილო ელდიდან,
გაქვავებულ შაჭიდან,
უსაშველო სევდიდან,

დამიზნებულ სროლიდან,
შეძრწუნებულ ხილვიდან,
გაორებულ,
გახლეჩილ
ქართულ სინამდვილიდან,

ცას მიწვდენილ ურვიდან,
სისხლით ნატბორ მიწიდან,
მეხთატეხად,
ელდად და
ზარად

ამოიზიდა —
დასკვნა,
ვით ბედისწერის
უცხადესი ქარაგმა:
საქართველომ გონი და
თავისთავი დაკარგა.

ირგვლივ სივრცე, მორთული
მონგოლური კარვებით,
სივრცე, გადალეჭილი
სისხლის ნიაღვარებით.

და ერთბაშად,
შეძრული
შეშლილ სინამდვილეთი,
გონდაკარგულ ქვეყნით და
დაშრეტილი იმედით,

მიწვდი,
რომ ამაოა
სიტყვაც,
ლოცვაც,
რომ ამ წამში სამშობლოს
სამუდაშოდ კარგავდი,

იმ უწმინდეს მიწას და
იმ ზმანებებს კარგავდი,
შენ რომ მთელი სიცოცხლე
ოცნებებით ქარგავდი.

იმ სიმაღლეს კარგავდი
ქართულ სულის სიმაღლეს . . .

ყველაფერი მიჰქონდათ
გრიგალებს და ნიაღვრებს.

საქართველო თავისთავს
თავის ხელით მარხავდა . . .

ყველაფერი მორჩა და
ყველაფერი გათავდა.

ირგვლივ სივრცე-მორთული
მონღოლური ქარვებით . .
სივრცე სავსე ბოლშის და
შურისგების ზარებით. . .

იდგა უბნელესი და
შემხუთველი ქაოსი . .

გონი რამ დაუკარგა
შემქრებს ქართულ ჰანგების?

გონი რამ დაუკარგა
შემქრებს ქართულ ჰანგების,
რა ღვთის წყრომით,
რა ძალით,
რა დაუნდობ განგებით?

გონი რამ დაუკარგა
შშობელს პეტრე იბერის?

ვინ გააქრო
ცისფერი,
ზღვისფერი და
შზისფერი.

გონი რამ დაუკარგა
ქრისტეს ჯვარის აღმმართველს,
ბაგრატისა და გელათის და
მცხეთასა და ალავერდს.

ირგვლივ სივრცე – მორთული
მონღოლური ქარვებით,
მოოჭვილი ბოლშის და
ზიზღის მინანქარებით

და აკივლდი!

ის წამი
და იმ დასკვნის საზრისი
ყველას რომ გაეაზრა,
ვით ახალი კრწანისი.

ყველას რომ განეცადა
ბეჭისწერის ქარაგმა:
ქართლმა გონი, აზრი და
თავის თავი დაკარგა.

მაგრამ ვაი,
ყრუ იყო
სივრცეცა და უამიც და,
ყრუ იყო, ვით უდაბნო
და ყრუ . . . დასაბამილან.

ვერვის ვერ მიაწვდინე
ხეა შენს აკივლებიდან,
გამწარებულ გულიდან,
შეძრწუნებულ ვნებიდან,

ხსნა არ ჩანდა!
გარს გერტყა
უდაბური ჭაობი,
უსიცოცხლო, უმზეო,
და ბნელ სანახაობით.

ხსნა არ ჩანდა!
გეხვია
გაუვალი ტევრები,
გადაფერადებული
მრუმე აკვარელებით.

რა წამმა ჩაგაგონა,
რომელ სიორმის მხილველმა,
რამ ამოხსნა
ათასი
კიოხვით საგსე დილემა?

რა წამმა ჩაგაგონა
რისმა ამოლანდებამ?
რა ფიქრიდან,
 რა მშველი
ცეცხლის ამონათებამ?

რა განსჯამ ჩაგაგონა,
რომელ ფიქრის წამყოფით,
რამ მიაგნო:
 არ სმენილს,
არ ნანახს და
 არ ყოფილს?

რა განსჯამ ჩაგაგონა
რომელ ფიქრის წამყოფით,
რომ ჰვეყანას შეძრავდი
მხოლოდ ოვითუარყოფით.

მხოლო თავის შეწირვით,
მხოლოდ თავის განწირვით . . .
 და აფრინდა შენს ცაზე
ფრთაგაშლილი არწივი.

მხოლოდ ცეცხლით!
 მზისთვალით,
ცეცხლით – პირველმიზეზით,
ცეცხლად აბრიალებით,
ცეცხლად აგიზგიზებით.

რა ძალა შეიმართა,
აბორგდა და აშბოხდა,
რა განსჯამ ჩაგაგონა
რომელ ფიქრის წამყოფამ?

რა ძალა,
 რა დამუხტე
ტანზე ცეცხლის მომდებად,
რამ ჩაახშო ტკივილი,
წამება და გოდება?

ცეცხლი, ვით სტიქიონი,
ცეცხლი – პირველმიზეზი,
ცეცხლი ამირანის და
ცეცხლი ჰერაკლიტესი.

და ცეცხლწაკიდებული
ცისკენ წახველ ნისლივით
ცეცხლად ამოელვარდი,
ცეცხლად ამოგიზგიზდი.

ენთო წამი! –
ტკივილად
ანთებული ლამპარი,
როგორც ყოფნა-არყოფნის
სამანი და საზღვარი.

და აფეთქდა სამყარო,
მრუმე, ყრუ,
უდაბური,
და კიოდა სამრეკლო,
რეკდა ზარი გაბმული

და სულ ბოლო ხილვაში
აფერადდა გიშერიც. . .
და აინთო
ცისფერი,
მზისფერი და
ზღვისფერი,

შენ კი,
ვინც ქაოსიდან
ცეცხლად ამოიტყორცნე,
კვლავ გრძელდები!
უპდავ და
მარადიულ სიცოცხლედ.

და გველაფერს, რაც ჩვმთვის

. . . და ეს განცდა “ჩემია“
ცისფერ იდუმალებად
ახლავს ყველა აღქმას და
ერთვის ყველა ზშანებას,

და ყველაფერს, რაც იყო,
და ყველაფერს, რაცა,
და ყველაფერს,
რაც ჩემთვის
საქართველოს განცდაა.

განცდას
მყინვარწვერის და
უშბის აძაყ სიმაღლის,
შურისციხის ბურჯების
სიშტკიცის და სიმაგრის,

ერთვის
შოთას სტრიქონს და
სტრიქონს გალაქტიონის,
მტკვრის ტალღების შრიალს და
ცისფერ ზარებს სიონის,

ახლავს
სვეტიცხოველის
ზეცად ასულ ხატებას,
და აჩრდილად ილიას
ნათელ ამონათებას,

განცდას
მთაწმინდისას და
მისი ზეცის ფერების
და უწმინდეს საფლავებს
დიდი მთაწმინდელების,

ახლავს
კრწანისს, მარაბდას,
გონიოს და მარტყოფს და

გორგასალის ისრების
შოზიდვას და გატყორცნას,

ალავერდის გუმბათს და
გელათს – ალმაშქებლის
და ბაგრატის ჩუქურთმებს
ჯვრით და
ძინთ და
მტევნებით.

ალაზნის ველს – მოოჭვილს
ქარვის მინანქარებით,
ერთვის
მრავალქაშიერს
მოგუგუნე ბაზებით,

თამარ მეფის ხსოვნას და
დედა ენის ფოლიანტს,
დიდგორს –
აზრის,
გონების
და მახვილის გოლიათს.

აკაკის ჩანგა!
ვეფხვის და
მოყმის უკვდავ ბალადას,
თეთრი ჩიჩილაკებით
ამონთებულ კალანდას.

და ყველაფერს, რაც იყო,
და ყველაფერს, რაცაა,
და ყველაფერს,
რაც ჩემთვის
საქართველოს განცლაა.

სამშობლო – მცნება

ღიმიტრი და კახაბერ კორძაიუბს

ვცოცხლობ და ვიღვწი
გონების მიერ
შცნებად აღთქმული
სამშობლოს წიაღ,
სამშობლო-მცნება, რომელსაც ქვეყნად
უპირველესი სიმაღლე ჰქვია.

გონი და მცნება!
აქ სიბრძნეცაა.
არის ვნებაც და
ურყევი ნებაც,
არა, სამშობლო არ არის ცნება,
იგი მცნებაა –
მაღალ მიზანთა,
წმინდა ზრახვათა
თავგანწირვათა შემკრები მცნება.

სამშობლო არის
სულის საწყისი,
და დასაწყისი,
არსი და დვრიტა,
სულ ჩემთანაა წარმოსახვებად,
ყოფნის საზრისად, ოცნებად, მითად.
ხელიდან ხელში,
საგოგმანები,
პირველმიზეზი
ყველგან და მარად,
სიცოცხლის აზრად სულის ყივილი:
სდექ მტკიცედ! ბურჯად! შეუვალ კარად!

გონი და მცნება!
თავის დაცების
და თავშეწირვის
უკვდავი მცნება,
სამშობლოსათვის თავგანწირული
ყველაზე ლამაზ სიკვდილით ქვდება!

გონი და მცნება!
თავგანწირულებს
რომ უნთებს წმინდა
და ფრთიან კოცონს,
სამშობლოსათვის თავდადებული
ყველაზე ლამაზ სიცოცხლით ცოცხლობს.

რაც მინდა,
სწორედ იმგვარად მინდა,
როგორც სამშობლოს
უნდა და ნებავს,
იგი მცნებაა:
ლოცვათა,
ზართა,
თავგანწირვათა,
გზათა და სულთა
შემკრები მცნება.

... და იოცნებე

იაპონია, ქ. კიოტო,
ჩემს შვილიშვილს ლუკა კორძაიას

დადგება დრო და
შენ ჩაწვდები
ამ ჩემს სტრიქონებს,
ზუსტად გაიგებ
რა და
რატომ მეოცნებება,
და ვხედავ,
როგორ აგიტაცებს
და გაგიყოლებს,
ეს ჩემი ლოცვა,
ჩემი აჯა,
ჩემი ველრება.

გაითავისე
სინამდვილე,
რომ შის უცილო
შრედ გადაიქცეს
შენი აზრი,
განსჯა, გონება,
რომ არვინ დარჩეს
ქვეყანაზე
არვინ უწილოდ
შენს
ულამაზეს და უწმინდეს
ზეშთაგონებას.

იცოცხლე ისე,
რომ შენ მიერ
ნაგებ დარბაზებს,
ვერ გაუჩინოს
ვერსად ბზარი
დრომ და ბუნებამ,
და სულ გეწეროს
სულზე,
როგორც წმინდა დაფაზე.
სამშობლო,
როგორც
უმაღლესი ღირებულება.

და იოცნებე,
და მოჰყინე
მთელ საქართველოს,
შენი ოცნება
იძედების
ნათელ ტაძრებად,
ქართველი
შუღაბ
მეოცნებე სულით ქართველობს.
ქართველად
შხოლოდ
მეოცნებეს ძალუძს გაძლება.
აპა, ეს ლექსიც,

ჩემს გულს ვატან
მე ამ სტრიქონებს,
ამ ჩემს ოცნებას
ამ ჩემს აჯას,
ამ ჩემს ვეღრებას,
ჰა, მოდის ის დრო
/ჟამი
სწრაფად გადაიქროლებს/,
ჩვენში რომ
შენი
საუკუნე ამომზევდება.

მოწამეთა

ზენაარის ჩაგონებით და ღვთაების კარნახით
მოწამეთად მოინათლა ეს სმარაგდის სანახი.

მოწამეთა . . . საქართველოს ისტორიის ქარაგმა,
ვინც დაარქვა, სწორედ ამგვარ გააზრებით
დაარქვა.

მოწამეთა ჩვენი მიწის ტკივილი და სევდაა,
ქართულ გზებზე, ქართულ ცის ქვეშ ყველგან
მოწამეთაა.

და სიცოცხლე . . . სამშობლოსთვის შეწირული
ჭვარაკი,
ყველგან ჭვარცმა და ჭვარცმულთა წმინდა
ძვალშესალაგი,

ჩვენი მიწის ყველა გოჭი ჭრილობა და ელდაა,
ჩვენს მთებზე და ჩვენს ველებზე ყველგან
მოწამეთაა.

მოწამეთა – ტფილისი და მოწამეთა – ზადენი,
ყველგან მოწამეთაა და ყველა სისხლდანადენი.

მოწამეთა – წიწამური – განწირული ტიტანი,
და კოჭორი – წამებული მირიადი წმინდანი.

მოწამეთა – ძველი მცხეთის დაფლეთილი სხეული,
ყველგან მოწამეთაა და ყველა სისხლდანთხეული.

და მამული მოფენილი ურვით – მოწამეთებით,
მუდამ, მარად და ნიადაგ ჩასაფრებულ ელდებით,

მოწამეთა . . . ვაება და გოდება და წამება,
რეკს ქართული ყველა ზარი მოწამეთას ზარებად.

ჩვენი მიწის ყველა გოჭი ცრემლია და სევდაა
და ფრიადი საქართველო დიდი მოწამეთაა.

მოწამეთა . . . საქართველოს ისტორიის ქარაგმა,
ვინც დაარქვა, ზუსტად ამგვარ გააზრებით
დაარქვა.

... და ჩვენ ჯენი სიმაღლიდან

დავით ჩხიკვიშვილის ხსოვნას

ისევ აქ ვართ,
კვლავ აქ ვართ და
უშენოდ ვართ მცხეთაში,
თავზე გვადგას ლურჯი ზეცა
არმაზის და ზედაზნის,

და ხილვაში კვლავ ცოცხლდება

შემოდგომის გზები და . . .
ისევ დგები იმ ნოემბრის
ლამის შოგონებიდან:

. . . ცეცხლი ენთო ბუხრის თვალში,
ცეცხლი გენთო სიტყვაშიც,
ცეცხლი ენთო მაღლა, ჯვარზე
ამოწვერილ ცისკარშიც,

სუფრას ადგა შემოდგომის
შეთენების სურნელი. . .
და შენ
გახსნილ გულის კარით –
სევდით განუქურნელით,

ზეცა გახსენ სვეტიცხოვლის,
ზეცა გახსენ მეცხრე და
ამობრწყინდა მზე ქართული
ტაოხსა და მესხეთს და,

გადახსნილი გულის კარით,
როგორც მაღალ განგებით,
ფესვებს მიწვდი დიაოხში
ძველ მეგრული ჰანგების,

და ჩვენ
შენი მწვერვალიდან
ავიცხადეთ სათავე,
რითაც ქართლი უძველესი
ახლაც რჩება ქართლადვე,

და ჩვენ შენი სიმაღლიდან
შენს ჯვართან და არმაზთან
ჩვენს სიცოცხლეს ჩავწვდით ქართულ
სულის ჯაბადარბაშად . . .

იმღვრეოდა სავსე მთვარე
ცისკრის პირველ ტატნობით,
ეღერდა ზარი!

უსასრულო
გაფრენის და ნახტომის,

იყო ღამე – გარდუვალი
ბეღისწერის სწორფერი,
ჭით ერთ წამში დატეული
შთელი წუთისოფელი,

იყო ღამე – გათანგული
შემოდგომის სურნელით,
გადახსნილი შენი გულით
სევდით განუკურნელით . . .

დღეს კვლავ აქ ვართ,
ისევ აქ ვართ,
უშენოდ ვართ მცხეთაში,
თავზე გვადგას ლურჯი ზეცა
არმაზის და ზედაზნის,

ისევ რეკავს ზარი
შენი
გახსნილ გულის კარის და . . .
სანამ ვცოცხლობთ, ის მიმწუხრი
მუდამ
მოვა
თავიდან,

და ის ღამეც,
შენ რომ უძლვენ
მცხეთას მზიან ღამედ და,
ის ცისკარიც და იმ პირველ
ცისკრის მკრთალი მთვარეც და,

იმ ნოემბრის ცა – გახსნილი
იმ ტკივილის ორანიც,
. . . ფეხზე ვდგებით და ისმევა
შენი შოსაგონარი.

მდუმარჩხაში, ფპივილში, ცოდნები (1937)

გაუცხოებულ და შეშლილ კამში
დემონს პირისპირ შერჩა შიშველი,
შერე დაიმსხვრა ხილვები ბავშვის,
ელდით! . . . და გაქრა დღე გუშინდელი.

დარღვეულ სულის მეუფემ – შიშმა
ჩაქრო შზე და დასტოვა ბნელში,
. . . და შეაბიჯა პატარა ბიჭმა
მდუმარებაში, ტკივილში, ცრემლში.

სამყაროს სიძვლილი

ევგენი მიქელაძის ხსოვნას

მოულოდნელად დაკარგეს ხმები
ნაბიჯმა, ქარმა, ფოთლებმა, წვიმამ,
და მერე უხმო, სულ უხმო ცრემლით
იტირა სულში ჩამწყდარმა სიმმა.
მერე უეცრად დაეშვა ფარდა,
სრული სიჩურე და გარინდება,
სამყარო მოკვდა!
რადგანაც გაქრა
ხმა - ვით სამყაროს ჭეშმარიტება.

რეცენზიის მაგივრ სანდრო ახმეტელის ჩანაწერებიდან

ყველაფერია ამ დიდ ღრამაში,
ნამდვილ სპექტაკლის ყველა დეტალი,
რეჟისურაც და ნიღბით თამაშიც,
რეჟისურაც ზუსტი და გამბედავი,
და გამოკვეთილ მიზანსცენების
გამჭოლი აზრიც . . . ქვეტექსტიც. . . ფარდაც.
ათასფერიან რამპის ენებიც . . .
სულყველაფერი . . . სიმართლის გარდა.

რა ეშველება?

მოსე გოგიბერიძის ჩანაწერებიდან

დროს,
იმ დროს,
იმ წლებს
რა ეშველება,
როს ბორკილს აწყვეტს ჭეშმარიტება
და გარდუვალად ჩაესვენება
დღევანდელ დღეთა მზე და დიღება?

იმ შემაზრზენ და შემძრელ ტკივილებს,
დამსხვრეულ კერპთან იმ შეჩერებას,
რა ეშველება იმ სინამდვილეს,
დროს,
იმ დროს,
იმ წლებს
რა ეშველება?

არა! მხოლოდ ის . . . მიხეილ ჭავახიშვილი

. . . და ის კი არა - მე რომ გამწირეს,
. . . და ის კი არა - მე რომ მაწამეს,
არა! ამ საკნის ბნელი საკირე
და ეს ტკივილი კი არ მამწარებს,

არც ეს - ნაგვემი ჩემი სხეული,
არც ეს - მზარავი მიუსაფრობა,
არც ფიქრი - ასე გზაარეული,
არც ხვალინდელი დღე და გაქრობა,

არა!
მხოლოდ ის -
როგორ ვიქეცი
მოწმედ სამყაროს ულვთოდ დაქცევის,
და ამ სიმართლის უსასტიკესის -
აღამიანის ამგვარ დაცემის.

08 დღემბის ძრონიბა

მაინც მწამს,
მაინც,
და მაინც აზრის,
და მაინც განსჯის და მაინც გონის,
. . . თუმცა ნანგრევმა დაქცეულ ტაძრის
ეკლესიასტეს მარგუნა როლი.

როლი – ყველაფრის მხილველი მეფის,
სიცოცხლის აზრის გამშიფრავ ბრძენის,
. . . და სისხლის უაში აღგვის უაშს ერთვის
და მეწამული ელვარებს ფერი.

და დრო სავსეა გასროლის ხმებით,
და დენთის სუნით და ჟეცის ნგრევით,
და გაოგნებით და შეძრწუნებით
ჩასაძირავად განწირულ გემის.

და სიძულვილი ველურად კივის
და კივის ტყვია, ჭურვი და ნალმი,
იწვის და სახე შეშლია თბილისს
სახე – ქალაქის, ქუჩის და სახლის.

და თუმც ნანგრევმა დაქცეულ ტაძრის
ეკლესიასტეს მარგუნა როლი . . .
მაინც მწამს,
მაინც,
და მაინც აზრის,
და მაინც განსჯის და მაინც გონის.

ნაწყვეტი გაუცხოებულ ქალაქში სიცოცხლის საზრისხე ზიძრებიდან

ღირდა ჯვარცმად და ღირდა წამებად?
ღირდა ეპვებით შეძრულ ფიქრებად?
ღირდა ტკივილის თეთრ ღამებში
სულის გოლგოთად და გარინდებად?
ღირდა შიგნებად –
ასე ცხადი და
უბოროტესი ჭეშმარიტება?

* * *

ამაზე მეტმა რა სისხლისოვრამ და
ამაზე მეტმა რა ტყვიის წვიმამ,
ამაზე მეტმა რა ცოდვის წარლვნამ,
ამაზე მეტმა რა ურვის სიმბა,

რამ შვა,
რა ცხალმა უდაბნოეთმა
ის სახე, სულში მწუხრის მომფენი,
გადაიაზრა რითაც პოეტმა
წუთისოფელი ვით ცრუ სოფელი.

* * *

როგორც აბრაამს, რომ აღმითქვას მეც ზეციერმა,
რომ ჩემს მამულში, ჩემს მიწაზე, ჩემს
სამშობლოში,
განგების სასჯელს, უსასტიკეს და აღმგველ
სასჯელს,
ღვთაების რისხვას გადაურჩება ქალაქი, სადაც
თუნდ ათი კაცი მაინც ცხოვრობს არაცოდვილი,
მე, ამ დღეების,
ამ უგონო ქაოსის მომსწრემ,
ამ ჩემს მამულში, ჩემს მიწაზე,
ჩემს სამშობლოში
რომელ ქალაქზე მივუთითო მამაზეციერს?

არც მაშინ

არც მაშინ,
როცა მონალებმა გადაგვიარეს
და ჩვენს მკერდებზე ველურ ცეცხლით
გადითარეშეს,
როცა ტკივილი – შეძრწუნებულ ქართულ
იარებს
სიმწრის ზარებად არისხებდა ქართულ ზარებზე,
არც მაშინ,
როცა ქართულ ცაზე ავბედით ხმებით
გადიშრიალეს ორთავიან არწივის ფრთებმა,
და როცა დადრკნენ კავკასიის მაღალი მთები –
არ დარღვეულა
ქართლში
ერთად
ათივე მცნება . . .
დღეს კი, დღეს,
ლმერთი – ასე უღვთოდ დავიწყებული,
სისხლის უდაბნო, სისხლის შზე და სისხლის
მთიები,
ზეცისკენ ლტოლვა – განწირულად დამიწებული,
მძინვარე უაში და მკვლელობის მისტერიები.
დრო ცოდვიანი სიძულვილის ღერძზე ტრიალებს
–
(კაენის სულით და მახვილით მოასპარეზე),
ლმერთო,
მოხედე ელდანაცემ ქართულ იარებს
და შენი ხელით ჩამოჰკარი ქართულ ზარებზე.

ლოცვა

ამ გონიდაკარგულ სამყაროს მომსწრებს,
ამ დაუნდობელ სიხლისღვრის შემსწრებს,
ამ სიძულვილის აღმქმელს და მოწმეს
შენ ერთი მრჩები,
ღვთაებავ, შემწედ.

სხვა,
სხვა ვინ იტყვის,
ლოგოსს,
შენს სათქმელს,
სხვამ ვინ განსაჭოს ჟამნი და ღრონი,
გაიმეორე, ლმერთო, შესაჭმე,
გაიმეორე, ლმერთო, შესაჭმე,
გაიმეორე, ლმერთო, შესაჭმე,
და დაუბრუნე სამყაროს გონი.

შემოდგომა - 93

აღარც ოცნებებია,
არც ფერადი სიზმრები,
. . . მხოლოდ სასოწარკვეთა,
მარტო კატაკლიზმები.

აღარც სიმღერებია,
აღარც ლექსის სტროფები,
. . . მხოლოდ სულის განგაში,
მარტო კატასტროფები.

აღარც აფრებია და
არც მთრთოლვარე ლანდები,
. . . მხოლოდ მიუსაფრობა,
მარტო კანონადები.

ალარც აღმაფრენები,
არც ელვარე ლალები,
მარტო მხოლოდ ქარიშხლები და
მარტო ქარბორბალები.

როგორ ერთბაშად

მორიგი სატყელევიზიო ქრონიკის
მოსმენის შემდეგ

როგორ ერთბაშად თეთრდება სისხლი,
როგორ ერთბაშად ცოფდება შხამი,
როგორ ერთბაშად შავდება ნისლი,
როგორ ერთბაშად მოკლდება წამი,
როგორ ერთბაშად იძლვრევა ყოფნა,
როგორ ერთბაშად ირლვევა მაჭა,
როგორ ერთბაშად ზვავდება ბოლმა,
როგორ ერთბაშად ქვავდება განსჯა,
როგორ ერთბაშად დუმდება გონგი,
როგორ შეფდება სიჩუმე სრული,
და ვგრძნობ. . .
ვით დამცველახსნილი ბომბი,
ისე ერთბაშად გასკდება გული.

* * *

ხომ ნათლად ხედავ – დრომ და დღეებმა
მხოლოდ უსაზღვრო ფიქრად გაქციეს,
შეგწირეს ფიქრის სიმაღლეებმა
გზების კოშმარულ ვარიაციებს.

თავს ვერ დააღწევ – ფიქრი წყვლიაღში
ჟამით, შიშით და ძრწოლვით დევნილი,
ბეჭვის ხიდებით და მირიადი
გზაჯვარედინით ხარ დაწყევლილი.

შენებ ნათქბაში სტრიქონები პერიოდი

მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს
არ ჰყვარებია არვის არავინ,
. . . და აგვისტოს ცის მაღალ ფარაონს
შეს – გადუხსნია ცა უთვალავი.

და ქარვისფერად ანთია ჭვარი,
სივრცე იშლება როგორც მარაო,
მიყვარხარ ისე, . . . ისე ვით არვის
არ ჰყვარებია არვინ არასდროს.

მისტიკური ხილვა

ღვთაება ნანობს . . . და უფრო მწარედ
ვიღირე ქე კაცის შექმნას ნანობდა. . .
სამყარო იქცა მყვლელობის არედ,
სიძულვილის და გესლის ჭაობად.

სული ბნელ ცოდვებს რამ აზიარა?. .
ვინ დაგადუმა, დავითის ქნარო? . .
. . . და ახლა მხოლოდ კაცის კი არა,
ღმერთი სამყაროს შექმნასაც ნანობს.

**რადგან სხვა პრგინ
/ტერენტი გრანელის არქივიდან/**

მარტო ვარ!
მარტო!

უგონო ჟამის
სტიქიონების ხილვით შეძრული,
ბხელი ღამით და ვაების ღამით
დატყვევებული და გზებშეკრული

და მარტოობით და შხამით სავსე
კივის სული და იწვის ტაძარი,
ღროს რჩება ველურ ზვავების კვალზე
სივრცე შეშლილი და ნახანძრალი.

პირისპირ შევრჩი ამ მღვრიე ნისლებს,
ოცნებებისგან გაძარცვულ სევდას,
მარტო ვარ,
რადგან სხვა ვერვინ ისმენს,
მარტო ვარ,
რადგან სხვა ვერვინ ხედავს.

ჩვეულებრივი დღის ძრონიგა

ზედიზედ სამჯერ გაისმა სროლა,
და ქუჩა შეკრთა უეცარ სროლით,
და კვლავ აქცია საკუთარ როლად,
ვიღაცამ მკვლელის უტექსტო როლი

წამი ჭი, წამი, წამიერ კივილს
ცელავს წამიერ ელდის ცელებით,
და უხმო შიში დაჰყურებს სიკვდილს
წინა დღეების მიზანსცენებით.

* * *

გიყვარს და... მზიურ ოცნებით
იხსინ ქვეყნიურ ნილაბს,
სამყაროს კი არ მიჰყვები,
მიუძღვები და მიგყავს.

* * *

...და ის დღე დამრჩა, დამრჩა და... ჩემში
სამყაროც დარჩა ასე მაღალი,
ის დღე ივნისის მეწამულ მზეში
შენით და შენგან ნაქანდაკარი.
...და ის დღე დამრჩა, დამრჩა და... ჩემში
სამყაროც დარჩა ასე მაღალი.

* * *

თუ ძე კაცისა,
ეს არის ფიქრი,
რა ვრჩები მე შენს სიყვარულს იქით.

* * *

სევდით ავსებულა სივრცე,
სევდა გაფეხილა ზღვაზე,
სევდა მიისწრაფვის ცისკენ,
სული სევდითაა სავსე.

სული აწეწილა ურვით
და ძრწის მარტოსულის ძრწოლით,
სევდის მოღერებულ ლულით,

სევდის დახანებულ სროლით.

სევდით ავსებულა სივრცე,
სევდა გაფეხილა ზღვაზე,
სევდა მიისწრაფის ცისკენ,
სული ნატვრითაა სავსე.

ვარდთა შთათრენი თოვლით

ვარდთა უთეთრესი თოვლით
მათოვს მოგონება ქამის,
წამის, წუთისოფლის ტოლის,
იმ, იმ ღვთაებრივი წამის.

იწვის ამაღლებულ მზეში,
რეკავს იდუმალი ზარით
ზეცის გალიმებად – ჩემში
შენი აღმოჩენის წამი.

* * *

ზეცა მოქუფრული... ბინდი...
ნისლი გაუკვალავ გზებზე...
მრჩება ერთადერთი ხიდი:
ფიქრი – მზის ბილიკი შენკენ.

* * *

მოულოდნელად გაღებულ ქარში
მოულოდნელი ლიმილი შენი,
და ათინათი – შენს ძვირფას თმაში
მზით გადამწვარი მინდვრების ფერი, –
და სულ უეცრად შემკრთალი სული,
შემკრთალი სული... და რეალობა...
ახლა, ამ წუთში, ჩანს როგორც სრული,
როგორც უცილო გარდუვალობა.

ბამობეთხოვე ჟამის ჟინ

გამოგეთხოვე წამის წინ
და უკვე: გითვლი წამებს,
მომყვება: შენი ნაბიჭი,
ვრეკავ: ივნისის ზარებს,
ვისმენ: უეცარ ბეთჰოვენს,
ვუხმობ: გარდასულ მწუხრებს,
წამის წინ გამოგეთხოვე
და მენატრები უკვე.

* * *

თოფი – უშენობის,
ტყვია – დუმილისა,
და მე სამიზნე ვარ მარტოობის ველზე.

* * *

მიყვარხარ!
და შენ ეს ერთი სიტყვა
ისე, ვით ექო, მარად და მუდაშ,
გაგიმეორებს, რაც შენთვის მითქვამს
და რაც არ მითქვამს და რის თქმაც მსურდა.

გაგიმეორებს! ეს ერთი სიტყვა
გაგიმეორებს ყველაფერს ერთაღ,
იმას, რაც მითქვამს, რაც უკვე მითქვამს
და რაც არ მითქვამს და უზდა მეთქვა.

* * *

გელი!
უშენოდ არ აცხადდება
გარსშემოხვეულ მთების ზმანება,
უნდა მოხვიდე
ამ ძარტოობით
საკსე მწუხარების ფერისცვალებად,
უნდა დარეკო
აღტაცებების
და ამაღლების ცისფერ ზარებად,
გელი!
უშენოდ არ აცხადდება
გარშემოხვეულ მთების ზმანება.

* * *

ეს გზა, კლიენტში გამოკვეთილი,
აქ წყდება, ჩემი ოცნების მთებში,
აქ გელი, ნისლში გამოკეტლი,
მარტოობაში, ვით სიწმინდეში.

გელი! და ვიცი, ვიცი, რომ მოხვალ,
როგორც სიცოცხლის „მორჩი კეთილი“,
და გაცოცხლებულ და აღმდგარ დრო-ჟამს
ვუცდი ამ მთებში გამოკეტილი.

შენ ისევ მისმენ

შენ ისევ მისმენ და ისე მისმენ,
თითქოს პირველად მისმენ და გესმის,
და ის, რაც გესმის, უმალ და მყისვე
ათასფერ სანთლად იზოება შენში.

გასუდრულია უამი – მოსისხლე,
ჭვლავ იძედი მაქვს მიწის და ზეცის...
შენ სულ მომისმენ, ისე მომისმენ,
თითქოს პირველად მისმენ და გესმის.

* * *

ვწვდები და ვშიფრავ, მე მხოლოდ ახლა
ვწვდები ჩემს სულს და ბოლომდე ვშიფრავ,
ახლა, როდესაც ცხადად და ნათლად
ვიცი, შენ ჩემთვის რა ხარ და ვინ ხარ.

შენ ერთი ცოცხლობ გაშიფრულ სულში!
შენი ღიმილით,

წვით და

ფიქრებით!

ელვარებს სული შენს სიყვარულში
თავის ნაძღვილი ჭეშმარიტებით.

ახლა იქ, მთებაში

ახლა იქ, მთებში, კვლავ შარშანდელი
ჟამი ანთია შზისფერ ელვაში,
და სივრცე, ათას ოქროს სანთელი,
გახვეულია ფოთოლცვენაში.

და შენ გიგონებს ფერთა ტალღებად
გარდაქცეული დრო და სინათლე,
და ნატრობს ისე იმ მონატრებას,
შარშან, იქ, მთებში, შენ რომ მინატრე.

შენ მუდამ მყავდი

შენ მუდამ მყავდი და ისე მყავდი,
რომ გარდუვალად უნდა მყოლოდი,
რომ მივსულიყავ საკუთარ გზამდი,
რომ ამომენსნა სული ბოლომდი,

რომ ყოფილიყო სიცოცხლე ცხალი,
რომ ჰქონებოდა აზრი მოლოდინს,
შენ მუდამ მყავდი და ისე მყავდი,
რომ გარდუვალად უნდა მყოლოდი.

* * *

ფიქრთან, რომელიც წამით მიწყდება,
იწყება ფიქრი, ფიქრი შეორუე,
და ის შეორუე...
რადგან იწყება,
შენით იწყება და გიმეორებს.

შენ გიმეორებს!
შენ, ვით ბიბლიას,
ისე მარადისს და უთარილოს,
რადგანაც ჩემს ფიქრს არ შეუძლია,
იყოს და შენზე ფიქრი არ იყოს.

* * *

ქალაქი ელის ოცდაერთ ივლისს
და სდუმს ქალაქი და შენ მოგელის
და ამ დუმილში ჩაძირულ ტკივილს
ნატვრის ნიღბებად ხატავს გოგენი.

წარმოსახვების თეთრ ზმანებაში
ქალაქი შენ და სიცოცხლეს ელის,
და მოხვალ
და ამ გარინდებაში
ამოძრავდება სუყველაფერი.

შეცარი მოგონება მანქანიდან კეტრებს ციხის დანახვისას

ცა - ლურჯად მოკევილი,
სივრცე - მზით ანაგები,
მთების ფონზე მოჭრილი
პეტრეს ციხის ნანგრევი.

კვლავ ელვარებს, ო, იმ დღის
შორეული ფანტომი,
ჩვენი ლტოლვა - სიცოცხლის
ლტოლვას გადანატოლი.

ვმალლდებოდით ბილიკზე
უმსუბუქეს ფრთებით და
მოგონება ივნისზე
ეშვებოდა ზეციდან . . .

ახლა ცისფერ თოვაში,
ის დღე ისე ცხადდება,
როგორც უშენობაში
შენი გამონათება.

ამ ვოთოლუვენის ჟაზდაზრბაში

ამ ფოთოლუვენის უსაზღვრობაში
შემოჭრილია როგორც სინათლე
ის დღე, როს მზის და ჟამის ჭენობაში
მთებში, მაღალი ნატერით მინატრე.

შემოჭრილია . . . და კვლავ ელვარებს
იმ შემოდგომის ფერთა ნაკადი
და ათოვს, ათოვს ირგვლივ ყველაფერს
ეს დღე . . . იმ დღიდან გადმონახატი.

* * *

შენ მოაბიჯებ!
და ისე, როგორც
მზის ზენიტზე
ჩინარის ჩრდილი,
უკან იხევს ამაოება.

* * *

ის დღე გადარჩა! ის ერთი დღეც და . . .
დამწრჩა მაღალი ხილვა: ბეთანი
და ბეთანის ცისფერი ზეცა,
როგორც ულურჯეს ზეცას დედანი,
და ბეთანის ივლოსის ფუნგით
მოხატულ მთებში – თეთრი ტაძარი,
და გადარჩენილ დღის ზარი სულში:
შენ – ტაძრის ფონზე ნაქანდაკარი.

* * *

სხვა რალა დარჩა . . . მოგონებაში
მარად ცოცხალი იმ წამის გარდა,
და გაზაფხული ფერად-ფერადში,
და შენ გელათის ალსავლის კართან,

და ეს ექვანი,
შენით და შენგან
აჟღერებული ოქროს ექვანი,
და იმ დღის გულის და მაჯის ფეთქვა,
და იმ დღის ნატვრა და კაეშანი.

სიყვარული მეორედ

არ შეგეშინდეს! ერთბაშად მოგწყდა
სამყარო, შენ რომ სამყაროდ თვლიდი,
მოგწყდა და ახლა ნისლივით მოჩანს
უცებ გადახსნილ სივრცეებს იქით.

მაღლდები! სადღაც შორეთში რჩება
ტკივილი უხმოდ დარეკილ ზარში,
და ჩნდება, სულ სხვა ნაპირი ჩნდება
და სულ სხვა ზეცა გეხსნება ცაში.

მოუხერხას, რომლებიც ცოცხლობდნენ შენით

მწუხრებს, რომლებიც ცოცხლობდნენ შენით,
და შენი სუნთქვით საგსე ხეობებს,
იმ ბილიკებით და ვარსკვლავთცვენით,
ვერასდროს ვეღარ გავიშეორებ.

სიცოცხლე ანთებს, ვით მეტეორებს,
იმ დღეებს . . . და სულს სტკივა “სადა ხარ?“
. . . ვერასდროს ვეღარ გავიშეორებ,
მაგრამ ვერასდროს ვერ გადავლახავ.

* * *

შენი პირველი დანახვა ჰგავდა
გარინდებულ მდუმარებაში
შოულოდნელად შემოჭრილ ზარებს.

* * *

ის სიყვარული ხსოვნაა ახლა
ის მწუხრებიც და ის მონატრებაც,
ის შემოდგომაც,
ქცეული ქარვად,
მთებად, ზარებად,
და მონასტრებად,

ის პოვნაც,
ზეცის, ის ზეცის პოვნაც
ის ტკივილებიც და ის იარაც . . .
ხსოვნაა,
მაგრამ
იმ სულის ხსოვნა,
იმ სიმაღლეებს რომ ეზიარა.

* * *

სხვა გზებს,
სულ სხვა გზებს
გადაჰყვა სული
ხვედრით – სასტიკით და უმკაცრესით,
. . . მაგრამ ხომ იყო ის სიყვარული
უნაშფილესი და უშძაფრესი,
მაგრამ ხომ რეკლა ის სიყვარული
იმ სიმაღლიდან და იმ ზარებით,
. . . და სასტიკ გზებზე თან მდევს წარსული –
იმ მაღალ ზარებს ნაზიარები.

* * *

მე რომ მჯეროდეს,
რომ შენც ტკივილად
გაგყვა ის დღე და წამი შემკრთალი,
რომ სულ შემთხვევით მოწვდილ გვირილას
შერჩა აგვისტოს მზის ნაღვერდალი,
რომ შენც აშ წუთში იგოხებ ფარცხის
ხვატში ანთებულ ლურჯი ფერებით,
მაშინ . . .
სიცოცხლის ღვთაებრივ საწყისს
და ბედისწერას დავიჭერებდი.

* * *

გიყვარს!
და უკვე ამოხსნილია
შენი სიცოცხლის ნამდვილი აზრიც
და საიდუმლოც ქვეყნის გაჩენის.

* * *

ნათელი მიტომ მოპფინა ლმერთმა,
სიცოცხლე ქვეყნად შიტომ გადარჩა,
რომ შენ ჩაგვევლო
რუსთველის ძეგლთან
ასე ლაშაზს და ასე ლაშაზად.

* * *

მხოლოდ ეს ღრუბლის ნაფლეთიც კმარა,
ეს დანამული ვარდის ფურცელიც,
რომ
კვლავ გაცოცხლდეს იმ დღეთა გალა,
კვლავ შზიური და კვლავ ფერუცვლელი,
რომ კვლავ გინატრო!
კვლავ. . . და ოცნებით
კვლავ გავყვე ცაში არწივთა გუნდებს,
და იმ დღეების კვლავ გაცოცხლებით
ჩემს თავს, საკუთარ თავს დავუბრუნდე.

* * *

არ მახსოვს წამი,
შენ რომ ჩემში
არ ყოფილიყავ —

ნატვრად,
სიწმინდედ,
ტკივილებად,
ლოცვად,
ლირიკად.

* * *

იმ სიმაღლიდან
მე რომ შენზე
ფიქრში ავედი,
სამყარო არის
მხოლოდ
შენზე
ფიქრის ფრაგმენტი.

* * *

შენი ლიმილი
და ჩემშა გულმა
ჩემთვის უკვდავი დღის ბეჭედი დაისვა იმ დღეს.

* * *

ყველა ფიქრს თავის ზუსტი ფერი აქვს
სული ყველა ფიქრს ხატავს ფერებით,
ზოგს უმრუმესი გუაშებით და
ზოგს უნათლესი აკვარელებით.

დრო აელვარებს ამ ფიქრებს ფერადს,
ფერად ოცნებებს და სულს ნაწამებს,
. . . ჩემი ოცნება თეთრია ყველა,
რაღან შენა ხარ მათი სათავე.

* * *

დღეს რომ გიპოვო –
გამართლდება ქვეყნაშ გაჩენა,
ქვეყნის გაჩენაც გამართლდება,
დღეს რომ გიპოვო

მოგნატრუბიგარ ფოთოლცვენაში

მოგნატრუბიგარ ფოთოლცვენაში,
მოგლანდებიგარ ფერთა რიალში,
ფერთა ზვავში და ფერთა ჩერალში
ფერების ქარში და ხეტიალში.

მოგნატრუბიგარ! ფერთა ტევრიდან
წამომიფრინა ნატვრამ ორბები,
თავს ვერ დააღწევ ფოთოლცვენიდან
და აწ ვერასდროს გაუცხოვდები.

გარიაციები შენი ფიქრებიდან

. . . კვალავ უშენოდ ვარ!
უშენოდ!
მაგრამ,
სწორედ ამიტომ არ ვარ უშენოდ!
. . . და დრო რომელიც უშენოდ მიდის,
დროა,
რომელიც სავსეა შენით!
. . . და მე ვიცილებ ჟამთა სიავეს

შენზე ოცნების მეხამრიღებით!
. . . შენ, შენ,
შენ აკლდი ჩემს სინამდვილეს,
ამიტომ ერქვა ყოფნას – ლოდინი,
და სინამდვილეს –
სინამდვილის შესაძლებლობა.
. . . აშ სამყაროში ჩემი მოსვლის გარდუვალობა
ცხადია
მხოლოდ
ახლა და შენით!
. . . მე ვარ!
ეს ნიშნავს, რომ ვფიქრობ შენზე,
ეს ფიქრი ჩემი ყოფნის წესია.

* * *

გადიკარგე და აიგსო
სული მისტიკურ ლანდებით,
სიშორით – გაუღწეველი
სინათლის წელიწადებით.

გეძახი! ის დღე საღ არის
იმ მუსიკით და ჰანგებით,
იმ ხმებით – იმ განთიადის
იმ ცისფერ ზანზალაკებით.

ახლა რომ მართლა

ახლა რომ მართლა,
ახლა რომ წამით
შენი ღიმილი ცხადად მაჩვენა,
აშ გაელვებით და მხოლოდ ამით
გავამართლებდი ქვეყნად გაჩენას.

ვაშეგში ბოგო ბამოერია ჩემს შვილიშვილს სალომე კორძაიას

ამდენი ვაჟი მემკვიდრის შემდეგ
უეცრად გაჩნდა ქალი - სალომე,
თმები - მწველი მზე დანათის ზეგნებს,
ხმა - ბულბულები ვარდზე გალობენ.

ვაჟებში გოგო გამოერია,
გოგო, რა გოგო, რა თვალხატულა,
ულამაზესმა თეთრმა ფერიაშ
წამწამი ნაზად დააფახულა . . .

ბიჭებში გოგო გამოერია,
გოგო კი არა, ქალი თავადის,
ჰა ასპარეზი თეთრო ფერიავ,
ლტოლვის, გაფრენის და მასკარალის.

ჩემს გვარში გოგო გამოერია,
და სიხარულმა შეკრა კამარა,
და აღტაცებამ, ჩემო ფერიავ,
უსაზღვროება შემომატარა!

მე ისევ აქ ვარ . . .

მე ისევ აქ ვარ,
 მე კვლავ აქ ვარ,
 კვლავ ამ მთებში ვარ,
მთებში, რომლებიც
 ინახვენ როგორც ზმანებებს,
ნათელს, იმ ნათელს,
ჩაუქრობელ მზედ რომ ეფინა
აქ,

შენთან ერთად
შეგებებულ შემოღამებებს.

უამს ინახავენ,
უამს იმ ლტოლვის,
უამს ამაღლების,
უამს,
მთვარით ნაქსოვ ბილიკებზე
მწუხრის ნაბიჯებს,
იმ უამს, რომელიც
ბედისწერის
მაღალ განგებით,
შენით აღსავსე
იმ დღეებმა,
რომ მომანიჭეს,

ხმებს ინახავენ,
იღუმალ ხმებს,
ხმებს იმ ზარების,
იმ ბილიკების,
იმ ტალღების და იმ ტევრების,
ხმებს იმ წვიმების,
იმ ძახილის,
ხმებს იმ ქარების,
იმ სიყვარულის,
იმ მწუხრების
იმ შადრევნების.

შენ აქ ელვარებ,
ფოთოლცვენის მირიად ფერში,
შენ აქ ანთიხარ,
ვარსკვლავთცვენის ათას ბგერაში,
აქ იწვი
ლურჯად ამაღლებულ მთების ნათელში,
ამ ხეობების
სიზმარეულ
გულისძგერაში.

აქ,
აქ ცოცხლობენ

ის დღეები
მზით და ქარწვიმით
და იმ ლტოლვით და
უსაზღვრობით
სავსე დღეები
დღეები სავსე ზმანებებით და სინამდვილით,
იმ სიყვარულის
მოელვარე
სიმაღლეებით . . .

და მე კვლავ აქ ვარ,
ისევ აქ ვარ,
კვლავ ამ მთებში ვარ,
მთებში, რომლებიც
ინახვენ როგორც ზმანებებს,
ნათელს,
იმ ნათელს,
სიზმარეულ მზედ რომ ეფინა
აქ, შენთან ერთად
შეგებებულ შემოღამებებს.

* * *

რასაც მივესწრაფვი და
რაც რომ მეოცნებება,
რაც სიზმრებად მიქციეს
უმძაფრესმა ვნებებმა,

ყველა საგალობელი,
სულის ყველა ებანი,
ჩემი მოლოდინი და
ჩემი მოგონებანი,

და სიცოცხლეც – უწყვეტი
წარმოსახვის დინება . . .
შენი

ნატვრის
უმკაცრეს
კანონს ემორჩილება.

* * *

რა ღვთაებრივი გრძნობაა: ნატვრა,
რა იდუმიალი განცდაა: გნატრობ,
გნატრობ!
და ახლა ეს ნატვრა მართავს
სულის ყველა შრეს და ყველა ატომს.

და აპა, ჩემი სიცოცხლის ქარგა:
სარ შორს და სადღაც,
გიხმობ და გდარდობ.
რაც უაღრესად აბსტრაქტულ: ნატვრა-ს
აქცევს კონკრეტულ ტკივილად: გნატრობ.

08 მწვხრის შემდეგ

იმ მწუხრის შემდეგ
სულ სხვა ზეცილან
იბადებიან განთიადები,
სხვა ფერების და
სხვა რიტმების და
სხვა ელვარების
სხვა ტრიადებით.

სხვა ოცნებების
გაშლილ აფრებით,
ფრთებით, სანთლებით, დიადემებით,
სიღრმით,
სხვა სიღრმით,
და უსასრულოდ,
და უბოლოოდ მბრწყინავ ტევრებით.

სხვა ორბიტაზე
ბრუნავს სამყარო,
სხვაგვარ ბრუნვით და სხვაგვარ
წრებით,
სულ სხვა ეჯვნებით,
სხვაგვარ ზარებით,
სულ სხვა ხმებით და
სიმაღლეებით.

და შენ ანთიხარ
ყველა ლტოლვაში,
ყველა ფრთაში და ყველა აფრაში,
შენით სავსეა
ყველა ელვა და
ყველა ბგერა და
ყველა კაშკაში.

იმ მწუხრის შემდეგ
სულ სხვა ზეცილან
იბადებიან განთიადები
სხვა ფერების და
სხვა რიტმების და
სხვა ელვარების
სხვა ტრიადებით.

* * *

ის კი არაა მთავარი:

სად ვარ,

რომ თავს ბათუმის ზეცა დამნათის,
რომ “ოლიმპიის” გემბანზე ვდგავარ
და მაკრავს ზღვის და მზის ანდამატი.

არამედ ის,

რომ ამ წუთშიც, ახლაც,
სავსე ვარ შენზე ფიქრით და ნატვრით,
მივყვები შენზე ფიქრების ნაკალს
და შენი ნატვრით ვცილდები ნაპირს.

ვცილდები! ცხრება პორტის ხმაური,
ბათუმი მოჩანს სივრცის ფრაგმენტად . . .

და უმთავრესი,

ის სიყვარული,
ამ ფიქრს რომ ადგას შარავანდედად.

არ დასრულდება

არ დასრულდება!

შენ უფრო ცხადად
და სულ ბოლომდე
უნდა გაიგო,
და უნდა ჩაწვდე, რომ ჩემთვის რაც ხარ,
უსასრულოა და უთარილო,

რომ ჩემს სიცოცხლეს

უამიდან ჟამში

ექოდ გაღააჭვს

შენზე ოცნება, როგორც სამყაროს გაბრწყინება
და გასხივოსნება. . .

არ დასრულდება!
შენ უფრო ცხადად,
და სულ ბოლომდე
უნდა გაიგო,
და უნდა ჩაწვდე, რომ ჩემთვის რაც ხარ,
უსასრულოა და უთარილო.

* * *

წახვედი!
დავრჩით მე და ბაქანი,
უკაცრიელი და მოწყენილი,
ბინდი – ცივი და მიუსაფარი,
საათი – დროჟაშს ჩამორჩენილი.

დასრულდა!
და აშ ეს ყრუ ბაქანი
სამარადეამოდ მემახსოვრება,
დასრულდა, როგორც სევდის ზღაპარი,
საღაც უზიღბოდ ცხოვრობს ცხოვრება.

შენ ჩემი სხვა ხარ. . .

შენ ჩემი სხვა ხარ, იმ გააზრებით,
როგორც „თავის სხვას“
შიფრავს ჰეგელი,
ჰეგელი, როგორც ამ მიმართების
აღმომჩენი და
მაუწყებელი.

და მომესაჭა ჩვენს ზიარ ველზე
სულ შენკენ ლტოლვა,
ლტოლვა და სწრაფვა,
შენზე ოცნება და ოცნებებში
ჩაუმცხალ ნატვრად
გაშლილი აფრა.

სწორედ ის სხვა ხარ, ურომლისოდაც
ჩემს არსებობას
ვერ გავიაზრებ.
მე მავსებს შენი სულის სიმაღლე,
შენი წიბლი და
შენი სინაზე.

სწორედ ის სხვა ხარ, რომლის გარეშეც
ჩემი სიცოცხლის დვრიტას
ვერ ვწვდები,
და მიფრინავენ უსაზღვრობისკენ
ჩემი და შენი
ზეცის მერცხლები.

და შენ განგიცდი ჩემი მეობის
და ჩემი ყოფნის
მზიურ ნაწილად,
ვინც ჩემი ფიქრი და წარმოსახვა
აამაღლა და ააარწივა.

შენ ჩემი სხვა ხარ, იმ გააზრებით,
როგორც „თავის სხვას“
შიფრავს ჰეგელი,
ჰეგელი, როგორც ამ მიმართების
აღმომჩენი და
მაუწყებელი.

* * *

შენს სილამაზეს, პოეტის გარდა,
ქვეყნად ვერავინ ვერ შებედავდა,
შენს სულის შრეებს, პოეტის გარდა,
ქვეყნად ვერავინ ვერ გაშიფრავდა,
შენს აღმოჩენას, პოეტის გარდა,
სიცოცხლეს ვერვინ ვერ შესწირავდა,
მე აქ ვარ, აქ ვარ, ასწიეთ ფარდა,
სულ ასე მწამდა, სულ ასე მწამდა.

პოლიტიკი

მე შეგეგებე: ჩემს სულში შენი
აღმოჩენისგან
შეძრული გონით,

დატყვევებული
შენით და შენკენ
ჩემი ოცნების
უძაფრეს ლტოლვით,

მთვარეულივით
გაღმოღვემულ ბიჭით,
შემცბარ გულით და
შებოჭილ მაჭით,

და უთქმელ განსჯით,
იღუმალ განსჯით,
მდუმარ განსჯით და
განაბულ განსჯით.

აანთე სივრცე
ზღაპრის ქარგიდან
მზისფერი თმებით
მოსულ ალივით,

ფერმქრთალმა,
ნაზმა და ზეციურმა
სექტემბრის
მწუხრის წინანდალივით.

და შენ წინ შევდექ:
აბურდულ ფიქრით,
და შეძფოთებულ
და ირიბ მზერით,

და ოღტაცებულ
სულით და განცდით
და სავსე შენით,
შენით და შენით.

და იდგა წუთი,
წუთი დუმილის,
წუთი განგაშის,
ხილვის და წვდომის . . .

გარეთ კი, გარეთ,
ფანჯრების მიღმა
სივრცეს იპყრობდა
თებერვლის თოვლი.

სიზვარულის მეტაფიზიკა

ვგრძნობ, როგორ იპყრობს მთელ ჩემს არსებას
იდუმალებით სავსე ნათელი,
ერთი წამიც და, სულს მოასკდება
ნატვრა,
ვით ზარი და განსაცდელი.

* * *

ის კარნავალი იმ მზიან ღამით,
იმ გულისძგერის ის მძაფრი წუთი,
იმ გალიმების ელვარე წამი,
ყელში გაჩრილი სიტყვა და ბურთი,
სულ ჩემშია! და მარად და ყველგან
სულში კაშკაშებს, როგორც არილი,
სულ ჩემთანაა, ჩემს ლვთიურ ხვედრად
და მარადიულ თანამგზავრივით.

* * *

გპოვე, რადგანაც ულამაზესის
მქებნელი სულით იმ გზას გავყევი
(რითმად მაწყდება სიტყვა: რაზესი,
მეორე რითმად: გადასხვევი),
უთუოდ შენთან და მხოლოდ შენთან,
და ზუსტად შენთან რომ მომიყვანდა . . .
მოაპყარ ყური ამ გულის ფეთქვას . . .
ახლა ხომ გჩერა, რომ სულ მიყვარდი.

გალაპტიონი

პოეტური ესსე

სამყარო ენთო სხვა სივრცეებზე,
სხვა მზით, სხვა ზეცის შუქთა კამარით,
სხვა მწვერვალების სიმაღლეებზე,
სხვა ოცნებებით ნაქანდაკარი.

მერე მოვიდა: კოსმიურ ხილვით,
განშორებათა ტკიფილით – ცრემლით,
ზენიტზე მდგარი მზის სინამდვილით –
ის,
ერთი, როგორც ქვეყანა მთელი.

და მან: პოეტურ არდარიდებით
სამყაროს შრეთა ასწია ფარდა,
სულის მუსიკის მძაფრი ზვირთები
ააშრიალა დაძლეულ ზღვართან.

სწორუპოვარი ჩანგით, თამამით,
აღტაცებების ზღვაში შევიდა,
და აელვარდა ჟამი “დალანდით“
და უსაზღვრობის “ეფემერიდან“.

მოხეტიალე ცეცხლის დღეებით,
ამფეთქებელი სულის ძიებით,
თვალებში ჩამდგარ საშინელებით,
ცრემლთა მაღალი შურისძიებით,

ყველაფერს, ისე ვით ნიაღვარი,
შოედო ყველა საზღვრის შძლეველი,
აღმოაჩინა მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჭერაც მიუკვლეველი.

მოედო ახალ სიცოცხლის ტალღად,
და, როგორც მაღალ ზრახვათა მეფეები,
შექმნა ქვეყანა ისევ და ახლად,
შეყვარებულმა და მეოცნებებმ.

და გაჩნდა: მღვრიე და მწარე ქარი,
მოგონებათა ქარი – “სადა ხარ?“
და ქარის ტოტით შერხევა მთვარის
და მარტი, ქარის ტოტს რომ გადაჰყვა.

მოთოვა უცნობ, ისიფერ თოვლით,
ვარდისფერ თოვლით და თოვლით ლიბრის,
აივი ლომფერ იქტომბრის ლტოლვით
ივლისისფერი თასები ყინვის,

და დაიბადა: მღვრიე მშვენება –
შეშლილ სახეთა ჩონჩხი – ტყეები,
და ქაოსებში შემოჭენება
აპოკალიფსურ ლურჯა ცხენების.

შე მიიცვალა ღია თვალებით,
სასტიკი ზეცის ფარული დარდით,
უუცხდეს და შეშლილ ზმნებით
გაჩნდა: ნაწვიმარ სილაში ვარდი.

აინთო მწუხრში მთაწმინდის მთვარე,
მაღალ ზამბახთა მცელავი ცელი,
და ხილვის სილრმე და სითამამე:
გადაზნექილი სიზმრების წელი.

აღსდგა მცურავი სული ჭალების,
გაჩნდა ატმის ხე, ვით ნაზი ქალი,
ხატს შელეკილი ელვა სანთლების,
ზართან გრიგალით მებრძოლი ზარი.

გაჩნდა სამყარო! ჰორიზონტიდან
ზენიტზე მაღლა გადაშლილ გზებზე,
შორი ალპების წყაროზე წმინდა,
უდიალესი სამხრეთის მზეზე.

გაჩნდა! აინთო იმ სივრცეებში,
იმ მზით, იმ ზეცის შუქთა კამარით,
იმ მწვერვალების სიმაღლეებზე,
იმ ოცნებებით ნაქანდაკარი –

მან რომ პოვა
და იგი რომ ჩაწედა,
მან რომ შექმნა და
სამყაროს უძღვნა . . .
და დგას საკუთარ სამყაროს კართან
უსაზღვროების მაღალი მუზა.

* * *

. . . და როცა ვიგრძენ, რომ შენ მიყვარდი
დაიწყო. . .
ჩემი სამყაროს შექმნა.

* * *

სამყარო, რითაც მოველ შენამდე.
შენამდე, როგორც მაღალ რწმენამდე.
შენამდე, როგორც ჩემი სიცოცხლის
ტრანსცენდენტალურ ბედისწერამდე,
აქ შედგა, შენ წინ, სული ელოდა
ამ დიად წამს და გრძნობის განდობას,
მიყვარხა! უნდა გააგრძელო და
დააბოლოო ჩემი ქმნადობა.

სარჩევი

განსულ კორძაიას პოეზია – ნ. ხურცილავა . . .	3
ხომ მიაგენ	9
... მაგრამ ეს ლტოლვაც და იმედებიც	10
... სანამ სულ ერთი არ არის შენთვის . .	11.
... და ჩემი სიცოცხლის ხვედრად	11.
... ვეღარ ავაგე ნაოცნებარი	11.
... სამყარო არის, მაგრამ რომ არის	12
სინამდვილე	12
... ელი, კვლავ ელი ქამის მოქცევას	13
ძე კაცისა: ავტოპორტრეტი	13
... მანამ სულ უნდა ვცადო რომ ავხსნა .	15
და ყველა ის დროც	16
... სიცოცხლე როგორც ფიქრი გაბმული .	17
რაღაც აკლია	18
პოეზია	18
მე ჩემს თავს ვექებ	19
ჰანაწერი!	20
ჩანაწერი ჰაიდეგერის კითხვისას	22
... ზეცა მძიმეა, მღვრიე და ბლანტი . . .	24
ვერ დამიმონებ!	24
შენ უკვე შენ ხარ	29
ყინწვისში	29
წარწერა გ. ტაბიძის „რჩეულზე“	30

ნაწყვეტი პროტაგორიულ ფიქრებიდან	30
ბარათაშვილი	31
ათასჭერ გავჩნდი	31
წარსულში, როგორც უამთა ნანგრევში	32
რამდენი ფიქრი აგიხდა უკვა	35
... დაგხვდა სმარაგდის ზეცა და მთები . . .	36
... რას ეწირება სული ტარიგაღ?	36
... იმ ოცნებებით სავსე ხარ ახლაც	37
... მხოლოდ შენ არ ხარ! სხვა ყველაფერი .	37
ოცნებით მაინც	38
რად გაწამებენ ჰორიზონტები?	39
უკვე დაადგი ფეხი მოვარეზე	39
... რაღაც გაწამებს . . . სხვა მისაწვდომი .	40
მწვერვალები	41
უკანასკნელი ფოთლები	42
საღ ვარ ყველაზე მეტად მაღალი	42
... ხომ მართლა იყო და ჩემში იყო	43
... კვლავ ცოცხალია ყველა ის მწუხრი .	43
ეს საუკუნეც	43
... და ერთხელ უკვე	44
... ახლაც სანთელი მიპყრია, ახლაც . . .	44
... შენ ხარ! შენ ცოცხლობ! და რადგან	
ცოცხლობ	45
და მაინც	45
შებინდებისას	46
... მე კი არ ვნატრობ, მწამს და მოველი .	47
... ძალა თუ ჰქონდა ქვეყნის გაჩენის . . .	48

აზრის მონოლოგებიდან	48
მინაწერი შექსპირის სამოცდამეეჭვსე სონეტზე ..	49
ჯერ მხოლოდ ერთხელ	49
... ამოხსნილია ამოსახსნელი	50
დემოკრიტე	51
პართენონი	51
ბოროტი საუკუნე	52
... და არაფერი, სულ არაფერი	53
... შენს ფიქრში ახლაც ნათლად ჩანს კვალი .	54
... ვარსკვლავთმრიცხველნო!	55
ჰერაკლიტეს მონოლოგებიდან	55
აზრის აპოლოგია	56
კვლავ ვიბაძები	57
... სამყაროს, როგორც თვალდათხრილ ციკლოპს	58
... ეს ის ფერფლია	58
... ეს კოსმიური უსაზღვროებაც	59
... არა, არ ახდა ფიქრი არცერთი	59
... გადიან წლები და საუკუნეც	60
მინაწერი პლატონის დიალოგებზე	60
მონანიება	61
ნიღბები	61
... და შენში, როგორც იმპერატივი	64
... და მეორდება . . . კაენის ცოდვაც . .	65
... ჭეშმარიტება, ვით მარადისი	66
პოეზიას	66
... ერთხელაც კიდევ მოზიდე მშვილდი . .	67

... .	დროი, გახსოვს იმ ლამაზ	67
პირველი ნაწყვეტი ციკლიდან „დრო“	68	
მეორე ნაწყვეტი ციკლიდან დრო	68	
უამთა წამებად ქცეული ფიქრი	68	
... .	როგორ თანდათან ქარწყლდება ეჭვი	69
შეიცან თავი		69
ვატერლოოზე ღუმს საუკუნე	69	
სულო, ვერასდროს ვერ დამშვიდდები	70	
სიცოცხლე		71
და კვლვ ისე შევდივართ	71	
ერთხელაც კიდევ	72	
მეორე ნაწყვეტი ფიქრიდან „საოცრებანი“	73	
სული საგანძური		73
გაპაქრება ეკლესიასტესთან	75	
სიონთან		78
დრო უსწრაფესად მოითხოვს პასუხს	80	
ჯერ გაჩნდა		80
კიდევ ერთი სასწაულიც	81	
საუკუნის სასასრულს		82
ჩემი ამ წუთის ცნობიერება	86	
მეორდებიან		87
ილუზიები		88
გასაგნებული ფიქრია	88	
... . ჩემი გამოცდილება	90	
ფიქრი		91
მაგრამ, ვაი თუ		92
წარწერა კანტის „წმინდა გონების კრიტიკაზე“	92	

რად, რად არ ახსოვს?	93
„გალობანი სინანულისანი“	94
გაზაფხული ქართლის გზაზე	94
გელის მაღალი ზეცა მცხეთაში	95
ფარნავაზ	95
იყორთა	96
საბა ორბელიანის გახსენება დავით აღმაშენებლის	
საფლავთან	96
დიოსკურიას ნანგრევებთან	97
ზედაზნიდან	97
კიმოთესუბანში	98
... რალაც სხვა, ვიდრე მხოლოდ ნანგრევი	98
თმოგვთან	99
ბოსფორთან	99
თბილისი	100
ბათუმი	100
სარფი	100
ოქროს ციხიდან	101
... და ის, რაც ჩემში	101
გელათის მონასტრის კარიბჭესთან	103
ჰეი, ფიქრო	103
1959 წლის 9 მარტი	106
გისმენდი და	106
გავჩნდი ... და მერე წერდა და წერდა ..	109
... და ერთი წუთიც ... და ბაგრატიდან	109
... როგორ შემძვრელად არის ლამაზი ..	110
არტანუჯი	110

მწუხარის ზარები გელათის მონასტერში	111
სიზიფეს ლოდი	111
... აი, შენი პირველი	112
... წარწერა იაპონიაში გასაგზავნ „დედა ენაზე“	113
მეორედ დაბალება	114
და ყველაფერს, რაც ჩემთვის	121
სამშობლო – მცნება	123
და იოცნებე	124
მოწამეთა	126
და ჩვენ შენი სიმაღლიდან	127
მღუმარებაში, ტკივილში, ცრემლში	130
სამყაროს სიკვდილი	130
რეცენზიის მაგიერ	131
რა ეშველება	131
არა, მხოლოდ ის	132
იმ დღეების ქრონიკა	132
ნაწყვეტი გაუცხოებულ ქალაქში სიცოცხლის საზრისზე ფიქრებიდან	133
... ამაზე მეტმა რა სისხლის ღვრამ და . .	134
... როგორც აბრაამს	134
არც მაშინ	135
ლოცვა	136
შემოდგომა – 93	136
როგორ ერთბაშად	137
... ხომ ნათლად ხედავ – დრომ და დღეებმა	137
შენზე ნათქვამი სტრიქონები ჭვართან	138

მისტიკური ხილვა	138
რადგან სხვა ვერვინ	139
ჩვეულებრივი დღის ქრონიკა	139
... გიყვარს . . და მზიურ ოცნებით . .	140
... და ის დღე დამრჩა, დამრჩა და ჩემში .	140
... თუ მე კაცისა, ეს არის ფიქრი	140
სევდით ავსებულა სივრცე	140
ვარდთა უთეთრესი თოვლით	141
... ზეცა მოქუფრულ . . . ბინდი	141
მოულოდნელად გაღებულ კარში	142
გამოგეთხოვე წამის წინ	142
... თოფი - უშენობის	142
... მიყვარხარ	143
... გელი! უშენოდ არ აცხადდება	143
ეს გზაა, კლდეებში გამოკვეთილი	144
შენ ისევ მისმენ	144
... ვწვდები და ვშიფრავ	144
ახლა იქ. მთებში	145
შენ მუდამ მყავდი	145
... ფიქრთან, რომელიც წამით მიწყდება .	146
... ქალაქი ელის ოცდაერთ ივლისს . . .	146
უეცარი მოგონება მანქანიდან პეტრეს ციხის დანახვისას	147
ამ ფოთოლცვენის უსაზღვრობაში	147
... შენ მოაბიჯებ -	148
... ის დღე გადარჩა! ის ერთი დღეც და .	148
... სხვა რაღა დარჩა	149

სიყვარული	მეორედ	149					
მწუხარებს,	რომლებიც	ცოცხლობდნენ	შენით	. 149			
... .	შენი	პირველი	დანახვა	ჰგავდა	150		
... .	ის	სიყვარული	ხსოვნაა	ახლა	150		
... .	სხვა	გზებს,	სულ	ასხვა	გზებს	151	
... .	მე	რომ	მჯეროდეს,	რომ	შენ	ტკივილად	151
... .	გიყვარს!	და	უკვე	ამოხსნილია	151		
... .	ნათელი	მიტომ	მოპფინა	ღმერთმა	152		
... .	მხოლოდ	ეს	ღრუბლის	ნაფლეთიც	კმარა	152	
... .	არ	მახსოვს	წამი	152			
... .	იმ	სიმაღლიდან	მე	რომ	შენზე	ფიქრში	
ავედი	153						
... .	შენი	ღიმილი	153				
... .	ყველა	ფიქრს	თავის	ზუსტი	ფერი	აქვს	153
... .	დღეს	რომ	გიპოვო	154			
მოგნატრებივარ	ფოთოლცვენაში	154					
ვარიაციები	შენზე	ფიქრებიდან	154				
... .	გადიგარებე	და	აივსო	155			
... .	ახლა	რომ	მართლა	155			
მე	ისევ	აქ	ვარ	156			
... .	რასაც	მივესწრაფვი	და	158			
... .	რა	ღვთაებრივი	გრძნობაა:	ნატვრა	158		
იმ	მწუხრის	შემდეგ	159				
ის	კი	არაა	მთავარი,	სად	ვარ	160	
არ	დასრულდება	161					
წახვედი!	დავრჩით	მე	და	ბაქანი	161		
შენ	ჩემი	სხვა	ხარ	162			

.... შენს სილამაზეს პოეტის გარდა	163
პროლოგი	163
სიყვარულის მეტაფიზიკა	165
.... ის კარნავალი იმ მზიან ღამით	165
.... გპოვე, რადგანაც ულამაზესის	165
.... და როცა ვიგრძენ, რმ შენ მიყვარდი .	166
.... სამყარო, რითაც მოველ შენამდე . . .	166
სარჩევი	167